

სს „ა გრუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

1

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	7
2. მომზადების საფუძველი.....	8
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	28
5. ინფორმაცია სემენტების შესახებ	30
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	33
7. საბანკო ანაზღაურებები	33
8. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	34
9. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	35
10. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული კაპიტალის ინვესტიციები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	35
11. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები	35
12. გადასახადები	61
13. გაცემული სესხები	62
14. ძირითადი საშუალებები	64
15. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	66
16. საპენსიო ფონდის აქტივები და ვალდებულებები	67
17. გაუფასურების რეზერვი და ანარიცხები	68
18. სხვა აქტივები	68
19. საკუთარი კაპიტალი	68
20. აქტივის გამოყენების უფლება	70
21. ნასესხები სახსრები	70
22. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	71
23. საიჯარო ვალდებულებები	71
24. სხვა ვალდებულებები	72
25. პირობითი ვალდებულებები	72
26. სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	73
27. შემოსავალი ავტომანქანების მომსახურებიდან და ავტომანქანით ვაჭრობიდან	74
28. ავტომანქანების მომსახურების ხარჯი და გაყიდული ავტომანქანების თვითღირებულება	75
29. საინვესტიციო მოგება	75
30. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	75
31. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	76
32. წმინდა სხვა საოპერაციო შემოსავალი	76
33. წმინდა არარეგულარული მუხლები	76
34. რისკის მართვა	77
35. სამართლიანი ღირებულების შეფასება	94
36. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	96
37. ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები	99

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ა გრუფის“ აქციონერებს და აქციონერთა საერთო კრებას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „ა გრუფის“ და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს, ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების* („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან *ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს* („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შესრულებული გვაქვს ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - შესადარისი ინფორმაციის შესწორება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე ჩავატარეთ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების მიხედვით ასახული შესწორებების აუდიტიც, რომელიც ეხება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. შესადარისი ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს ჯგუფის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ სხვა ინფორმაციასთან მიმართებით ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება არსებითად მცდარია, ჩვენ მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით, ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და აქციონერთა საერთო კრების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად. ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აქციონერთა საერთო კრება პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში, ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლის პროცედურებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობასა და მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოვავლენთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისი ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოს სამართლიანი წარდგენა.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფის ფარგლებში არსებული კომპანიებისა და ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჯგუფის აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

აქციონერთა საერთო კრებას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადგებ, აგრეთვე, აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, ასეთის არსებობისას.

ანა გაბდავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

თბილისი, საქართველო

2024 წლის 31 აგვისტო

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში, ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლის პროცედურებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობასა და მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოს სამართლიანი წარდგენა.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფის ფარგლებში არსებული კომპანიებისა და ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჯგუფის აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

აქციონერთა საერთო კრებას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადგებ, აგრეთვე, აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, ასეთის არსებობისას.

ანა გაბდავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

თბილისი, საქართველო

2024 წლის 31 აგვისტო



ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022 (გადაანგარიშებული*)	2021 (გადაანგარიშებული*)
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	6,037	12,323	11,353
საბანკო ანაზღაურებები	7	59,212	45,512	28,216
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	8	11,799	9,367	7,655
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	9	1,340	-	-
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული კაპიტალის ინვესტიციები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	10	15,890	17,396	25,423
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	11	22,653	12,398	7,784
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	11	18,041	13,320	6,774
გაცემული სესხები	13	15,357	9,241	148
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები		1,762	217	481
გადავადებული საგადასახადო აქტივები	12	-	456	1,111
ძირითადი საშუალებები	14	42,917	44,935	46,163
აქტივის გამოყენების უფლება	20	3,704	4,482	5,512
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	15	24,627	25,012	24,864
საპენსიო ფონდის აქტივები	16	5,484	4,899	4,628
სხვა აქტივები	18	8,360	6,403	11,687
სულ აქტივები		237,183	205,961	181,799
საკუთარი კაპიტალი	19			
სააქციო კაპიტალი				
- ჩვეულებრივი აქციები		1,161	1,143	1,113
- პრივილეგირებული აქციები		18,647	18,647	18,647
დამატებით შეტანილი კაპიტალი		29,352	22,355	14,774
გაუაწილებელი მოგება		66,780	58,177	48,618
საკუთარი კაპიტალი, განკუთვნილი მშობელი კომპანიის აქციონერებისთვის		115,940	100,322	83,152
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებისთვის		(169)	(182)	79
სულ საკუთარი კაპიტალი		115,771	100,140	83,231
ვალდებულებები				
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	11	37,685	27,418	19,458
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	11	25,765	17,542	4,447
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები		16	219	75
ნასესხები სახსრები	21	22,337	35,256	47,702
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	22	8,054	-	-
საიჯარო ვალდებულებები	23	3,822	4,389	6,018
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	16	5,484	4,899	4,628
სხვა ვალდებულებები	24	18,249	16,098	16,240
სულ ვალდებულებები		121,412	105,821	98,568
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		237,183	205,961	181,799

* გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ისინი ასახავს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების მიხედვით ასახულ შესწორებებს ფასს 17-ის „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ და ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ მიღების შედეგად.

3-99 გვერდებზე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად სს „ა გრუფის“ ხელმძღვანელობის მიერ:

გიორგი ბარათაშვილი
31 აგვისტო, 2024 წ.

გენერალური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

შენიშვნა	2023	2022 (გადაანგარიშებული*)	2021 (გადაანგარიშებული*)
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	6,037	12,323
საბანკო ანაზღაურებები	7	59,212	11,353
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	8	11,799	28,216
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	9	1,340	7,655
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული კაპიტალის ინვესტიციები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	10	15,890	17,396
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	11	22,653	25,423
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	11	18,041	7,784
გადავადებული საგადასახადო აქტივები	13	15,357	6,774
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები	12	1,762	148
გადავადებული საგადასახადო აქტივები	12	-	481
მირითადი საშუალებები	14	42,917	1,111
აქტივის გამოყენების უფლება	20	3,704	46,163
გულდები და სხვა არამატერიალური აქტივები	15	24,627	5,512
საპენსიო ფონდის აქტივები	16	5,484	24,864
სხვა აქტივები	18	8,360	4,628
სულ აქტივები		237,183	205,961
საკუთარი კაპიტალი			181,799
სააქციო კაპიტალი	19		
- ჩვეულებრივი აქციები		1,161	1,143
- პრივილეგირებული აქციები		18,647	1,113
დამატებით შეტანილი კაპიტალი		29,352	18,647
გაუნაწილებელი მოგება		66,780	14,774
საკუთარი კაპიტალი, განკუთვნილი მშობელი კომპანიის აქციონერებისთვის		115,940	48,618
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებისთვის		(169)	83,152
სულ საკუთარი კაპიტალი		115,771	79
ვალდებულებები			83,231
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	11	37,685	19,458
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	11	25,765	4,447
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები	16	16	75
ნასესხები სახსრები	21	22,337	47,702
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	22	8,054	-
საიჯარო ვალდებულებები	23	3,822	6,018
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	16	5,484	4,628
სხვა ვალდებულებები	24	18,249	16,240
სულ ვალდებულებები		121,412	105,821
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		237,183	205,961
			181,799

გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ისინი ასახავს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების მიხედვით ასახულ შესწორებებს ფასს 17-ის „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ და ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ მიღების შედეგად.

3-99 გვერდებზე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად სს „ა გრუფის“ ხელმძღვანელობის მიერ:

გიორგი ბარათაშვილი
31 აგვისტო, 2024 წ.

გენერალური დირექტორი

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022 (გადაანგარიშებული*)
სადაზღვევო ამონაგები	11	160,248	133,691
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	11,26	(91,013)	(67,058)
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი, ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებამდე		69,235	66,633
გადაზღვევის პრემიების განაწილება		(43,443)	(37,167)
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისთვის გადამზღვეველებისგან მისაღები თანხები		11,672	9,290
წმინდა ხარჯი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან	11	(31,771)	(27,877)
დაზღვევასთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსავალი	11	181	2,154
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი		37,645	40,910
შემოსავალი ავტომანქანების მომსახურებიდან და ავტომანქანებით გაყიდვიდან	27	20,792	23,736
ავტომანქანების მომსახურების ხარჯი და გაყიდული საქონლის თვითღირებულება	28	(5,896)	(12,030)
საერთო მოგება ავტომანქანების მომსახურებიდან და გაყიდვიდან		14,896	11,706
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი	29	9,309	6,241
სხვა საპროცენტო შემოსავალი	29	68	-
სამართლიანი ღირებულების წმინდა შემოსულობა/(ზარალი) ფინანსური აქტივებიდან, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	29	278	(879)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი	17	(10)	(39)
ინვესტიციასთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსავალი	29	122	222
საპენსიო ფონდის აქტივების მართვის გასამრჯელო		98	313
ინვესტიციის შედეგი		9,865	5,858
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	30	(20,463)	(17,434)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31	(7,206)	(6,057)
ცვთის და ამორტიზაციის ხარჯები	14, 15, 20	(6,026)	(5,603)
სადაზღვევო ხელშეკრულებებზე გაუფასურების ხარჯი	11	(511)	(420)
წმინდა სხვა საოპერაციო შემოსავალი	32	1,206	1,438
სხვა ხარჯები		(33,000)	(28,076)
საოპერაციო მოგება		29,406	30,398
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული წმინდა ხარჯი/(მოგება)		(368)	5,999
საპროცენტო ხარჯი		(2,705)	(2,543)
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) სამართლიანი ღირებულებით შეფასებული კაპიტალის ინვესტიციების გადაფასებიდან	10	1,599	(5,351)
წმინდა არარეგულარული მუხლები	33	(718)	(2)
დასაბერი მოგება		27,214	28,501
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(2,874)	(4,202)
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		24,340	24,299
მიკუთვნებადი შემდეგი პირებისთვის:			
მშობელი კომპანიის აქციონერები		24,327	24,560
არამაკონტროლებელი წლის მფლობელები		13	(261)
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		24,340	24,299

* გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ისინი ასახავს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების მიხედვით ასახულ შესწორებებს ფასს 17-ის „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ და ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ მიღების შედეგად.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	პრივილეგი- რებული აქციები	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწი- ლებელი მოგება	მიკუთვნე-ბადი მშობელი კომპანიის მფლობელებისთვის	არამაკონ- ტროლებელი წილის მფლობელები	სულ საკუთარი კაპიტალი
31 დეკემბერი, 2021 წ., გადაანგარიშებამდე	1,113	18,647	14,774	48,470	83,004	79	83,083
ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების გავლენა	–	–	–	261	261	–	261
ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების გავლენა	–	–	–	(113)	(113)	–	(113)
გადაანგარიშებული ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,113	18,647	14,774	48,618	83,152	79	83,231
მთლიანი სრული შემოსავალი (გადაანგარიშებული)	–	–	–	24,560	24,560	(261)	24,299
აქციების გამოშვება	30	–	5,602	–	5,632	–	5,632
აქციებზე დაფუძნებული ოპერაციები	–	–	1,979	–	1,979	–	1,979
აქციონერისთვის გამოცხადებული დივიდენდები	–	–	–	(15,001)	(15,001)	–	(15,001)
31 დეკემბერი, 2022 წ. (გადაანგარიშებული)	1,143	18,647	22,355	58,177	100,322	(182)	100,140
მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	–	24,327	24,327	13	24,340
აქციების გამოშვება	18	–	4,182	–	4,200	–	4,200
აქციებზე დაფუძნებული ოპერაციები	–	–	2,815	–	2,815	–	2,815
აქციონერისთვის გამოცხადებული დივიდენდები	–	–	–	(15,724)	(15,724)	–	(15,724)
31 დეკემბერი, 2023 წ.	1,161	18,647	29,352	66,780	115,940	(169)	115,771

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული სადაზღვევო პრემია		149,502	123,945
გადახდილი გადაზღვევის პრემია		(27,496)	(18,329)
გადახდილი სადაზღვევო ზარალები		(67,258)	(43,577)
მიღებული გადაზღვევის მოთხოვნები		887	525
გადახდილი აკვიზიციური ხარჯები		(16,960)	(12,763)
ავტომატური მომსახურებიდან და ავტომატური გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		20,716	22,425
გადახდილი ავტომატური მომსახურების ხარჯი და გაყიდული ავტომატური მომსახურების თვითღირებულება		(2,237)	(4,634)
გადახდილი ხელფასები და სარგებელი		(20,490)	(17,184)
მიღებული პროცენტი		7,898	4,191
ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტი	21	(1,890)	(2,175)
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი	23	(304)	(361)
გადახდილი საოპერაციო გადასახადი		(758)	(918)
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		(59)	373
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(6,429)	(5,025)
წმინდა ცვლილება სხვა საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		2,081	2,757
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		37,203	49,250
გადახდილი მოგების გადასახადი		(4,173)	(3,138)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		33,030	46,112
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,287)	(1,096)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		271	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(1,661)	(1,865)
გაცემული სესხები		(11,660)	(8,914)
გაცემული სესხის დაფარვებიდან მიღებული შემოსავალი		5,620	5,453
საბანკო ანაზღაურების წმინდა განთავსება (გამოტანა)		(12,449)	(15,535)
ფასიანი ქაღალდების შესყიდვა		(7,027)	(3,966)
შემოსულობა ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან და გამოსყიდვიდან		5,839	1,435
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(22,354)	(24,488)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ჩვეულებრივი აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავალი	19	4,200	-
გადახდილი დივიდენდი	19	(15,722)	(15,001)
აღებული სესხები	21	6,990	-
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვება	22	8,557	-
ნასესხები სახსრების დაფარვა	21	(19,904)	(4,400)
იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვა	23	(1,093)	(1,097)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული (საფინანსო საქმიანობიდან მიღებული) წმინდა ფულადი ნაკადები		(16,972)	(20,498)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		10	(156)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		(6,286)	970
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 1 იანვარი	6	12,323	11,353
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 31 დეკემბერი	6	6,037	12,323

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ძირითადი საქმიანობა

სს „ა გრუფი“ (შემდგომში „კომპანია“ ან „მშობელი კომპანია“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 405291795) 2018 წლის 20 სექტემბერს დარეგისტრირდა სსიპ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2018 წელს სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ (შემდგომში, „ალდაგი“) (საიდენტიფიკაციო ნომერი 404476189) და მის შვილობილ კომპანიებში (შემდგომში, „ალდაგი ჯგუფი“) განხორციელდა რეორგანიზაცია (შემდგომში, „რეორგანიზაცია“), რომლის მიზანიც იყო ალდაგი ჯგუფის სტრუქტურის მისადაგება შესაბამის ბიზნესსეგმენტებთან, კერძოდ, ქონების და უზედური შემთხვევების დაზღვევასთან და ავტოტრანსპორტის პერიოდულ ტექნიკურ დათვალიერებასთან.

რეორგანიზაციის დასრულების შემდეგ სს „ა გრუფი“ საქმიანობას, ძირითადად, თავისი ორი შვილობილი კომპანიის, ალდაგის და გრინვეის, მეშვეობით ეწევა, რომელთაც სრულად ფლობს. ალდაგი ფლობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ ორი ტიპის სადაზღვევო ლიცენზიას სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებისთვის, და ასევე ლიცენზიას, რომ იმოქმედოს, როგორც საპენსიო ფონდმა. იგი მომხმარებლებს სთავაზობს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის მომსახურებას; ქონების, პასუხისმგებლობის და სხვა ტიპის დაზღვევას საქართველოში. გრინვეიმ ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან ავტოტრანსპორტის პერიოდული ტექნიკური დათვალიერების საქმიანობის ლიცენზია მოიპოვა და საქართველოს მასშტაბით ავტომანქანების ინსპექტირების პუნქტებს აშენებს, 2019 წლის 1 იანვრიდან ავტოტრანსპორტის სავალდებულო ინსპექციის დაწყების მიზნით.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, 0171, ბერძუკის ქ. 1.

სს „ა გრუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ კომპანიებს, რაც ერთობლივად მოხსენიებულია, როგორც „ჯგუფი“:

შვილობილი კომპანია	წილობრივი მონაწილეობა / ხმის უფლება		დაფუძნების თარიღი	საქმიანობის სფერო	შეძენის თარიღი
	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.			
სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“	100%	100%	11 აგვისტო, 1998 წ.	დაზღვევა	16 ოქტომბერი, 2018 წ.
სს „გრინვეი საქართველო“	100%	100%	9 ივლისი, 2010 წ.	პერიოდული ტექნიკური დათვალიერება	16 ოქტომბერი, 2018 წ.
სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“	100%	100%	22 აგვისტო, 2007 წ.	დაზღვევა	1 მაისი, 2015 წ.
სს „ქარფესტი“	75%	75%	17 ნოემბერი, 2017 წ.	მანქანებით ვაჭრობა	არა
შპს „აუტო-ვეი“	100%	100%	27 დეკემბერი, 2010 წ.	მომსახურება	30 აპრილი, 2012 წ.
შპს „ალიანსი“	100%	100%	1 აგვისტო, 1998 წ.	სხვა	30 აპრილი, 2012 წ.
შპს „გრინვოში“	75%	75%	31 აგვისტო, 2018 წ.	ავტომანქანების რეცხვა	არა

ალდაგი არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ (შემდგომში „ცენტრი“) დამფუძნებელი. ცენტრი დაარსდა სადაზღვევო სისტემაში მონაწილე 18 მზღვევლის მიერ სავალდებულო დაზღვევის სამართავად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, უცხო ქვეყნებში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელები/მძღოლები საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე ვალდებული იქნებიან, დააზღვიონ თავიანთი სამოქალაქო პასუხისმგებლობა საქართველოში გაჩერების პერიოდში. ცენტრის საქმიანობის ადგილია საქართველო და მისი მიზანია სავალდებულო დაზღვევასთან დაკავშირებით გაყიდვების და ზარალის რეგულირების პროცესების ადმინისტრირება. ჯგუფს აქვს 11.11%-იანი (2022 წლის 31 დეკემბერი: 11.11%) წილი ცენტრში, რომლის მეშვეობითაც იგი მონაწილეობს უცხოურ ქვეყნებში დარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთობლივ დაზღვევაში და შესაბამის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალს და ხარჯებს აღიარებს ცენტრში თავისი წილის საფუძველზე.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის საბოლოო მფლობელი კომპანია არის საჯარო სააქციო საზოგადოება „ჯორჯია კაპიტალი“ (2022 წ.: საჯარო სააქციო საზოგადოება „ჯორჯია კაპიტალი“), რომელმაც ჯგუფზე კონტროლი მოიპოვა საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეო ჯგუფის“ საბანკო სექტორად (საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფი“) და საინვესტიციო სექტორად (საჯარო სააქციო საზოგადოება „ჯორჯია კაპიტალი“) გაყოფის შედეგად. საჯარო სააქციო საზოგადოება „ჯორჯია კაპიტალი“ დაფუძნებულია გაერთიანებულ სამეფოში და მისი აქციები განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ძირითადი საქმიანობა (გაგრძელება)

ომი უკრაინაში

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს და ბელარუსს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად მერყეობს, ასევე დაეცა რუსეთში ფასიანი ქაღალდების ღირებულება. იგივე შეეხო სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდებსაც. სიტუაცია ჯერ კიდევ იცვლება, მაგრამ ჰუმანიტარული კრიზისი უკვე დამდგარია და უკრაინამ, რუსეთმა და დანარჩენმა მსოფლიომ უკვე განიცადეს უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს საბოლოოდ ჯგუფის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ზოგადად ეკონომიკაზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა შექმნილ ვითარებაში ეკონომიკურ სიტუაციას თვალს ადევნებს.

2022 წელს ჯგუფმა განიცადა 6.2 მილიონი ლარის არარეალიზებული ზარალი კაპიტალის ინვესტიციებზე იმ ფულად სახსრებში, რომლებიც უზრუნველყოფილია საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდებით (საიდანაც 5.4 მილიონი ლარის არარეალიზებული ზარალი უკავშირდება პრივილეგირებული აქციებიდან შემოსულობის სამართავად ფლობილ ინვესტიციებს) აღმოსავლეთ ევროპაში, მათ შორის რუსეთსა და უკრაინაში. 2022 წლის ბოლოსთვის პორტფელის შემადგენლობა შეიცვალა და რუსული და უკრაინული წილი გამოსყიდულ და კორპორაციულ ობლიგაციებში მნიშვნელოვნად შემცირდა, რის შემდეგაც შეადგინა მთლიანი ფულადი სახსრების პორტფელის 2% და 9%, შესაბამისად. ამ ცვლილების შემდეგ ჯგუფმა აღრიცხა 1.9 მილიონი ლარის არარეალიზებული შემოსულობა კაპიტალის ინვესტიციებზე იმ ფულად სახსრებში, რომლებიც უზრუნველყოფილია საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდებით (საიდანაც 1.6 მილიონი ლარის არარეალიზებული შემოსულობა უკავშირდება პრივილეგირებული აქციებიდან მიღებული შემოსავლების სამართავად ფლობილ ინვესტიციებს) 2023 წელს.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული. ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მუხლების თანმიმდევრულობა მოცემულია ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით.

ჯგუფმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა იმ დაშვების საფუძველზე, რომ გააგრძელეს საქმიანობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ახალი ან შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

ჯგუფმა პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის (თუ სხვა რამე არ არის მითითებული).

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“
- ▶ ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“
- ▶ შესწორებები ბასს (IAS) 1-სა და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები
- ▶ შესწორებები ბასს (IAS) 8-ში – სააღრიცხვო შეფასებების განმარტება
- ▶ შესწორებები ბასს (IAS) 12-ში – ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი
- ▶ შესწორებები ბასს (IAS) 12-ში – საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2-ის სანიმუშო წესები

ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ცვლილებები კლასიფიკაციასა და შეფასებაში

ფასს 17-ის მიღებას არ შეუცვლია ჯგუფის სადაზღვევო ხელშეკრულებების კლასიფიკაცია.

ფასს 17 ადგენს ჯგუფის მიერ გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების აღიარების და შეფასების კონკრეტულ პრინციპებს.

ფასს 17-ის მიხედვით, ჯგუფის მიერ გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების უმეტესობის შეფასება შესაძლებელია პრემიის განაწილების მიდგომის გამოყენებით. პრემიის განაწილების მიდგომა, ფასს 17-ის ზოგად მოდელთან შედარებით, ამარტივებს სადაზღვევო ხელშეკრულებების შეფასებას.

პრემიის განაწილების მიდგომის შეფასების პრინციპები განსხვავდება „გამომუშავებული პრემიის მიდგომისგან“, რომელსაც ჯგუფი ფასს 4-ის მიხედვით იყენებდა, შემდეგნაირად:

- ▶ დარჩენილ დაფარვასთან დაკავშირებული ვალდებულება ასახავს მიღებულ პრემიებს, გადავადებული აკვიზიციის ფულადი ნაკადებისა და გაწეული სადაზღვევო მომსახურებიდან მიღებული ამონაგების სახით აღიარებული თანხების გამოკლებით.
- ▶ დარჩენილ დაფარვასთან დაკავშირებული ვალდებულების შეფასება მოიცავს ფულის დროითი ღირებულების და ფინანსური რისკის ეფექტის შესაბამის კორექტირებას, როდესაც პრემიის გადახდის თარიღი და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პერიოდი 12 თვეზე მეტი ხნით არის ერთმანეთს დაშორებული;
- ▶ დარჩენილ დაფარვასთან დაკავშირებული ვალდებულების შეფასება მოიცავს არაფინანსური რისკის კორექტირების მკაფიო შეფასებას, როდესაც ხელშეკრულებების ჯგუფი წაგებიანია, რათა მოხდეს ზარალის კომპონენტის გამოთვლა (მანამდე ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ამოუწურავი რისკის რეზერვის შექმნის ნაწილი);
- ▶ დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულების (უწინ აუნაზღაურებელი ზარალი და დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი სადაზღვევო ზარალი) შეფასება განისაზღვრება დისკონტირებული ალბათობით შეწონილი მოსალოდნელი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს არაფინანსური რისკის მკაფიო კორექტირებას. ვალდებულება მოიცავს ჯგუფის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, რომ გადაიხადოს სხვა დამდგარი სადაზღვევო ხარჯები;

აქტივის დარჩენილი სადაზღვევო დაფარვის შეფასება (რომელიც ასახავს ფლობილი გადაზღვევისთვის გადახდილ გადაზღვევის პრემიებს) კორექტირდება, რათა მოიცვას ზარალის კომპენსაციის კომპონენტი და ასახოს წაგებიან ხელშეკრულებაზე გაწეული ზარალის მოსალოდნელი ამოღება, თუ ეს ხელშეკრულებები გადაზღვევს წაგებიან პირდაპირ ხელშეკრულებებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია (გაგრძელება)

ჯგუფი აკვიზიციის ფულად ნაკადებს ანაწილებს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფებზე, რომლებიც უკვე გამოშვებულია ან რომელთა გამოშვება მოსალოდნელია, სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე. აკვიზიციის ფულადი ნაკადები მოიცავს იმ ნაკადებს, რომლებიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი ჯგუფებისთვის და მომავალი ჯგუფებისთვის, რომელთა წარმოშობა მოსალოდნელია ამ ჯგუფის ხელშეკრულებების განახლების შემთხვევაში. როდესაც ასეთი აკვიზიციის ფულადი ნაკადები გადაიხდება (ან თუ ვალდებულება აღიარებულია სხვა ფასს სტანდარტის გამოყენებით) სადაზღვევო ხელშეკრულებების შესაბამისი ჯგუფის აღიარებამდე, ხდება დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივის აღიარება. როდესაც ხდება სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარება, ხდება დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივის შესაბამისი ნაწილის აღიარების შეწყვეტა და შესაბამისი ჯგუფის დარჩენილი დაფარვის სადაზღვევო ვალდებულების საწყისი აღიარებისას შეფასებაში ჩართვა.

ცვლილებები წარდგენაში და განმარტებით შენიშვნებში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მოსამზადებლად ჯგუფმა მოახდინა გამოშვებული დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებების და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების აგრეგირება, შესაბამისად, და მათ წარმოადგენს ცალ-ცალკე:

- ▶ იმ გამოშვებული დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც აქტივებია;
- ▶ იმ გამოშვებული დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც ვალდებულებებია;
- ▶ იმ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც აქტივებია;
- ▶ იმ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც ვალდებულებებია.

ზემოაღნიშნული პორტფელები ის პორტფელებია, რომლებიც საწყისი აღიარებისას შესაბამისობაში მოვიდა ფასს 17-ის მოთხოვნებთან.

გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელები მოიცავს ყოველგვარ აქტივებს აკვიზიციის ფულადი ნაკადებისთვის.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლების აღწერები, წინა პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა. ადრე ჯგუფმა შემდეგი მუხლები გააცხადა:

- ▶ სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებული მთლიანი სადაზღვევო პრემია;
- ▶ გადამზღვეველის წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებულ სადაზღვევო პრემიაში;
- ▶ სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მთლიანი ხარჯი;
- ▶ გადამზღვეველის წილი სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ხარჯებში;
- ▶ ზარალის დარეგულირების ხარჯები;
- ▶ შემოსავალი რეგრესიდან და ნარჩენი ღირებულებიდან;
- ▶ წმინდა სადაზღვევო ზარალი და ზარალის დარეგულირების ხარჯები.

ამის ნაცვლად ფასს 17 მოითხოვს შემდეგი მუხლების ცალ-ცალკე წარდგენას:

- ▶ სადაზღვევო ამონაგები;
- ▶ სადაზღვევო მომსახურების ხარჯები;
- ▶ შემოსავალი ან ხარჯები ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია (გაგრძელება)

ჯგუფმა წარმოადგინა დეზაგრეგირებული ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაცია შემდეგის შესახებ:

- ▶ თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხები სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან (მე-11 შენიშვნა);
- ▶ მნიშვნელოვანი განსჯა და ცვლილებები ამ განსჯაში სტანდარტის გამოყენებისას (მე-4 შენიშვნა).

გადასვლა

სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის, 2023 წლის 1 იანვარს, ჯგუფი:

- ▶ განსაზღვრული, აღიარებული და შეფასებული აქვს სადაზღვევო ხელშეკრულებების თითოეული ჯგუფი ისე, თითქოს ყოველთვის იყენებდა ფასს 17-ს;
- ▶ განსაზღვრული, აღიარებული და შეფასებული აქვს აკვიზიციის ფულადი ნაკადების აქტივები ისე, თითქოს ყოველთვის იყენებდა ფასს 17-ს;
- ▶ შეწყვეტილი ყველა არსებული ნაშთის აღიარება, რომლებიც არ იარსებებდა, ფასს 17 ყოველთვის რომ გამოეყენებინა;
- ▶ აღიარებული აქვს ამის შედეგად მიღებული ყოველგვარი წმინდა სხვაობა საკუთარ კაპიტალში.

ჯგუფმა შეცვალა წმინდა სადაზღვევო ამონაგების, წმინდა სადაზღვევო ზარალი და ზარალის დარეგულირების ხარჯები და წმინდა მოგება ანდერაიტინგიდან მუხლების წარდგენა და დააჯგუფა, როგორც გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი ფლობილ სადაზღვევის ხელშეკრულებამდე, წმინდა ხარჯი ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებიდან და გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

ფასს (IFRS) 9-მ ჩაანაცვლა ბასს (IAS) 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ამის მიუხედავად, ჯგუფმა არჩია, რომ ფასს 4-ის ცვლილებების გამოყენებინა დროებითი გამონაკლისი ფასს 9-დან და ამით ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღი გადაწია, რათა ის დამთხვეოდა ფასს 17-ის თავდაპირველ გამოყენებას.

ჯგუფმა ფასს 9 გამოიყენა რეტროსპექტიულად და გადაიანგარიშა ფასს 9-ის მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური ინსტრუმენტების შესადარისი ინფორმაცია თავის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 9-ის მიღების შედეგად წარმოშობილი სხვაობების აღიარება მოხდა გაუნაწილებელ მოგებაში 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ცვლილებები კლასიფიკაციასა და შეფასებაში

კლასიფიკაციისა და შეფასების კატეგორიის განსაზღვრისთვის ფასს 9 მოითხოვს ყველა ფინანსური აქტივის შეფასებას ჯგუფის მიერ ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელის და ასევე ამ ინსტრუმენტებზე სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავისებურებების საფუძველზე.

ბასს 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივების შეფასების კატეგორიები (სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით), გასაყიდად არსებული, დაფარვის ვადამდე ფლობილი და ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხები და მისაღები ანგარიშები), ჩაანაცვლა შემდეგით:

- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები;
- ▶ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები.

ჯგუფის მიერ თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია განმარტებულია ქვემოთ, ფინანსური აქტივების შესახებ თავში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია (გაგრძელება)****ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“****გაუფასურების შეფასებაში შესული ცვლილებები**

ფასს 9-ის მიღებამ საფუძვლიანად შეცვალა ჯგუფის მიერ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან ამორტიზებული ღირებულებით ფლობილი სავალო ინსტრუმენტების გაუფასურების ზარალის აღრიცხვა, რადგან ბასს 39-ის განცდილი ზარალის მიდგომას ჩაანაცვლებს საპროგნოზო (მომავალზე ორიენტირებული) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით.

ფასს 9-ის მიხედვით, კომპანია ვალდებულია აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ყველა იმ სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებიც არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელსაც განაპირობებდა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოვლენები, რომელთა დადგომა შესაძლებელია საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც აქტივების წარმოშობიდან ან შეძენიდან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვი შეიქმნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით.

მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებით ფასს 9-ის მოთხოვნების მიღებამ გამოიწვია ჯგუფის სავალო ინსტრუმენტებთან მიმართებით გაუფასურების რეზერვების ზრდა. რეზერვის 113 ლარით ზრდის შედეგად შესაბამისი კორექტირებები შევიდა გაუნაწილებელ მოგებაში.

ვინაიდან ამის გაკეთება შესაძლებელი იყო რეტროსპექტიული შეფასების გარეშე, ჯგუფმა გადაიანგარიშა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რის შედეგადაც ფინანსური აქტივები შემცირდა და გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 113 ლარი, შესაბამისად. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაც გადაანგარიშდა, რის შედეგადაც ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი გაიზარდა 39 ლარის ოდენობით.

2023 წელს პირველად ამოქმედებული სხვა ცვლილებები და ინტერპრეტაციები გავლენას არ ახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებისა და შეფასების კატეგორიების და ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით გაცხადებული ნაშთების შეჯერება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

	ბასს (IAS) 39-ის მიხედვით შეფასება		ხელახალი შეფასება მოსალოდ- ნელი რეკლასი ფიკაცია	საკრედიტო ზარალი	ფასს 9	
	კატეგორია	თანხა			თანხა	კატეგორია
ფინანსური აქტივები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით						
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		12,323	–	–	12,323	
საბანკო ანაზღაურებები		45,584	–	(72)	45,512	
გაცემული სესხები		9,243	–	(2)	9,241	
	სმ*	67,150	–	(74)	67,076	აღ***
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები		9,447	(9,447)	–	–	
სად: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები		–	9,447	(80)	9,367	
	გა**	9,447	–	(80)	9,367	ამორტი- ზებული ღირე- ბულება
ფინანსური აქტივები, სულ		76,597	–	(154)	76,443	

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია (გაგრძელება)**

ბასს 39-ის მიხედვით საბალანსო ღირებულებების და ფასს 9-ის მიხედვით გაცხადებული ნაშთების შეჯერება თავდაპირველი გამოყენების თარიღით, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ასე გამოიყურება:

ფინანსური აქტივები 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	ბასს (IAS) 39-ის მიხედვით შეფასება		ხელახალი შეფასება		ფასს 9	
	კატეგორია	თანხა	რეკლასი ფიკაცია	საკრედიტო ზარალი	თანხა	კატეგორია
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		11,353	–	–	11,353	
საბანკო ანაზღაურებები		28,273	–	(57)	28,216	
გაცემული სესხი		149	–	(1)	148	
	სმ*	39,775	–	(58)	39,717	აღ***
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები		7,710	(7,710)	–	–	
სად: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალდებულო ინსტრუმენტები		–	7,710	(55)	7,655	
	გა**	7,710	–	(55)	7,655	ამორტიზებული ღირებულება
ფინანსური აქტივები, სულ		47,485	–	(113)	47,372	

*სმ – სესხები და მოთხოვნები

** გა – გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

*** აღ – ამორტიზებული ღირებულება

შესწორებები ბასს (IAS) 1-სა და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები

შესწორებების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ცვლილებებმა გავლენა მოახდინა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებზე, მაგრამ არა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების რომელიმე მუხლის შეფასებაზე, აღიარებასა და წარდგენაზე.

ჯგუფმა გადახედა ამ შენიშვნაში გამჟღავნებულ ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გადახედილი არსებითი ინფორმაცია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ მიუსადაგა ჯგუფმა ფასს-ის მოთხოვნები თავის გარემოებებს და ძირითადად მოიცავს იმ მუხლებს, სადაც ჯგუფმა არჩია ფასს-ის მიერ დაშვებული ვარიანტებიდან მინიმუმ ერთი სააღრიცხვო პოლიტიკა, მუხლებს, რომლებიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განსჯაზე ან შეფასებებზე და არ მოიცავს ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ იმეორებს ან აჯამებს ფასს-ის მოთხოვნებს, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკებს არაარსებითი საკითხების შესახებ.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანია იღებს, ან აქვს უფლება მიიღოს, ცვლადი უკუგება ინვესტიციის ობიექტისგან და აქვს უნარი, გავლენა მოახდინოს უკუგებაზე ინვესტიციის ობიექტზე ზემოქმედებით. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ უფლებები მას მიმდინარე მომენტში საშუალებას აძლევს მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ▶ ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები

კლასიფიკაცია

ჯგუფი აფორმებს სადაზღვევო ხელშეკრულებებს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რითაც იღებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს თავისი დამზღვევებისგან. იმისათვის, რომ განსაზღვროს აქვს თუ არა მნიშვნელოვანი სადაზღვევო რისკი, ჯგუფი, გავრცელებული წესის თანახმად, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გადასახდელ სადაზღვევო ანაზღაურებას ადარებს გადასახდელ ანაზღაურებას, სადაზღვევო შემთხვევა რომ არ დამდგარიყო. სადაზღვევო ხელშეკრულებებით ფინანსური რისკის გადაცემა შეიძლება ჯგუფი ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სთავაზობს არასიცოცხლის დაზღვევას. არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტები მოიცავს ავტო, პასუხისმგებლობის, დეპოზიტორის სიცოცხლის, ქონების, აგრო და სხვა დაზღვევის მიმართულებებს, რომლებიც ცალ-ცალკე არ არის მნიშვნელოვანი (მაგ. ტვირთის და სამოგზაურო დაზღვევა) ჯგუფის პორტფელში და აგრეგირებულია „სხვა პროდუქტების“ პუნქტში. ეს პროდუქტები იცავს დამზღვევის აქტივებს და სხვა მხარეებს უნაზღაურებს დამზღვევის მიერ გამოწვეულ ზიანს.

ჯგუფი ასევე აფორმებს გადაზღვევის ხელშეკრულებებს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რათა აუნაზღაუროს სხვა საწარმოებს მათ მიერ გაფორმებული ერთი ან მეტი გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ზარალი.

ჯგუფი არ აფორმებს ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც შეიცავს პირდაპირ მონაწილეობის პირობებს.

ბუღალტრული აღრიცხვა

დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან კომპონენტების გამიჯვნა

ჯგუფი აფასებს არასიცოცხლის დაზღვევის და გადაზღვევის პროდუქტებს, რათა განსაზღვროს, შეიცავს თუ არა ისინი მკაფიო კომპონენტებს, რომლებიც უნდა აღირიცხოს სხვა ფასს-ით, ნაცვლად ფასს 17-ისა. მკაფიო კომპონენტების გამიჯვნის შემდეგ, ჯგუფი იყენებს ფასს 17-ს (ძირითადი) სადაზღვევო ხელშეკრულების ყველა დარჩენილი კომპონენტისთვის. ამჟამად ჯგუფის პროდუქტები არ მოიცავს მკაფიო კომპონენტებს, რომლებიც საჭიროებს გამიჯვნას.

ზოგიერთი გამოშვებული გადაზღვევის ხელშეკრულება შეიცავს მოგებიდან საკომისიოს პირობას. ამ პირობებით, არსებობს მინიმალური გარანტირებული თანხა, რომელსაც დამზღვევი ყოველთვის მიიღებს – ან მოგებიდან საკომისიოს სახით, ან ზარალის ანაზღაურების სახით, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა გაახდით, იმისდა მიუხედავად დადგება თუ არა სადაზღვევო შემთხვევა. მინიმალური გარანტირებული თანხა შეფასდა, როგორც მჭიდროდ დაკავშირებული სადაზღვევო ხელშეკრულებების დაზღვევის კომპონენტთან და, შესაბამისად, არაგამიჯვნად საინვესტიციო კომპონენტებად, რომლებიც ცალკე არ აღირიცხება. თუმცა, ამ საინვესტიციო კომპონენტებთან დაკავშირებით მიღებული და გაცემული თანხების აღიარება არ ხდება მოგებაში ან ზარალში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

აგრეგირების დონე

ფასს 17-ის მიხედვით, ჯგუფი ვალდებულია განსაზღვროს აგრეგირების დონე სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ჯგუფისთვის აგრეგირების დონე განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, ბიზნესის პორტფელზე დაყოფით. პორტფელები მოიცავს მსგავსი რისკების მქონე ხელშეკრულებების ჯგუფებს, რომლებიც ერთად იმართება. პორტფელები, თავის მხრივ, იყოფა სამ კატეგორიად მათი გაფორმების დროს მოსალოდნელი მომგებიანობის მიხედვით: წაგებიანი ხელშეკრულებები, წაგებიანად ქცევის მნიშვნელოვანი რისკის არმქონე ხელშეკრულებები და დანარჩენები. ეს იმას ნიშნავს, რომ აგრეგირების დონის დასადგენად ჯგუფი ხელშეკრულებს განსაზღვრავს უმცირეს „ერთეულად“, ანუ უმცირეს საერთო მნიშვნელად. თუმცა, ჯგუფი აფასებს, ხელშეკრულებების გარკვეული რაოდენობა უნდა აღირიცხოს თუ არა ერთად, როგორც ერთი ერთეული, გონიერულ და დასაბუთებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, თუ ერთი ხელშეკრულება შეიცავს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც უნდა გაიმიჯნოს და აღირიცხოს, როგორც ინდივიდუალური ხელშეკრულებები. ის, თუ რა აღირიცხება, როგორც ხელშეკრულება ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის, შეიძლება განსხვავდებოდეს იმისგან, თუ რა მიიჩნევა ხელშეკრულებად სხვა მიზნებისთვის (მაგ. იურიდიული ან მართვის). ფასს 17 ასევე მოითხოვს, რომ აგრეგირების მიზნით ერთ დონეზე მოქცეული ჯგუფი არ უნდა შეიცავდეს ისეთ ხელშეკრულებებს, რომელთა გაფორმების თარიღსაც ერთმანეთისგან ერთ წელზე მეტი აშორებს.

ჯგუფის წაგებიან ხელშეკრულებებს არსებითი წილი არ უკავია.

ჯგუფმა არჩია ერთად დაეჯგუფებინა ხელშეკრულებები, რომლებიც სხვა ჯგუფებში აღმოჩნდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ კანონი ან რეგულაცია ზღუდავს მის პრაქტიკულ შესაძლებლობას, რომ სხვა ფასი ან სარგებლის დონე განუსაზღვროს სხვადასხვა მახასიათებლის მქონე დამზღვევებს.

ჯგუფმა ფასს 17-ზე გადასვლისთვის გამოიყენა სრულად რეტროსპექტიული მიდგომა. პორტფელები შემდეგ კიდევ იყოფა გაფორმების წლის და მომგებიანობის მიხედვით, აღიარებისა და შეფასების მიზნებისთვის. აქედან გამომდინარე, ყოველ წელს გაფორმებული ხელშეკრულებების პორტფელები სამ ჯგუფად იყოფა:

- ▶ ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებიც წაგებიანია საწყისი აღიარებისას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ▶ ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებსაც საწყისი აღიარებისას არ აქვს შემდგომში წაგებიანად ქცევის მნიშვნელოვანი ნიშნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ▶ დანარჩენი ხელშეკრულებების ჯგუფი პორტფელში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ხელშეკრულებების ჯგუფების მომგებიანობა ფასდება აქტუარული შეფასების მოდელით, რომლებიც მხედველობაში იღებს არსებულ და ახალ ბიზნესს. ჯგუფი უშვებს, რომ პორტფელში საწყისი აღიარებისას არ არსებობს წაგებიანი ხელშეკრულებები, თუ ფაქტები და გარემოებები საპირისპიროზე არ მიუთითებენ. იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც არ არის წაგებიანი, ჯგუფი აფასებს საწყისი აღიარებისას, რომ არ არსებობს შემდგომში წაგებიანად გადაქცევის მნიშვნელოვანი ნიშნები, რისთვისაც აფასებს არსებულ ფაქტებსა და გარემოებებში ცვლილებების ალბათობას. ჯგუფი შემდეგ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს, ხელშეკრულებების ჯგუფი წაგებიანია თუ არა:

- ▶ ინფორმაცია ფასწარმოქმნის შესახებ;
- ▶ მის მიერ აღიარებული მსგავსი ხელშეკრულებებიდან მიღებული გამოცდილება;
- ▶ გარემოს ფაქტორები, მაგ. ცვლილება ბაზარზე ან რეგულაციებში.

ჯგუფი ფლობს გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელსაც ზემოაღნიშნული პრინციპების მიხედვით ყოფს, იმ განსხვავებით, რომ წაგებიან ხელშეკრულებებზე მითითება ეხება იმ ხელშეკრულებებს, რომლებზეც მიიღება წმინდა სარგებელი საწყისი აღიარებისას. ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ზოგიერთი ჯგუფის შემთხვევაში, ჯგუფს შეუძლია შეადგინოს ერთიანი ხელშეკრულება.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

აღიარება

ჯგუფი აღიარებს თავის მიერ გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფს, ჩამოთვლილთაგან უადრესი თარიღით:

- ▶ ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის ათვლის დასაწყისი;
- ▶ თარიღი, როდესაც ჯგუფში შემავალ დამზღვევს უწევს პირველი გადახდა ან როდესაც მიიღება პირველი გადახდა;
- ▶ წაგებიანი ხელშეკრულებების ჯგუფის შემთხვევაში, თუ ფაქტები და გარემოებები მიანიშნებენ იმაზე, რომ ჯგუფი წაგებიანია.

ჯგუფი აღიარებს თავის მიერ გაფორმებული ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფს, ჩამოთვლილთაგან უადრესი თარიღით:

- ▶ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი; (თუმცა ჯგუფი გადავადებს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის აღიარებას, რომელიც უზრუნველყოფს პროპორციულ დაფარვას რომელიმე საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულების საწყისი აღიარების თარიღამდე, თუ ეს თარიღი უფრო გვიან დგება, ვიდრე ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის ათვლის დაწყების თარიღი.

და

- ▶ თარიღი, როდესაც ჯგუფი აღიარებს საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიან ჯგუფს, თუ ჯგუფმა გააფორმა შესაბამისი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც შედის ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფში, ამ თარიღით ან ამ თარიღამდე.

ჯგუფი ახალ ხელშეკრულებებს უმატებს ჯგუფს იმ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, რომელშიც ეს ხელშეკრულება აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კრიტერიუმს.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული სადაზღვევო ხელშეკრულებები

ფასს 17-ის თანახმად, ჯგუფს მოუხდა გადაეფასებინა სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტებში, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსავლის/(ხარჯების) მუხლის მეშვეობით. ჯგუფს მიაჩნია, რომ უფრო სამართლიან წარდგენას უზრუნველყოფს, თუ დაზღვევასთან დაკავშირებულ ყველა საკურსო სხვაობით განპირობებულ შემოსავალს/(ხარჯს) წარმოადგენს, როგორც გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგს.

ხელშეკრულების ფარგლები

ჯგუფი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის შეფასებაში ითვალისწინებს ყველა სამომავლო ფულად ნაკადს, ჯგუფში არსებული თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში. ფულადი ნაკადები არის სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში, თუ ისინი წარმოიშობა არსებითი უფლებებიდან და ვალდებულებებიდან, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, რომელშიც ჯგუფს შეუძლია აიძულოს დამზღვევს პრემიების გადახდა ან რომელშიც ჯგუფს აქვს არსებითი ვალდებულება, დამზღვევს გაუწიოს სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება. სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის არსებითი ვალდებულება სრულდება მაშინ, როდესაც:

- ▶ თუ ჯგუფს აქვს პრაქტიკული უნარი გადააფასოს გარკვეული დამზღვეველების რისკები და, ამის შედეგად, შეუძლია ფასის დაწესება ან სარგებლის დონის განსაზღვრა, რაც სრულად ასახავს ამ რისკებს;

ან

- ▶ ორივე შემდეგი კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია:
 - ▶ თუ ჯგუფს აქვს პრაქტიკული უნარი გადააფასოს იმ სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის რისკები, რომელიც მოიცავს ამ ხელშეკრულებას და, ამის შედეგად, შეუძლია ფასის დაწესება ან სარგებლის დონის განსაზღვრა, რაც სრულად ასახავს ამ პორტფელის რისკს;
 - ▶ პრემიების განფასება იმ თარიღამდე, როდესაც ხდება რისკების გადაფასება, არ ითვალისწინებს იმ რისკებს, რომლებიც უკავშირდება გადაფასების თარიღის შემდგომ პერიოდებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)**

- ▶ არ ხდება იმ ვალდებულების ან აქტივის აღიარება, რომელიც უკავშირდება მოსალოდნელ პრემიებს ან სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ არსებულ ზარალს. ასეთი თანხები უკავშირდება სამომავლო სადაზღვევო ხელშეკრულებებს.

შეფასება – პრემიის განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა

	ფასს 17-ით გათვალისწინებული ალტერნატივები	გამოყენებული მიდგომა
პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომის (PAA) კრიტერიუმის დაკმაყოფილება	გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლებელია PAA-ის, როგორც ფასს 17-ის ზოგადი მოდელის გამარტივებული მეთოდის, გამოყენება.	ბიზნესის ყველა მიმართულების დაზღვევის და გადაზღვევის პერიოდი მიჩნეულია, რომ არის ერთი წელი ან ნაკლები და ამრიგად იგი ავტომატურად აკმაყოფილებს PAA-ის კრიტერიუმს. როგორც ქონების, ისე პასუხისმგებლობის დაზღვევა და გადაზღვევა მოიცავს ხელშეკრულებებს, რომელთა სადაზღვევო პერიოდი ერთ წელზე მეტია. თუმცა ეს პორტფელის მცირე ნაწილია და არ არსებობს არსებითი განსხვავება დარჩენილი დაფარვის ვადის ვალდებულების შეფასების მხრივ PAA-სა და ზოგად მოდელს შორის, შესაბამისად, ისინი აკმაყოფილებს PAA-ის კრიტერიუმს.
აკვიზიციის ფულადი ნაკადები გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან	თუ ჯგუფში შემავალი ყველა ხელშეკრულების სადაზღვევო პერიოდი არ აღემატება ერთ წელს, აკვიზიციის ფულადი ნაკადები შეიძლება გატარდეს ხარჯად მათი გაწევისთანავე, ან განაწილდეს სისტემატური და რაციონალური მეთოდის გამოყენებით სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფებზე (მათ შორის სამომავლო ჯგუფებზე, რომლებშიც შედის სადაზღვევო ხელშეკრულებები, რომელთა წარმოშობა მოსალოდნელია განახლების შემდეგ) და შემდეგ ამორტიზდეს დაკავშირებული ჯგუფის სადაზღვევო პერიოდზე. იმ ჯგუფების შემთხვევაში, რომლებშიც შემავალი ხელშეკრულებების ვადა აღემატება ერთ წელს, აკვიზიციის ფულადი ნაკადები უნდა განაწილდეს სადაზღვევო ხელშეკრულებების შესაბამის ჯგუფებზე და ამორტიზდეს შესაბამისი ჯგუფის სადაზღვევო პერიოდზე.	ბიზნესის ყველა მიმართულების შემთხვევაში, აკვიზიციის ფულადი ნაკადები უნდა განაწილდეს სადაზღვევო ხელშეკრულებების შესაბამის ჯგუფებზე და ამორტიზდეს შესაბამისი ჯგუფის სადაზღვევო პერიოდზე.
დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება (LFRC), დაკორექტირებული ფინანსური რისკისა და ფულის დროითი ღირებულების მიხედვით	თუ არ არსებობს დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი LFRC-სთან მიმართებით ან თუ მომსახურების თითოეული ნაწილის გაწევასა და შესაბამისი პრემიის გადახდის თარიღს შორის არ აღემატება ერთ წელს, საწარმოს არ ევალება კორექტირების შეტანა LFRC-ზე პროცენტის დარიცხვისთვის.	ვადაგადაცილებული მოთხოვნების შემთხვევაში, იქმნება რეზერვი LFRC-ზე პროცენტის დარიცხვისთვის. ყველა დანარჩენი მოთხოვნის შემთხვევაში, არ იქმნება რეზერვი, ვინაიდან პრემიები მიიღება სადაზღვევო პერიოდიდან ერთი წლის ვადაში.
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება (LFIC), კორექტირებული ფულის დროითი ღირებულების მიხედვით	თუ ზარალის დაფარვა მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში, იმ თარიღიდან, როდესაც წარმოიქმნა მოთხოვნა, სავალდებულო არ არის ამ თანხების კორექტირება ფულის დროითი ღირებულების მიხედვით.	ყველა მოთხოვნის შემთხვევაში, დამდგარი სადაზღვევო შემთხვევების დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელზე ნაკლებ ვადაში. აქედან გამომდინარე, არ გაკეთებულია კორექტირება ფულის დროითი ღირებულების მიხედვით.
სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	დასაშვებია LFIC-ის ცვლილების დინამიკის ნაწილის დეზაგრეგირება, თუ ის გამოწვეულია დისკონტირების განაკვეთის ცვლილებით და მისი წარმოდგენა სხვა სრულ შემოსავალში.	მითითებული არ არის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

სადაზღვევო ხელშეკრულებები – საწყისი შეფასება

ჯგუფი იყენებს პრემიების განაწილებაზე დაფუძნებულ მიდგომას ყველა სადაზღვევო ხელშეკრულებისთვის, რომლებსაც ის აფორმებს და გადაზღვევის ხელშეკრულებებისთვის, რომლებსაც ის ფლობს.

- ▶ ჯგუფში შემავალი თითოეული ხელშეკრულების სადაზღვევო პერიოდი, მათ შორის სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების, რომლებიც წარმოიშობა ყველა პრემიიდან, რომელიც განეკუთვნება ხელშეკრულების ფარგლებს, შეადგენს ერთ წელს ან უფრო ნაკლებს.

ან

- ▶ იმ ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ვადა ერთ წელზე მეტია, ჯგუფმა მოახდინა შესაძლო სამომავლო სცენარების მოდელირება და დასაბუთებულად მოელის, რომ დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება იმ ჯგუფისთვის, რომელშიც შედის ეს ხელშეკრულებები პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომის მიხედვით, არსებითად არ განსხვავდება იმ შეფასებისგან, რაც მიიღებოდა ზოგადი მოდელის გამოყენებით. არსებობის შეფასებისას ჯგუფმა ასევე გაითვალისწინა ხარისხობრივი ფაქტორები, როგორიცაა რისკის ხასიათი და საქმიანობის მიმართულებების ტიპები.

ხელშეკრულებების იმ ჯგუფისთვის, რომელიც არ არის წაგებიანი საწყისი აღიარებისას, ჯგუფი აფასებს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას, როგორც:

- ▶ პრემიებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლებიც მიიღება საწყისი აღიარებისას;
- ▶ გამოკლებული დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები ამ თარიღისთვის;
- ▶ მიმატებული ან გამოკლებული ყოველგვარი თანხა, რომელიც წარმოიშობა ამ თარიღით დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადებისთვის აღიარებული აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად, და;
- ▶ ნებისმიერი სხვა აქტივი ან ვალდებულება, რომელიც მანამდე აღიარებული ხელშეკრულებების ჯგუფთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისთვის, რომელსაც ჯგუფი იხდის ან იღებს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის აღიარებამდე.

ყველა დანარჩენი საქმიანობის შემთხვევაში, არ იქმნება რეზერვი ფულის დროითი ღირებულებისთვის, ვინაიდან პრემიები მიიღება სადაზღვევო პერიოდიდან ერთი წლის ვადაში.

თუ ფაქტები და გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ ხელშეკრულებები წაგებიან საწყისი აღიარებისას, ჯგუფი ატარებს დამატებით ანალიზს, რათა განსაზღვროს თანხების წმინდა გადინება მოსალოდნელია თუ არა ხელშეკრულებიდან. ასეთი წაგებიანი ხელშეკრულებები სხვა ხელშეკრულებებისგან ცალკე ჯგუფდება და ჯგუფი აღიარებს ზარალს მოგებაში ან ზარალში თანხების წმინდა გადინებისთვის, რის შედეგადაც ჯგუფის ვალდებულების საბალანსო ღირებულება უტოლდება გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. ჯგუფი ზარალის კომპონენტს განსაზღვრავს ხელშეკრულებების წაგებიანი ჯგუფის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებისთვის, რომელიც ასახავს აღიარებულ ზარალებს.

ფასს 17 ეხება ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებას (მაგ. სიცოცხლის, არასიცოცხლის, პირდაპირი დაზღვევა და გადაზღვევა), განურჩევლად იმისა, თუ რა ტიპის საწარმო აფორმებს მათ, ასევე გარკვეულ გარანტიებს და ფინანსურ ინსტრუმენტებს დისკრეციული მონაწილეობის პირობით.

ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები – საწყისი შეფასება

ჯგუფი აფასებს თავის გადაზღვევის აქტივებს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, რომელსაც ფლობს იმავე საფუძველზე, როგორზეც მის მიერ გაფორმებულ სადაზღვევო ხელშეკრულებებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

სადაზღვევო ხელშეკრულებები – შემდგომი შეფასება

ჯგუფი აფასებს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების საბალანსო ღირებულებას ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, როგორც დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას პერიოდის დასაწყისში:

- ▶ დამატებული პერიოდის განმავლობაში მიღებული პრემიები;
- ▶ გამოკლებული დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები;
- ▶ დამატებული ყოველგვარი თანხა, რომელიც უკავშირდება დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაციას, რომელიც აღიარებულია ხარჯად ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდში;
- ▶ გამოკლებული პერიოდის განმავლობაში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული სადაზღვევო ამონაგების თანხა.

ჯგუფი დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს აფასებს, როგორც გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულად ნაკადებს, რომლებიც უკავშირდება დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებს. გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მიუკერძოებლად ითვალისწინებს მიზანშეუწონელი დანახარჯების თუ ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომ ყველანაირ დასაბუთებულ და დადასტურებულ ინფორმაციას, რომელიც ეხება ამ მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობას, მათი წარმოშობის დროსა და დაკავშირებულ განუსაზღვრელობას; ისინი ასახავს ჯგუფის ხედვით ამჟამინდელ შეფასებებს და მოიცავს არაფინანსური რისკის აშკარა კორექტირებებს (რისკის კორექტირება). ჯგუფი არ აკორექტირებს სამომავლო ფულად ნაკადებს ფულის დროითი ღირებულების და ფინანსურ რისკის ეფექტის მიხედვით, დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესაფასებლად, რომელთა გადახდა მოსალოდნელია მათი გაწევიდან ერთი წლის ვადაში.

დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები გადანაწილდება დარიცხვის წრფივი მეთოდით, როგორც პრემიის ნაწილი მოგებაზე ან ზარალზე (სადაზღვევო ამონაგების მეშვეობით).

ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები – შემდგომი შეფასება

ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შემდგომი შეფასება იმავე პრინციპით ხდება, როგორითაც გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებებისა და ადაპტირებულია ისე, რომ ასახოს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების სპეციფიკური თვისებები.

დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები

დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები წარმოიშობა გაყიდვების დანახარჯებიდან, ანდერაიტიზიდან და სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის გაფორმებიდან (რომლებიც უკვე გაფორმებულია ან რომელთა გაფორმება მოსალოდნელია), რომლებიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი იმ სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელისთვის, რომელსაც ჯგუფი მიეკუთვნება.

ჯგუფი გასანაწილებლად იყენებს სისტემატურ და რაციონალურ მეთოდს:

- ა) დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები, რომლებიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფისთვის;
 - ▶ ამ ჯგუფზე; და
 - ▶ ჯგუფებზე, რომლებიც შეიცავს ისეთ სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომელთა წარმოშობა მოსალოდნელია ამ ჯგუფში შემავალი სადაზღვევო ხელშეკრულებების განახლების შედეგად.
- ბ) დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები, პირდაპირ მიკუთვნებადი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც პირდაპირ არ არის მიკუთვნებადი ხელშეკრულებების ჯგუფებისთვის, პორტფელის ჯგუფებზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

როდესაც დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები გადახდილია ან დამდგარია შესაბამისი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის აღიარებამდე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თითოეული დაკავშირებული ჯგუფისთვის ხდება დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით ცალკე აქტივის აღიარება.

დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივის აღიარება წყდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები აისახება სადაზღვევო ხელშეკრულებების შესაბამისი ჯგუფის საწყის შეფასებაში. დროის მონაკვეთები, რომლებშიც ჯგუფი მოელის ზემოაღნიშნული დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მოცემულია მე-11 შენიშვნაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფებზე განაწილებული დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ოდენობებს, რომლებიც ჯერ არ არის აღიარებულია, რომ ასახოს განაწილების გამოყენებულ მეთოდთან დაკავშირებულ დაშვებებში შესული ცვლილებები.

ხელახლა განაწილების შემდეგ ჯგუფი აფასებს დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივის ანაზღაურების შესაძლებლობას, თუ ფაქტები და გარემოებები მიანიშნებს აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ანაზღაურების შესაძლებლობის შეფასებისას ჯგუფი იყენებს:

- ▶ გაუფასურების ტესტს არსებული ან სამომავლო სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის დონეზე;
- ▶ დამატებით გაუფასურების ტესტს, რომელიც მოიცავს კონკრეტულად ხელშეკრულებების მომავალში მოსალოდნელ განახლებებზე განაწილებულ დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებს.

თუ ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, აქტივის საბალანსო ღირებულება კორექტირდება და გაუფასურების ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი მოგებაში ან ზარალში აღიარებს მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის მთლიან ან ნაწილობრივ აღდგენილ ოდენობას და ზრდის აქტივის საბალანსო ღირებულებას, როდესაც გაუფასურების გამომწვევი პირობები აღარ იარსებებს ან გაუმჯობესდება.

სადაზღვევო ხელშეკრულებები – მოდიფიკაცია და აღიარების შეწყვეტა
ჯგუფი სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც:

- ▶ როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები შეწყდება (ვადა გაუვა, დაიფარება ან გაუქმდება).

ან

- ▶ ხელშეკრულების მოდიფიკაცია ხდება ისე, რომ მოდიფიკაცია განაპირობებს ცვლილებას შეფასების მოდელში ან ხელშეკრულების კომპონენტის შესაფასებლად გამოყენებულ სტანდარტში, არსებითად ცვლის ხელშეკრულების ფარგლებს ან მოითხოვს, რომ მოდიფიცირებული ხელშეკრულება შევიდეს სხვა ჯგუფში. ასეთ შემთხვევებში კომპანია ახდენს თავდაპირველი ხელშეკრულების აღიარების შეწყვეტას და მოდიფიცირებულ ხელშეკრულებას აღიარებს ახალი ხელშეკრულების სახით.

როდესაც მოდიფიკაცია არ აღირიცხება, როგორც აღიარების შეწყვეტა, ჯგუფი აღიარებს ხელშეკრულების მოდიფიკაციისთვის გადახდილ ან მიღებულ თანხებს, როგორც შესაბამისი დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების კორექტირებას.

წარდგენა

ჯგუფს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე აქვს წარმოდგენილი გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც არის აქტივები, გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც არის ვალდებულებები, ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც არის აქტივები და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც არის ვალდებულებები.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივები, რომლებიც აღიარებულია შესაბამის სადაზღვევო ხელშეკრულებამდე, ასახულია სადაზღვევო ხელშეკრულებების შესაბამისი ჯგუფების საბალანსო ღირებულებაში და განაწილებულია იმ სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის საბალანსო ღირებულებებზე, რომლებსაც ისინი უკავშირდება.

ჯგუფი ახდენს კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული მთლიანი თანხის დეზაგრეგირებას გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგად, რომელიც მოიცავს სადაზღვევო ამონაგებს და სადაზღვევო მომსახურების ხარჯებს, და დაზღვევასთან დაკავშირებულ საკურსო სხვაობის ცვლილების დინამიკას.

ურთიერთგადაფარვა

მსხვილ კონტრაქტებთან გაფორმებული დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებების აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლება და ურთიერთგაქვითვის სურვილი (მე-11 შენიშვნა).

ჯგუფი არ ახდენს არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების თანხის ცვლილების დეზაგრეგირებას ფინანსურ და არაფინანსურ ნაწილს შორის და მთლიანი თანხის ცვლილებას ასახავს, როგორც სადაზღვევო მომსახურების შედეგის ნაწილს.

ჯგუფი გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან მიღებული ხარჯებისა და შემოსავლისგან განცალკევებით წარმოადგენს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან მიღებულ შემოსავალს და ხარჯებს.

სადაზღვევო ამონაგები

პერიოდის სადაზღვევო ამონაგები არის მოსალოდნელი მისაღები პრემიების თანხა (გარდა საინვესტიციო კომპონენტებისა, რომელიც განაწილებულია ამ პერიოდზე. ჯგუფი მოსალოდნელ მისაღებ პრემიებს სადაზღვევო ხელშეკრულებით გაწეული მომსახურების თითოეულ პერიოდზე ანაწილებს დროის გასვლის საფუძველზე.

საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფი განაწილებს საფუძველს ცვლის ზემოაღნიშნულ ორ მეთოდს შორის, თუ ფაქტები და გარემოებები შეიცვლება. ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად, როგორც ცვლილება ბუღალტრულ აღრიცხვაში.

წარმოდგენილი პერიოდებისთვის ყოველგვარი ამონაგები აღიარებულია დროის გასვლის საფუძველზე.

წმინდა შემოსავალი ან ხარჯი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან

ჯგუფი კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცალ-ცალკე წარადგენს მზღვევლის მიერ ანაზღაურებულ თანხებს და გადაზღვევისთვის გადახდილი პრემიების განაწილების თანხებს. ჯგუფი გადაზღვევასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს, რომლებიც პირობითია და დამოკიდებულია საბაზისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სადაზღვევო შემთხვევებზე, ასახავს იმ სადაზღვევო შემთხვევების შემადგენლობაში, რომელთა ანაზღაურება მოსალოდნელია ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულების მეშვეობით; და გამორიცხავს საინვესტიციო კომპონენტებს და საკომისიოებს გადაზღვევის პრემიების განაწილებას, რომლებიც წარმოდგენილია კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

საწყისი აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელზე.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების თარიღით და ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით. გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა, ამ თანხას ემატება გარიგების დანახარჯები.

შეფასების კატეგორიები

ჯგუფი ყველა თავისი ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას ახდენს ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელისა და სახელშეკრულებო პირობების მიხედვით. კატეგორიები მოიცავს შემდეგს:

- ▶ ამორტიზებული ღირებულება;
- ▶ სამართლიანი ღირებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით (სდმზ).

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით ფლობილი სავალო ინსტრუმენტები, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი ორივე პირობა:

- ▶ ინსტრუმენტების ფლობა ხდება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანიც არის ინსტრუმენტის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით;
- ▶ სავალო ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს (SPPI).

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ამ კატეგორიაში შედის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც იმართება სამართლიანი ღირებულების ბიზნესმოდელით ან რომლებიც ხელმძღვანელობამ საწყისი შეფასებისას მიაკუთვნა მას, ან, ფასს 9-ის მიხედვით, სავალდებულოა მათი სამართლიანი ღირებულებით შეფასება. ამ კატეგორიაში შედის სავალო ინსტრუმენტები, რომელთა ფულადი ნაკადები ვერ აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს და მათი ფლობის ბიზნესმოდელის მიზანი არ არის ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება მათგან, ისე მათი გაყიდვა.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი

შესაბამისი ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის შეფასება ფასს 9-ის მიხედვით საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ, სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობისა და წარმოშობის დროის პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ეს შეფასებები ეყრდნობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელირებული სცენარების შედეგს და გამოყენებულ ამოსავალ მონაცემებს.

საწყისი აღიარებისას ჯგუფი ქმნის საკრედიტო ზარალის რეზერვებს/ანარიცხებს, თორმეტთვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ოდენობით. იგი გამოითვლება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების გამრავლებით დეფოლტის ალბათობაზე მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში (ჯგუფი იყენებს Moody's, S&P Global და Fitch Ratings-ის მიერ მინიჭებულ რეიტინგებს რეიტინგის მქონე კომპანიების დეფოლტის ალბათობების შესაფასებლად, სხვა, რეიტინგის არ მქონე კომპანიების შემთხვევაში გამოიყენება მშობელი საწარმოს რეიტინგი, თუ ის არ არის ხელმისაწვდომი, ჯგუფი იყენებს ორი ნიშნულით შემცირებულ ქვეყნის სუვერენულ რეიტინგს) და გამოითვლის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელსაც განაპირობებდა ეს დეფოლტი (მე-3 შენიშვნა, მე-17 შენიშვნა).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია შემდეგ შენიშვნებშია წარმოდგენილი:

- ▶ ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ზარალი – მე-17 შენიშვნა;
- ▶ მნიშვნელოვანი განსჯის და შეფასებების განმარტებითი შენიშვნები – მე-4 შენიშვნა.

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალ ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც ჯგუფი მოელის, რომელიც დისკონტირებულია სათანადო ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, გარდა უვადო ობლიგაციებისა და წილობრივი ინსტრუმენტებისა, რომლებიც ფასდება სმშ-ით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

ჩამოწერები

ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჯგუფი უიმედოდ მიჩნეულ აქტივებს, როგორც წესი, 180 დღით ვადაგადაცილების შემდეგ ჩამოწერს. თუ ჩამოსაწერი თანხა აღემატება დაგროვილი ზარალის რეზერვს, სხვაობა თავდაპირველად აღირიცხება რეზერვზე დამატების სახით, რომელიც შემდეგ გამოიყენება მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული პირობებით, ან თუ მოკლევადიანი ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის განსხვავება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა

ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის სცენარებზე დაყრდნობით იმისათვის, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია სათანადო ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად ჯგუფისთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, ჯგუფი განიხილავს ოთხ სცენარს (საბაზისო, ოპტიმისტური და ოდნავ პესიმისტური და უფრო პესიმისტური). საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სცენარის შეფასება ასევე შეიცავს იმის ალბათობას, რომ დეფოლტის სიტუაციაში მყოფი სესხები შეიძლება გაჯანსაღდეს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ და მისი ძირითადი კომპონენტებია:

- ▶ PD - დეფოლტის ალბათობა არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება. იგი გამოითვლება ეკონომიკური სცენარებისა და საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინებით.
- ▶ EAD - დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება არის დეფოლტის სამომავლო თარიღისთვის განსაზღვრული დავალიანება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ დავალიანებაში მოსალოდნელ ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (დაფარვის გრაფიკის მიხედვით ან არა) და გადაუხდელ შენატანებზე დარიცხულ პროცენტს.
- ▶ LGD - დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში არის დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის დადგომის შემთხვევაში წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც ჯგუფი მოელის. ჩვეულებრივ, გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების (EAD) პროცენტის სახით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ჯგუფი თავის აქტივებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მიხედვით ანაწილებს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე კატეგორიაზე;

- ▶ 12-თვიანი საკრედიტო ზარალი – გამოითვლება, როგორც აქტივის გრძელვადიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. ეს მოსალოდნელი 12-თვიანი დეფოლტის ალბათობები გამოიყენება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროგნოზზე, მრავლდება დეფოლტის მომენტისთვის მოსალოდნელ დაუფარავ დავალიანებაზე და დისკონტირდება სათანადო ეფექტურ საპროცენტო განაკვეთით. ეს გამოთვლა ხორციელდება თითოეული სცენარისთვის, როგორც ზემოთ არის აღწერილი.
- ▶ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – როდესაც ინსტრუმენტის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ჯგუფი ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. სპეციფიკა ზემოთ განმარტებულის მსგავსია, სხვადასხვა სცენარის გამოყენების ჩათვლით, მაგრამ დეფოლტის ალბათობები და დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში გამოითვლება ინსტრუმენტის მთელ ვადაზე. მოსალოდნელი ზარალის დისკონტირება ხდება სათანადო ეფექტური საპროცენტო განაკვეთით;
- ▶ გაუფასურება – იმ სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულად, ჯგუფი აღიარებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. ეს მეთოდი აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის გამოყენებული მეთოდის მსგავსია, მაგრამ დეფოლტის ალბათობა, ამ შემთხვევაში, 100 %-ით არის განსაზღვრული.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებს, მაგალითად, წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 35-ე შენიშვნაში.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომლებისთვისაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება ისე, რომ მაქსიმალურად იყენებდეს ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს და მინიმალურად - არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც, საერთო ჯამში, მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ფასს 9-ის მიხედვით, საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ყველა ფინანსური აქტივისთვის. პროცენტიანი ფინანსური აქტივების მსგავსად, რომლებიც ადრე კლასიფიცირებული იყო, როგორც გასაყიდად არსებული ან დაფარვის ვადამდე ფლობილი ბასს 39-ის მიხედვით, ფასს 9-ის თანახმად სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, პროცენტიანი ფინანსური აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით აღირიცხება. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ახდენს მომავალში სავარაუდოდ მიღებული ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ფინანსური აქტივის მოსალოდნელ ვადაზე, ან, როცა ეს მიზანშეწონილია, უფრო მოკლე პერიოდზე, ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (და, შესაბამისად, ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება) გამოითვლება გარიგების დანახარჯებისა და ფინანსური აქტივის შეძენისას ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის გათვალისწინებით, ასევე იმ საკომისიოებისა და დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია. ჯგუფი საპროცენტო შემოსავალს აღიარებს უკუგების კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც ყველაზე ზუსტად აფასებს მუდმივ უკუგების განაკვეთის სავალ ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში.

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი შედგება თანხებისგან, რომლებიც გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და სხვა მეთოდებით (რაც მოიცავს საბანკო ანაზღაურების, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალ ინსტრუმენტების და გაცემული სესხების პროცენტს). მათი წარმოდგენა ხდება ცალკე კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ჯგუფი გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსურ აქტივებზე, საკრედიტო რისკით გაუფასურებულად მიჩნეული აქტივების გარდა, ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსავალი/(ხარჯი) ფინანსური აქტივებიდან

ჯგუფს მიაჩნია, რომ უფრო სამართლიან წარდგენას უზრუნველყოფს, თუ ინვესტიციასთან დაკავშირებულ ყველა საკურსო სხვაობით განპირობებულ შემოსავალს/(ხარჯს) წარმოადგენს ინვესტიციის შედეგის სახით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულისგან, მიმდინარე ანგარიშებისა და საბანკო ანაზღაურებისგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან სამი თვის ვადა და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისგან.

გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი თავდაპირველად 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წლის 5 მაისს ფინანსური დაწესებულებებისთვის ამ ცვლილების ამოქმედების თარიღმა 2023 წლის 1 იანვრამდე გადაიწია, რომელიც 2022 წლის დეკემბერში კიდევ გადავადდა 2024 წლის 1 იანვრამდე. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, და არა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახადი გადასახადის ოდენობა იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები ასახულია სხვა საოპერაციო ხარჯების კომპონენტებად.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების შემდეგი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

	წლები
საოფისე შენობები	50
ავეჯი და მოწყობილობები	5-10
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5

საიჯარო ქონების გაუმჯობესებების ცვეთა ხდება შესაბამისი საიჯარო აქტივის მთლიანი ვადის განმავლობაში, ან იჯარის მოსალოდნელ ვადაზე, თუ ეს უკანასკნელი უფრო ხანმოკლეა.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები დაირიცხება მათი გაწვევისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

საპენსიო ფონდის აქტივები და ვალდებულებები

ჯგუფი თავის ხელმძღვანელობასა და დასაქმებულებს, თავისი ყოფილი მშობელი საწარმოს, საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ და მისი საწარმოების ხელმძღვანელობასა და დასაქმებულებს, თავისი მშობელი საწარმოს ხელმძღვანელობასა და დასაქმებულებს და საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალის“ სხვა საწარმოებსა და ჯგუფთან დაუკავშირებელ კლიენტებს სთავაზობს კერძო საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამას. აღნიშნული წარმოადგენს დადგენილშენატანთან საპენსიო პროგრამას, რომელიც ეხება ჯგუფის სრულ განაკვეთზე მომუშავე თითქმის ყველა დასაქმებულს და სხვა დაკავშირებული ან არადაკავშირებული საწარმოებში დასაქმებულებს. ჯგუფი შენატანებს იღებს თავისი დასაქმებულებისგან და ასევე სხვა კლიენტების დასაქმებულებისგან. როდესაც დასაქმებული მიაღწევს საპენსიო ასაკს, დაგროვილი შენატანები, ნებისმიერი დამატებითი შემოსავლის ჩათვლით, გადახდილ უნდა იქნას დასაქმებულისთვის მასთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. დაგროვილი თანხა ნაწილდება სათანადო პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული მიიღებს დაგროვილ დახმარებას. დაკავებული თანამდებობის გათავისუფლების შემთხვევაში, დასაქმებულს აქვს დაგროვილი შენატანების ერთიანად მიღების უფლება.

ჯგუფს აქვს მიღებული ლიცენზია, აწარმოოს საპენსიო ფონდის საქმიანობა (1-ელი შენიშვნა). ამ ლიცენზიით ის უფლებამოსილია მიიღოს საპენსიო შენატანები საქართველოს მოსახლეობისგან და აიღოს მათი შემდგომი გადახდის ვალდებულება სარგებლის ჩათვლით.

ფონდის აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საპენსიო ფონდის აქტივებისა და საპენსიო ფონდის ვალდებულებების ნაწილში. საპენსიო ფონდის აქტივები და საპენსიო ფონდის ვალდებულებები ფასდება ბაზის 39-ის მიხედვით, ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, საწყისი აღიარებისას მათი კლასიფიკაციის მიხედვით. ჯგუფი საინვესტიციო გეგმის მონაწილეებს არ აძლევს ინვესტიციიდან შემოსავლის გარანტიას.

იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი იყენებს აღიარების და შეფასების ერთ მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ჯგუფი აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ გადაიხადოს საიჯარო გადახდები და აქტივის გამოყენების უფლება, რომლებიც წარმოადგენს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლებას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა (გაგრძელება)

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარების გამონაკლისებს თავის სატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის იჯარაზე მთელი ჯგუფის მასშტაბით. გამონაკლისი არ გამოიყენება უძრავი ქონების იჯარაზე. ჯგუფი გამოიყენებს დაბალი ღირებულების მქონე იჯარისთვის განკუთვნილ გამონაკლისს თავისი დაბალი ღირებულების მქონე აქტივების, მაგალითად, კომპიუტერებისა და ავეჯის, იჯარისთვის (აქტივები, რომელთა ღირებულება, ახლის შემთხვევაში, მაქსიმუმ, 15 ათასი ან ნაკლები ლარია). მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივებში შედის კომპიუტერული პროგრამები, ლიცენზიები და საკუთარი რესურსებით შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა.

ცალკეული არამატერიალური აქტივი საწყისი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის – 4-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები საკუთარ კაპიტალად არის კლასიფიცირებული. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავალი ავტომატურად მომსახურებიდან და ავტომატურად ვაჭრობიდან

შემოსავლის აღიარება ხდება იმისათვის, რომ ასახოს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემა იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. საქონელი ან მომსახურება გადაცემულად ითვლება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს მასზე კონტროლს. შემოსავალი ავტომატურად პერიოდული ტექნიკური დათვალიერებიდან აღიარებულია გაყიდვასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით დროის იმ მომენტში, როდესაც ხდება ავტომატური დათვალიერების მომსახურების გაწევა. ჯგუფი ავტომატურად გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ავტომატური კლიენტისთვის ჩაბარებისას.

ავტომატური მომსახურების ხარჯი და გაყიდული ავტომატური თვითღირებულება

ავტომატური მომსახურების დანახარჯი მოიცავს ყველა იმ ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მომსახურების გაწევას. ეს ხარჯები მოიცავს შრომის პირდაპირ დანახარჯებს ხელფასების სახით, მასალის პირდაპირ ხარჯს და ზედანდები ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მომსახურების გაწევას. გაყიდული ავტომატური მომსახურება მოიცავს ყველა ხარჯს, რომელიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი ავტომატური გაყიდვისთვის, მათ შორის, შესყიდული ავტომატური ღირებულებას, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ავტომატური ტრანსპორტირების ხარჯს და სხვა ხარჯებს, რომლებიც უკავშირდება კლიენტისთვის ავტომატური მიყიდვას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფისა და მისი შვილობილი საწარმოების სამუშაო ვალუტაა.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების გადაანგარიშების შედეგად მიღებული შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა/(ზარალი).

სხვაობები უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალის მუხლში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 2.6894 და 2.7020 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე. ჯგუფი ახდენს ინფორმაციის დეზაგრეგირებას, რომ წარმოადგინოს ინფორმაცია მსხვილი პროდუქტების, კერძოდ, ავტო, პასუხისმგებლობის, დებიტორის სიცოცხლის, ქონების, აგრო და ბიზნესის სხვა მიმართულებების დაზღვევის და გადაზღვევის პროდუქტების შესახებ. ეს დეზაგრეგირება განისაზღვრა იმის საფუძველზე, თუ როგორ იმართება ჯგუფი.

დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები

ჯგუფი სადაზღვევო ხელშეკრულებების შეფასების გასამარტივებლად იყენებს პრემიების განაწილებაზე დაფუძნებულ მიდგომას (PAA). დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების შეფასებისას PAA დიდად ჰგავს ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვის წინა წესს ფასს 4-ის მიხედვით.

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება

წაგებიანი ჯგუფები

2015 წლის 16 აპრილს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის ყოფილი აქციონერებიდან ზოგიერთმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“, „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის და „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ წინააღმდეგ, რომელთაგან ყველა „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ სამართალმემკვიდრეა. 2014 წელს გაფორმებული ბიზნესის გაყოფის ხელშეკრულების თანახმად, „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ (ყოფილი „ალდაგი BCI“) ბიზნესი და აქტივები და ვალდებულებები სამ საწარმოზე განაწილდა: „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-მა მიიღო სამედიცინო და სამოგზაურო დაზღვევის ბიზნესი, „სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ მიიღო ჯანდაცვის მომსახურების ბიზნესი, ხოლო „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ აგრძელებს ფუნქციონირებას, როგორც ქონების, უბედური შემთხვევების და საპენსიო დაზღვევის ბიზნესი. სარჩელის მიხედვით, მოსარჩელეთა მიერ ფლობილი აქციების 66.0% კომპანიის სააქციო კაპიტალში 2012 წელს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი BCI“-ზე გაიყიდა იძულების წესით საბაზროზე დაბალი ღირებულებით და მოთხოვნილი ზარალის ანაზღაურება შეადგენს 17 მილიონ აშშ დოლარს, რასაც ემატება მოთხოვნილი თანხის წლიური 10% დაკარგული შემოსავლის სახით. 2022 წლის ივლისში თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება მოსარჩელების სასარგებლოდ გამოიტანა და ჯგუფს 12.7 მილიონი აშშ დოლარის სოლიდარულად ანაზღაურება და 5%-ის დაკარგული შემოსავლის კომპენსაციის სახით გადახდა დააკისრა (ჯამში 20.1 მილიონი აშშ დოლარი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით). ჯგუფმა გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა 2022 წლის სექტემბერში.

დავის სტატუსში მას შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სარჩელში აღწერილი ფაქტები არ არის გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებით. არანაირი სამართალდარღვევა ან უკანონო ქმედების ჩადენა არ მტკიცდება. სარჩელი წარმოდგენილია მხოლოდ განცხადებების სახით და არ არსებობს ასეთი ქმედებების მტკიცებულება, ვინაიდან აღნიშნული ქმედებები არ განხორციელებულა. ამრიგად, 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს არ აქვს აღიარებული რეზერვი ამ სასამართლო დავასთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობას გონივრულობის ფარგლებში მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

25. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

იურიდიული საკითხები (გაგრძელება)

სადაზღვევო პოლისებთან დაკავშირებული იურიდიული სარჩელებისა და საჩივრების გათვალისწინება ხდება დამდგარი სადაზღვევო შემთხვევების შესაბამისი ვალდებულების შეფასებისას.

გადასახადები

ამჟამად საქართველოში სახელმწიფო ორგანოების მიერ დაკისრებულ სხვადასხვა გადასახადთან დაკავშირებით რამდენიმე კანონი მოქმედებს. მათ შორისაა დამატებითი ღირებულების, მოგების და სხვა გადასახადები. სხვა უფრო განვითარებული ეკონომიკური ბაზრებისგან განსხვავებით ამ გადასახადების შესახებ კანონები დიდი ხანი არაა, რაც მოქმედებს. ამიტომ ნორმატიული აქტები ხშირად ბუნდოვანია ან საერთოდ არ მოიძებნება, ან არასაკმარისი პრეცედენტი არსებობს. ამის გამო საგადასახადო რისკები საქართველოში ჩვეულებრივ გაცილებით მაღალია, ვიდრე უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემის მქონე ქვეყნებში.

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. ხელმძღვანელობის მიერ ამგვარი ნორმების განმარტებები, რომლებიც გამოიყენება ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით, შესაძლებელია ექვექცეშ დააყენონ შესაბამისმა რეგიონულმა და სახელმწიფო სამსახურებმა. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ექვექცეშ არ დამდგარა, ახლა სადავო გახდეს. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ ფისკალური პერიოდები, კერძოდ – შემოწმების წლიდან წინა სამი კალენდარული წელი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებული განმარტება ჯეროვანია და რომ ჯგუფის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი არსებითად აკმაყოფილებს იმ საგადასახადო კანონებს, რომლებიც მის საქმიანობას ეხება. ამის მიუხედავად, მაინც არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამა თუ იმ კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინონ. ჯგუფის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, მათ შორის არსებული და სამომავლო კანონმდებლობისა და საგადასახადო კოდექსის პრაქტიკაში განხორციელება და ინტერპრეტაცია. მსგავს მოვლენებსა და მათ შედეგებს შეიძლება გადამწყვეტი გავლენა ჰქონდეს ჯგუფის საქმიანობაზე და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოში.

26. სადაზღვევო მომსახურების ხარჯები

წმინდა სადაზღვევო ზარალი მოიცავს შემდეგს:

	შენიშ- ვნები	აგრო	ვალდე- ბულება	დებიტორის სივრცის დაზღვევა	უძრავი ქონება	აგრო	სხვა	სულ
2023 წ.								
სადაზღვევო ზარალის და სხვა ხარჯები	11	(32,870)	(1,679)	(16,447)	(8,258)	(13,650)	(1,722)	(74,626)
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	11	(7,858)	(1,741)	(32)	(2,473)	(2,236)	(2,047)	(16,387)
სულ სადაზღვევო მომსახურების ხარჯი		(40,728)	(3,420)	(16,479)	(10,731)	(15,886)	(3,769)	(91,013)

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

26. სადაზღვევო მომსახურების ხარჯები (გაგრძელება)

	შენიშ- ვნები	აგრო	ვალდებ- ულობა	დებიტორის სიცოცხლის დაზღვევა	უძრავი ქონება	აგრო	სხვა	სულ
2022 წ.								
სადაზღვევო ზარალის და სხვა ხარჯები	11	(24,443)	(5,952)	(13,876)	(7,548)	(1,797)	(1,411)	(55,027)
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	11	(5,142)	(1,821)	(401)	(2,152)	(882)	(1,633)	(12,031)
სულ სადაზღვევო მომსახურების ხარჯი		(29,585)	(7,773)	(14,277)	(9,700)	(2,679)	(3,044)	(67,058)

27. შემოსავალი ავტომანქანების მომსახურებიდან და ავტომანქანით ვაჭრობიდან

2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფმა დაიწყო შემოსავლის მიღება ავტომანქანების მომსახურებასთან დაკავშირებული ოპერაციებიდან, მათ შორის მეორადი ავტომანქანების გაყიდვიდან და ავტომანქანების პერიოდული ტექნიკური დათვალიერების მომსახურებიდან. 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფმა ასევე დაიწყო ავტომანქანების რეცხვის მომსახურებიდან შემოსავლის მიღება. შემოსავლის წყარო ავტომანქანების მომსახურებიდან მიიღება, როგორც საცალო ისე კორპორატიული კლიენტებისგან.

პერიოდული ტექნიკური დათვალიერება ტარდება 51 პერიოდული ტექნიკური დათვალიერების ხაზის მეშვეობით, რომლებიც გადანაწილებულია 32 ცენტრში საქართველოს მასშტაბით (13 ლოკაცია თბილისში და 19 ლოკაცია რეგიონებში (საიდანაც სამი მობილური ხაზია)). ტექნიკური დათვალიერების ფასები დადგენილია კანონმდებლობით და შეადგენს 60 ლარს მსუბუქი ავტომანქანებისთვის და 100 ლარს სატვირთო ავტომობილებისთვის, დღგ-ის ჩათვლით.

რაც შეეხება, ავტომანქანების გაყიდვას, შემოსავლის ნაკადი, როგორც წესი, მიიღება საცალო კლიენტებისგან საქართველოში. ავტომანქანების გაყიდვის პირობები ასეთია: კლიენტი დეპოზიტზე რიცხვს თანხას ავტომანქანის გადაცემამდე. ჯგუფი, როგორც წესი, ავტომანქანებს განვადებით არ ყიდის.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა ავტომანქანების მომსახურებიდან და გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი შემდეგნაირად აღიარა:

	2023	2022
შემოსავალი პერიოდული ტექნიკური დათვალიერებიდან	19,244	15,269
შემოსავალი ავტომანქანების გაყიდვიდან	11	6,990
შემოსავალი ავტომანქანების რეცხვიდან	1,537	1,477
სულ შემოსავალი ავტომანქანების მომსახურებიდან	20,792	23,736

ჯგუფის სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	2023	2022
ავტომანქანების მომსახურებასთან და ავტომანქანების გაყიდვასთან დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნები	154	147
ავტომანქანების გაყიდვაზე მიღებული ავანსები	27	18

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. ავტომანქანების მომსახურების ხარჯი და გაყიდული ავტომანქანების თვითღირებულება

ავტომანქანების მომსახურებაზე გაწეული დანახარჯი:

	2023	2022
პერიოდული ტექნიკური დათვალიერების ხარჯი	(5,109)	(4,218)
გაყიდული ავტომანქანების თვითღირებულება	(25)	(7,114)
ავტომანქანების რეცხვის თვითღირებულება	(762)	(698)
სულ ავტომანქანების მომსახურებაზე გაწეული დანახარჯი	(5,896)	(12,030)

პერიოდული ტექნიკური დათვალიერების ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
პირდაპირი სახელფასო ხარჯი	(3,035)	(2,666)
მასალების პირდაპირი ხარჯი	(23)	(76)
სხვა	(2,051)	(1,476)
სულ პერიოდული ტექნიკური დათვალიერების ხარჯი	(5,109)	(4,218)

29. საინვესტიციო მოგება

საინვესტიციო შემოსავალი ფინანსური ინსტრუმენტებიდან მოიცავდა შემდეგს:

	2023	2022 (გადაანგარიშებული)
საბანკო ანაზღაურებები	7,693	5,283
გაცემული სესხები	631	338
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	985	620
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	9,309	6,241
სხვა საპროცენტო შემოსავალი	68	–
გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობა/ (ზარალი) კაპიტალის ინვესტიციებზე, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით	278	(879)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი (მე-17 შენიშვნა)	(10)	(39)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	122	222
ინვესტიციის შედეგი	9,767	5,545

30. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
ხელფასები	(10,911)	(9,548)
პრემიები	(4,764)	(3,539)
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია	(4,285)	(3,847)
დაზღვევა და სხვა სარგებელი	(503)	(500)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(20,463)	(17,434)

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

31. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
მარკეტინგი და რეკლამა	(1,896)	(1,193)
კომუნალური მომსახურება	(890)	(776)
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება	(749)	(599)
საწევრო შენატანები	(635)	(547)
საოპერაციო გადასახადები	(498)	(547)
საოფისე მარაგები	(428)	(366)
ბანკებისთვის გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო	(293)	(255)
თანამშრომელთა გადამზადება	(251)	(289)
ძირითადი საშუალებების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	(195)	(196)
სამივლინებო და მასთან დაკავშირებული ხარჯები	(174)	(97)
წარმომადგენლობითი	(151)	(125)
საკომუნიკაციო მომსახურება	(134)	(121)
საწვავი	(118)	(166)
დაცვა-უსაფრთხოება	(82)	(73)
საქველმოქმედო საქმიანობა	(36)	(24)
შენობის დატვირთვა და იჯარა	(24)	(14)
სხვა	(652)	(669)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	(7,206)	(6,057)

შენობის დატვირთვისა და იჯარის ხარჯი 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მთლიანად არის მიკუთვნებადი დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისთვის.

ჯგუფის აუდიტორის ანაზღაურება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შედგება ჯგუფის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელოსგან 31 ლარის ოდენობით (2022 წ.: ჯგუფის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელო 28 ლარის), დღგ-ის გარეშე.

32. წმინდა სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი მოიცავს:

	2023	2022
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
ჯარიმა ხელშეკრულების დარღვევისთვის	399	349
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	81	13
შემოსულობა საიჯარო ვალდებულებების თავიდან შეფასებიდან	–	111
შემოსავალი „მწვანე ბარათების“ გაყიდვიდან	–	211
სხვა	735	829
სხვა საოპერაციო შემოსავალი, სულ	1,215	1,513
სხვა საოპერაციო ხარჯები		
სხვა საოპერაციო ხარჯები	(9)	(75)
სხვა საოპერაციო ხარჯები, სულ	(9)	(75)
წმინდა სხვა საოპერაციო ხარჯები	1,206	1,438

33. წმინდა არარეგულარული მუხლები

2023 წელს სს „გრინვეი საქართველოს“ სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების საფუძველზე დაეკისრა 640 ლარის გადახდა კონტრაქტორისთვისაც, რომელთან დავაც მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით. აღნიშნული თანა აღიარებულია, როგორც არარეგულარული მუხლი.

დანარჩენი თანხა, რომელიც 2023 წელს აღიარდა, როგორც არარეგულარული მუხლი, დაკავშირებულია შპს „გრინვოშის“ ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან, რომელიც მისი ერთ-ერთი ფილიალის დახურვამ განაპირობა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

34. რისკის მართვა

ჯგუფის საქმიანობას ახასიათებს რამდენიმე რისკი. ამიტომ რისკის მართვა მისი სადაზღვევო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. რისკი ჯგუფის საქმიანობისთვის გარდაუვალია, მაგრამ მისი მართვა ხდება მუდმივი იდენტიფიკაციით, შეფასებითა და ყოველდღიური მონიტორინგით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების გათვალისწინებით. ჯგუფის შიგნით თითოეული პირი პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის სფეროში რისკების მართვაზე. ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკები უკავშირდება საკრედიტო საქმიანობას, ლიკვიდურობას და ბაზარზე საპროცენტო და სავალუტო კურსების თუ აქციების ფასების ცვალებადობას. ქვემოთ მოცემულია ამ რისკებთან მიმართებაში ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკის მოკლე აღწერა.

მართვის სისტემა

ჯგუფის რისკებისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია ჯგუფის დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს ჯგუფის საქმიანობის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. ჯგუფი აღიარებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას.

ჯგუფმა დააფუძნა რისკის მართვის ფუნქცია დირექტორთა საბჭოსთვის, მისი კომიტეტებისა და დაკავშირებული აღმასრულებელი მმართველი კომიტეტებისათვის განკუთვნილი უფლებამოსილების აღწერილობით. ასევე შემუშავებულ იქნა მკაფიო ორგანიზაციული სტრუქტურა საბჭოს მიერ აღმასრულებელი მმართველი კომიტეტებისა და ზედა რგოლის ხელმძღვანელებისთვის დოკუმენტირებული დელეგირებული უფლებებითა და პასუხისმგებლობით. და ბოლოს, შეიქმნა ჯგუფის პოლიტიკის სქემა, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის მზადყოფნას რისკისათვის, რისკის მართვის, კონტროლისა და საქმიანობის წარმართვის სტანდარტებს ჯგუფის წარმოებული საქმიანობისათვის. თითოეულ პოლიტიკას მიჩენილი ჰყავს ზედა რგოლის ხელმძღვანელობის წევრი, რომელიც პასუხისმგებელია ჯგუფში პოლიტიკის დაცვის უზრუნველყოფაზე.

საბჭომ დაამტკიცა ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემატურად იკრიბება პოლიტიკაში ნებისმიერი კომერციული, ნორმატიული ან ორგანიზაციული მოთხოვნების დასამტკიცებლად. პოლიტიკა განსაზღვრავს ჯგუფის მიერ რისკების იდენტიფიკაციას და განმარტებას, ლიმიტის სტრუქტურას, რათა უზრუნველყოს აქტივების სათანადო ხარისხი და დივერსიფიკაცია, ანდერაიტინგისა და გადაზღვევის სტრატეგიის შესაბამისობა ჯგუფის მიზნებთან და ანგარიშგების მოთხოვნების დაზუსტება.

კაპიტალის მართვის მიზნები

ჯგუფს განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს:

- ▶ ჯგუფის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით პოლისის მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ▶ კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს;
- ▶ ფინანსური მოქნილობის უზრუნველყოფა ლიკვიდურობის მაღალი დონის შენარჩუნებით;
- ▶ მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და პოლისების მფლობელების, მარეგულირებელი ორგანოებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ჯგუფის საქმიანობა ასევე ექვემდებარება ადგილობრივ ნორმატიულ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც საქმიანობა უხდება. ასეთი ნორმატიული მოთხოვნები არა მხოლოდ განსაზღვრავს დამტკიცებისა და მონიტორინგის საქმიანობას, არამედ აწესებს შემზღუდველ ნორმებს სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობისა და გადახდისუუნარობის რისკის მინიმუმამდე დასაყვანად, რათა მათ შემღონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დროულად შესრულება.

ჯგუფის სადაზღვევო და არასადაზღვევო საქმიანობისთვის განკუთვნილი კაპიტალის მართვის პოლიტიკა გულისხმობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დირექტივებით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

34. რისკის მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვის მეთოდი

ჯგუფი ცდილობს კაპიტალის სტრუქტურისა და წყაროების ოპტიმიზაციას, რათა მუდმივად ხდებოდეს აქციონერებისა და პოლისების მფლობელთა მოგების მაქსიმიზაცია.

ჯგუფის მიერ კაპიტალის მართვის მეთოდი გულისხმობს აქტივების, ვალდებულებებისა და რისკების კოორდინირებულ მართვას, გაცხადებული და სავალდებულო კაპიტალის დონეებს შორის არსებული სხვაობის რეგულარულად შეფასებას და ჯგუფის კაპიტალის მდგომარეობაზე გავლენის მოსახდენად შესაბამისი ზომების მიღებას.

მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნები

საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიებისთვის დაწესებულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ და ჯგუფის შიდა სადაზღვევო კომპანიებზე მხოლოდ ინდივიდუალურად ვრცელდება. 2021 წლის 31 დეკემბრიდან, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნით, სავალდებულოა მინიმალური საწესდებო კაპიტალის შენარჩუნება 7,200 ლარის ოდენობით სიცოცხლის დაზღვევისთვის, 7,200 ლარის ოდენობით სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევისთვის, თავდებობისა და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევისთვის, 4,800 ლარის ოდენობით – არასიცოცხლის დაზღვევისთვის და 7,200 ლარის ოდენობით – გადაზღვევისთვის, რომლის 100% ბანკში ნაღდი ფულის ნაშთის ან საბანკო ანაზრების სახით უნდა განთავსდეს. ბანკის დასტურის წერილი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ყოველთვიურად წარედგინება ზემოაღნიშნულ სავალდებულო მოთხოვნასთან შესაბამისობის დასამტკიცებლად.

მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნის გარდა, 2018 წლის 1 იანვრიდან სადაზღვევო კომპანიებს ასევე მოეთხოვებათ გარკვეული გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის შენარჩუნება, რომელიც გამოითვლება საზედამხედველო კაპიტალის გაყოფით გადახდისუნარიანობის სავალდებულო კაპიტალზე, და უნდა შეადგენდეს 100%-ზე მეტს. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური განსაზღვრავს აქტივების ტიპებს, რომლებიც შეიძლება მზღვეველმა გამოიყენოს საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. საზედამხედველო კაპიტალი შეიცავს მთლიან საკუთარ კაპიტალს, რომელსაც აკლდება არამატერიალური აქტივები და გუდვილი, გადავადებული აკვიზიციური ხარჯები, გადავადებული საგადასახადო აქტივები, გაცემული არაუზრუნველყოფილი სესხები, უზრუნველყოფის სახით დაგირავებული აქტივები სხვა მხარეების სახელით, ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში 100 ლარზე მეტის ოდენობით, სხვა აქტივები, შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების 100%, საინვესტიციო ქონების 30% და გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივებისა და დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული აქტივების 10%. ფასის-ის მიხედვით მიღებული შედეგები და რეზერვები გარკვეულწილად კორექტირდება საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მითითებების შესაბამისად.

გადახდისუნარიანობის სავალდებულო კაპიტალი არის შემდეგ ორს შორის უდიდესი: 100 მილიონ ლარამდე მოზიდული პრემიების 18%-ს დამატებული 100 მილიონი ლარის ზემოთ პრემიის 16% და 70 მილიონ ლარამდე ზარალის 26%-ს დამატებული 70 მილიონ ლარს ზემოთ ზარალის 23%. ბიზნესის მაღალი რისკის კლასებისთვის პრემია იზრდება ამ გაანგარიშების მიზნებისთვის და ხდება კორექტირებების შეტანა გადაზღვევისთვის.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი აკმაყოფილებდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნებს.

რაც შეეხება სს „გრინვეი საქართველოს“, რომელიც საქმიანობს პერიოდული ტექნიკური დათვალიერების სფეროში, ის ექვემდებარება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეგულაციებს. აკრედიტაციის ცენტრს შეუძლია მას შეუწყვიტოს საქმიანობა, თუ ინსპექტირების სტანდარტები მისაღებ დონეს არ აკმაყოფილებს. სს „გრინვეი საქართველოს“ აქვს თავისი ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი, რომელიც ზედამხედველობს საქმიანობას და იცავს სს „გრინვეი საქართველოს“ ყოველგვარი თაღლითობისგან ან სტანდარტების დარღვევისგან. მთავრობის მიერ დადგენილი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად სს „გრინვეი საქართველო“ გახდა ავტომობილების ინსპექტირების საერთაშორისო კომიტეტის (CITA) წევრი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს გზების უსაფრთხო და მდგრადი გამოყენების პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვაში და წევრ ორგანიზაციებს საუკეთესო პრაქტიკას უზიარებს. სს „გრინვეი საქართველო“ პერიოდული ტექნიკური დათვალიერების ბაზარზე მოქმედი ერთადერთი კომპანიაა, რომელიც CITA-ს სრულუფლებიანი წევრია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

34. რისკის მართვა (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკი არის რისკი იმისა, რომ სადაზღვევო შემთხვევა დადგება, თანაც მისით გამოწვეული ზარალის ოდენობის და წარმოშობის დროის განსაზღვრა შეუძლებელია. ასეთი ხელშეკრულებებით განპირობებული ძირითადი რისკი, რომლის წინაშეც ჯგუფი დგას, არის ის, რომ რეალურმა ზარალმა და გადახდილმა ანაზღაურებამ გადააჭარბოს სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას. ამაზე გავლენას ახდენს ზარალის სიხშირე, მასშტაბი, რეალურად გადახდილი ანაზღაურება, რომელიც მოსალოდნელზე მეტია და გრძელვადიანი ზარალის შემდგომი ცვლილება.

რისკის ცვალებადობა იმართება ზარალის რისკის სადაზღვევო ხელშეკრულებების დიდ პორტფელზე დივერსიფიცირებით, რადგანაც შედარებით დივერსიფიცირებული პორტფელზე ნაკლებად მოახდენს გავლენას პორტფელის რომელიმე ნაწილში მომხდარი ცვლილება და გაუთვალისწინებელი შედეგები. რისკების ცვალებადობა ასევე იმართება ანდერაიტინგის სტრატეგიისა და წესების ფრთხილი შერჩევითა და განხორციელებით და ასევე სადაზღვევის მეშვეობით. ჯგუფი ადგენს ანდერაიტინგის წესებსა და ლიმიტებს, რომლებითაც განისაზღვრება, ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა დასაშვები ზღვრების ფარგლებში. ამ ლიმიტების მონიტორინგი მუდმივად წარმოებს.

სადაზღვევო რისკების მონიტორინგისთვის ჯგუფი ძირითადად იყენებს ზარალიანობისა და კომბინირებულ კოეფიციენტებს: ზარალიანობის კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო ზარალის შეფარდებით წმინდა სადაზღვევო ამონაგებთან. კომბინირებული კოეფიციენტი წარმოადგენს ზარალიანობის და ხარჯების კოეფიციენტების ჯამს. ხარჯების კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც საოპერაციო ხარჯები, წმინდა საპროცენტო შემოსავლისა და საკუროსო ზარალის გამოკლებით, შეფარდებული წმინდა სადაზღვევო ამონაგებთან. ჯგუფის ზარალიანობისა და კომბინირებული კოეფიციენტები გამოითვლება ნეტოს საფუძველზე შემდეგნაირად:

	2023	2022
ზარალიანობის კოეფიციენტი	54%	47%
კომბინირებული კოეფიციენტი	89%	79%

ძირითადი დაშვებები

ზარალის რეზერვი იქმნება ვალდებულებების შესრულების საერთო ხარჯის დასაფარად იმ ზარალთან მიმართებაში, რომელიც მომხდარი და შეფასებულია ანგარიშგების დღისთვის ცნობილ ფაქტებზე, მათ შორის პოტენციური ასანაზღაურებელი ზარალის შეტყობინებებსა, ანალოგიური ზარალის გამოცდილებასა და პრეცედენტული პრაქტიკაზე დაყრდნობით, საანგარიშგებო თარიღით და საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

ჯგუფმა გამოიყენა ყველა შესაძლო და მის ხელთ არსებული ინფორმაცია პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული ზარალის რეზერვების, მათ შორის ზარალების დაკორექტირების ხარჯების შესაფასებლად, სადაზღვევო ხელშეკრულებების თითოეული კლასის მიხედვით. გარდა ამისა, უფრო მსხვილი გაცხადებული ზარალი ჩვეულებრივ, ცალ-ცალკე ფასდება ზარალის მაკორექტირებელი ფაქტორებით. ზარალის პროგნოზირების დაშვებები, ჩვეულებრივ, მიზნად ისახავს წარმოადგინოს ყველაზე დიდი ალბათობის მქონე ან მოსალოდნელი შედეგების მაქსიმალური შესაძლო სიზუსტით შეფასება.

ძირითადი დაშვება, რომელსაც ეყრდნობა შეფასებები არის ის, რომ კომპანიის წარსულში მიღებული და სამომავლო სადაზღვევო შემთხვევების დინამიკა გამოიყენება სამომავლო ზარალის ტენდენციებისა და, შესაბამისად, ზარალის მთლიანი მოცულობის პროგნოზირებისთვის. ეს მეთოდი ახდენს გადახდილი და მომხდარი ზარალის ტენდენციების ექსტრაპოლაციას, წინა წლების ტენდენციებზე დაკვირვების შედეგად მიღებულ დასკვნებზე დაყრდნობით. წარსულში სადაზღვევო შემთხვევების დინამიკის გაანალიზება ხდება ზარალის დადგომის წლებისა და ასევე საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით. დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებთან დაკავშირებით სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მოზიდული დაზღვევის შემთხვევაში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სავალუტო კურსის მერყეობაზე, რადგანაც ამ ხელშეკრულებების სადაზღვევო ვალდებულებები აშშ დოლარშია გამოხატული.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

34. რისკის მართვა (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)

მგრძნობელობა

დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებთან დაკავშირებული სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები მგრძნობიარეა ზემოაღნიშნული ძირითადი დაშვებების მიმართ. იმ დაყოვნების გამო, რასაც ადგილი აქვს ზარალის დადგომასა და მის შემდგომ შეტყობინებასა და საბოლოო ანაზღაურებას შორის, დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი დაუფარავი ვალდებულება საანგარიშგებო თარიღისთვის ზუსტად არ არის ცნობილი. ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიშობა ზარალის სიხშირისა და მოცულობის ცვლილებების შედეგად – მოთხოვნების რაოდენობა და მოთხოვნის საშუალო თანხა ის ძირითადი ამოსავალი მონაცემებია, რომლებიც გამოიყენება ავტოტრანსპორტთან დაკავშირებით დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი დაუფარავი ვალდებულების განსაზღვრისთვის. ავტოტრანსპორტთან დაკავშირებით დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება საკმაოდ მგრძნობიარეა ლარის გაუფასურებისა და სავალუტო რისკის მიმართ, რადგან ავტომანქანის შეკეთების დანახარჯების დიდი ნაწილი უცხოურ ვალუტებზეა მიბმული.

ცხრილებში მოცემულია დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა (აქტივის)/ვალდებულების კონცენტრაცია ხელშეკრულებების ტიპების მიხედვით:

	2023			2022		
	ფლობილი			ფლობილი		
	დაზღვევა	გადაზღვევა	წმინდა	დაზღვევა	გადაზღვევა	წმინდა
ავტო	(12,785)	85	(12,700)	(8,531)	114	(8,417)
ვალდებულება	1,073	2,067	3,140	(2,938)	(1,735)	(4,673)
დებიტორის სიცოცხლის						
დაზღვევა	(2,607)	1,033	(1,574)	(1,428)	514	(914)
უმრავი ქონება	767	8,136	8,903	(3,048)	1,622	(1,426)
აგრო	(681)	(4,565)	(5,246)	(80)	2,307	2,227
სხვა	(799)	968	169	1,005	1,400	2,405
	(15,032)	7,724	(7,308)	(15,020)	4,222	(10,798)

რისკების ცვალებადობა იმართება დანაკარგების რისკის დივერსიფიცირებით სადაზღვევო ხელშეკრულებების დიდ პორტფელზე ან გეოგრაფიული არეალების მიხედვით, რადგანაც უფრო დივერსიფიცირებულ პორტფელზე ნაკლებად მოახდენს გავლენას პორტფელის რომელიმე ნაწილში მომხდარი ცვლილება.

რისკების ცვალებადობა ასევე იმართება ანდერაიტინგის სტრატეგიისა ფრთხილი შერჩევითა და განხორციელებით. ჯგუფი ადგენს ანდერაიტინგის წესებსა და ლიმიტებს, რომლებითაც განისაზღვრება, ვის შეუძლია რისკის მიღება, მათი ხასიათი და დასაშვები ლიმიტები. ამ ლიმიტების მონიტორინგი მუდმივად წარმოებს. გარდა ამისა, მოქმედებს სადაზღვევო ზარალის შემოწმების მკაცრი პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე ზარალის შესაფასებლად და შესაძლო ცრუ ზარალის შემთხვევების კვლევა. ამასთან, ჯგუფი ხშირად ატარებს ზარალის აქტიურად მართვისა და დაუყოვნებლივ წამოყენების პოლიტიკას, რათა შეამციროს გაუთვალისწინებელი სამომავლო მოვლენების უარყოფითი გავლენა ჯგუფზე.

გადაცემული საქმიანობისთვის განსხვავებული პირობებია გათვალისწინებული (გადაზღვევის კვოტა, ზარალის ექსცედენტი), რომელთა მიხედვითაც საქმიანობის შენარჩუნების ლიმიტები განსხვავდება პროდუქტების ზაზებისა და ტერიტორიის მიხედვით. გადამზღვევებისგან ამოღებადი თანხების შეფასება ხდება იმავე დაშვებებით, რომლებიც გამოიყენება შესაბამისი პოლისის სარგებლის განსაზღვრისთვის და წარმოდგენილია გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების სახით კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. პირდაპირი დაზღვევა და გადაზღვევა ხდება საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, ხოლო ყველა გადამზღვეველი კომპანია მდებარეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

34. რისკის მართვა (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)

სადაზღვევო შემთხვევების დინამიკის ცხრილი

ქვემოთ მოცემულ ორ ცხრილში წარმოდგენილია გარკვეული დროის განმავლობაში ზარალების მოცულობის განვითარება მთლიანი (ბრუტო) და წმინდა (ნეტო) გადაზღვევის საფუძველზე.

ცხრილები ასახავს როგორც გაცხადებული ზარალების, ისე მომხდარი, მაგრამ ჯერ განუცხადებელი ზარალების რეზერვებს და კუმულაციურ გადახდებს.

ცხრილებში პროგნოზირებული ზარალები გადაყვანილია ლარში ზარალის დადგომის წლის ბოლოსთვის მოქმედი სავალუტო კურსით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

34. რისკის მართვა (გაგრძელება)**სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)**

გადაზღვევის ეფექტის გათვალისწინებამდე ზარალის შეფასების ცხრილი ასე გამოიყურება:

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	სულ
ზარალის დადგომის წელიწადი															
ერთი წლის შემდეგ	8,771	7,428	16,301	13,058	16,406	31,128	27,926	43,667	29,018	87,878	37,504	50,120	53,989	76,601	-
ორი წლის შემდეგ	8,702	7,653	14,048	12,570	15,817	30,186	27,077	44,481	28,966	94,268	37,115	49,777	52,985	-	-
სამი წლის შემდეგ	9,421	7,593	14,021	12,011	15,352	29,889	27,222	44,341	28,666	92,078	37,988	49,719	-	-	-
ოთხი წლის შემდეგ	9,399	7,556	14,019	12,161	14,986	29,843	27,869	44,101	28,670	91,883	37,786	-	-	-	-
ხუთი წლის შემდეგ	9,367	7,476	14,012	11,566	14,937	29,766	27,927	44,035	29,212	91,915	-	-	-	-	-
ექვსი წლის შემდეგ	9,544	7,476	14,012	11,567	14,941	29,766	27,918	44,034	29,201	-	-	-	-	-	-
შვიდი წლის შემდეგ	9,683	7,482	14,012	11,537	14,999	30,184	27,898	44,033	-	-	-	-	-	-	-
რვა წლის შემდეგ	9,653	7,482	14,012	11,537	14,973	30,184	27,957	-	-	-	-	-	-	-	-
ცხრა წლის შემდეგ	9,699	7,482	14,012	11,537	14,918	30,184	-	-	-	-	-	-	-	-	-
ათი წლის შემდეგ	9,805	7,517	14,012	11,537	14,916	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თერთმეტი წლის შემდეგ	10,031	7,518	14,012	11,537	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თორმეტი წლის შემდეგ	9,932	7,518	14,050	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ცამეტი წლის შემდეგ	9,713	7,518	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დამდგარი კუმულაციური ზარალის მიმდინარე შეფასება	9,707	7,518	14,050	11,537	14,916	30,184	27,957	44,033	29,201	91,915	37,786	49,719	52,985	76,601	498,109
ზარალის დადგომის წელიწადი															
ერთი წლის შემდეგ	(6,665)	(5,700)	(10,733)	(8,867)	(12,268)	(21,926)	(19,254)	(27,753)	(24,023)	(26,190)	(30,618)	(40,994)	(37,100)	(60,020)	-
ორი წლის შემდეგ	(7,559)	(6,904)	(13,013)	(10,520)	(14,185)	(29,662)	(26,674)	(38,084)	(28,232)	(86,965)	(37,442)	(47,839)	(44,970)	-	-
სამი წლის შემდეგ	(7,887)	(7,441)	(13,937)	(11,463)	(14,467)	(29,766)	(26,996)	(43,807)	(28,387)	(91,900)	(37,547)	(48,336)	-	-	-
ოთხი წლის შემდეგ	(7,887)	(7,441)	(14,012)	(11,566)	(14,547)	(29,778)	(27,695)	(43,967)	(28,653)	(91,715)	(37,594)	-	-	-	-
ხუთი წლის შემდეგ	(8,220)	(7,441)	(14,012)	(11,566)	(14,546)	(29,766)	(27,763)	(43,973)	(29,201)	(91,772)	-	-	-	-	-
ექვსი წლის შემდეგ	(8,222)	(7,441)	(14,012)	(11,567)	(14,540)	(29,766)	(27,763)	(43,980)	(29,201)	-	-	-	-	-	-
შვიდი წლის შემდეგ	(8,222)	(7,441)	(14,012)	(11,537)	(14,540)	(30,184)	(27,763)	(43,980)	-	-	-	-	-	-	-
რვა წლის შემდეგ	(8,222)	(7,482)	(14,012)	(11,537)	(14,540)	(30,184)	(27,822)	-	-	-	-	-	-	-	-
ცხრა წლის შემდეგ	(8,222)	(7,482)	(14,012)	(11,537)	(14,540)	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ათი წლის შემდეგ	(8,222)	(7,518)	(14,012)	(11,537)	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თერთმეტი წლის შემდეგ	(8,222)	(7,518)	(14,050)	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თორმეტი წლის შემდეგ	(8,222)	(7,518)	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ცამეტი წლის შემდეგ	(8,222)	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
კუმულაციური გადახდები	(8,222)	(7,518)	(14,050)	(11,537)	(14,540)	(30,184)	(27,822)	(43,980)	(29,201)	(91,772)	(37,594)	(48,336)	(44,970)	(60,020)	(469,746)

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	სულ
დღევანდელ თარიღამდე სულ დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი მთლიანი ვალდებულებები	1,485	-	-	-	376	-	135	53	-	143	192	1,383	8,015	16,581	28,363
ნამეტის/(დეფიციტის) მიმდინარე შეფასება	(936)	(90)	2,251	1,521	1,490	944	(31)	(366)	(183)	(4,037)	(282)	401	1,004		
ნამეტის/(დეფიციტის) % თავდაპირველ მთლიან რეზერვში	-10.67%	-1.21%	13.81%	11.65%	9.08%	3.03%	-0.11%	-0.84%	-0.63%	-4.59%	-0.75%	0.80%	1.86%		

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

34. რისკის მართვა (გაგრძელება)**სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)**

გადაზღვევის ეფექტის გათვალისწინების შემდეგ ზარალის შეფასების ცხრილი ასე გამოიყურება:

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	სულ
ზარალის დადგომის წელიწადი	3,937	5,788	12,355	10,337	12,855	21,815	19,601	26,425	26,806	30,991	33,955	44,777	44,935	64,141	-
ერთი წლის შემდეგ	3,934	6,088	12,260	10,086	13,274	21,721	19,347	26,776	26,861	31,137	33,715	44,516	44,711	-	-
ორი წლის შემდეგ	4,506	6,132	12,253	10,190	13,103	21,479	19,452	26,857	26,561	29,445	34,591	44,469	-	-	-
სამი წლის შემდეგ	4,398	6,090	12,249	10,284	13,148	21,438	19,391	26,758	26,555	29,250	34,395	-	-	-	-
ოთხი წლის შემდეგ	4,346	6,090	12,242	10,285	13,088	21,423	19,430	26,697	27,011	29,283	-	-	-	-	-
ხუთი წლის შემდეგ	4,346	6,090	12,242	10,285	13,081	21,423	19,430	26,703	26,999	-	-	-	-	-	-
ექვსი წლის შემდეგ	4,346	6,096	12,242	10,255	13,081	21,428	19,430	26,703	-	-	-	-	-	-	-
შვიდი წლის შემდეგ	4,346	6,096	12,242	10,255	13,081	21,428	19,489	-	-	-	-	-	-	-	-
რვა წლის შემდეგ	4,346	6,096	12,242	10,255	13,081	21,428	-	-	-	-	-	-	-	-	-
ცხრა წლის შემდეგ	4,346	6,132	12,242	10,255	13,081	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ათი წლის შემდეგ	4,346	6,132	12,242	10,255	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თერთმეტი წლის შემდეგ	4,346	6,132	12,279	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თორმეტი წლის შემდეგ	4,346	6,132	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თორმეტი წლის შემდეგ	4,346	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დამდგარი კუმულაციური ზარალის მიმდინარე შეფასება	4,346	6,132	12,279	10,255	13,081	21,428	19,489	26,703	26,999	29,283	34,395	44,469	44,711	64,141	357,711
ზარალის დადგომის წელიწადი	(3,037)	(5,055)	(9,865)	(8,172)	(10,963)	(17,669)	(15,439)	(22,347)	(22,174)	(23,653)	(27,762)	(36,707)	(34,707)	(49,058)	-
ერთი წლის შემდეგ	(3,869)	(5,979)	(11,896)	(9,806)	(12,745)	(21,327)	(19,172)	(26,425)	(26,132)	(28,769)	(34,207)	(43,356)	(41,529)	-	-
ორი წლის შემდეგ	(4,074)	(6,055)	(12,175)	(10,181)	(13,009)	(21,423)	(19,361)	(26,626)	(26,286)	(29,268)	(34,310)	(43,853)	-	-	-
სამი წლის შემდეგ	(4,013)	(6,055)	(12,242)	(10,284)	(13,088)	(21,435)	(19,362)	(26,692)	(26,539)	(29,083)	(34,357)	-	-	-	-
ოთხი წლის შემდეგ	(4,346)	(6,055)	(12,242)	(10,285)	(13,088)	(21,423)	(19,430)	(26,697)	(26,999)	(29,140)	-	-	-	-	-
ხუთი წლის შემდეგ	(4,346)	(6,055)	(12,242)	(10,285)	(13,081)	(21,423)	(19,430)	(26,703)	(26,999)	-	-	-	-	-	-
ექვსი წლის შემდეგ	(4,346)	(6,055)	(12,242)	(10,255)	(13,081)	(21,428)	(19,430)	(26,703)	-	-	-	-	-	-	-
შვიდი წლის შემდეგ	(4,346)	(6,096)	(12,242)	(10,255)	(13,081)	(21,428)	(19,489)	-	-	-	-	-	-	-	-
რვა წლის შემდეგ	(4,346)	(6,096)	(12,242)	(10,255)	(13,081)	(21,428)	-	-	-	-	-	-	-	-	-
ცხრა წლის შემდეგ	(4,346)	(6,096)	(12,242)	(10,255)	(13,081)	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ათი წლის შემდეგ	(4,346)	(6,132)	(12,242)	(10,255)	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თერთმეტი წლის შემდეგ	(4,346)	(6,132)	(12,279)	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თორმეტი წლის შემდეგ	(4,346)	(6,132)	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თორმეტი წლის შემდეგ	(4,346)	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
კუმულაციური გადახდები	(4,346)	(6,132)	(12,279)	(10,255)	(13,081)	(21,428)	(19,489)	(26,703)	(26,999)	(29,140)	(34,357)	(43,853)	(41,529)	(49,058)	(338,649)

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	სულ
დღევანდელ თარიღამდე სულ დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი წმინდა ვალდებულებები	-	-	-	-	-	-	-	-	-	143	38	616	3,182	15,083	19,062
ნამეტის/(დეფიციტის) მიმდინარე შეფასება	(409)	(344)	76	82	(226)	387	112	(278)	(193)	1,708	(440)	308	224		
ნამეტის/(დეფიციტის) % თავდაპირველ მთლიან რეზერვში	-10.39%	-5.94%	0.62%	0.79%	-1.76%	1.77%	0.57%	-1.05%	-0.72%	5.51%	-1.30%	0.69%	0.50%		

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

34. რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური რისკი

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. ჯგუფი მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პროცესით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს ჯგუფისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაქტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაქტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც; უზრუნველყოფისა და თავდებობის მიღების წესები, საკრედიტო რისკებისა და დარღვევების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შეტყობინება, საკრედიტო რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის კონტროლი და მისი რეგულარული გადამოწმება აქტუალურობის შესანარჩუნებლად და გარემოში მომხდარი ცვლილებების გასათვალისწინებლად. ქვემოთ მოკლედ არის აღწერილი, როგორ მართავს ჯგუფი თავის საკრედიტო რისკს.

გადაზღვევა

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს აქვს გადაზღვევის პრაქტიკა, იგი არ თავისუფლდება პოლისების მფლობელების მიმართ ნაკისრი პირდაპირი მოვალეობებისგან და ამრიგად საკრედიტო რისკი არსებობს გადაცემული საქმიანობის შემთხვევაშიც, თუკი რომელიმე გადამზღვეველი ვერ შეასრულებს მის ვალდებულებებს ასეთი გადაზღვევის ხელშეკრულებების ფარგლებში. ჯგუფი არ არის დამოკიდებული რომელიმე გადამზღვეველზე და ჯგუფის საქმიანობა არ არის არსებითად დამოკიდებული რომელიმე გადაზღვევის ხელშეკრულებაზე. საანგარიშგებო თარიღისთვის ყველაზე მაღალი კონტრაქტის რისკი მთლიანი გადაზღვევის რეზერვების 8%-ს შეადგენს (2022 წ.: 14%). ჯგუფი აფასებს თავისი გადამზღვეველების ფინანსურ მდგომარეობას და აკონტროლებს საკრედიტო რისკების კონცენტრაციას მსგავს გეოგრაფიულ რეგიონებზე, საქმიანობაზე, ან მზღვეველთა ეკონომიკურ მახასიათებლებზე, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს გადამზღვეველების მხრიდან მოვალეობების შეუსრულებლობით გამოწვეული შესაძლო ზარალი.

ჯგუფი გადაზღვევის ხელშეკრულებებს აფორმებს მხოლოდ BB- ან უფრო მაღალი რეიტინგის მქონე კონტრაქტებთან. წამყვანი გადამზღვეველები და მათი შესაბამისი საკრედიტო რეიტინგები საანგარიშგებო პერიოდისთვის ასე გამოიყურება:

გადამზღვეველი	საკრედიტო რეიტინგი	საკრედიტო რეიტინგის მიმნიჭებელი სააგენტო
Hannover RE	A+	A.M. Best
VIG RE	A+	Standard & Poor's
Catlin RE	A+	A.M. Best
Pollish RE	A-	A.M. Best
Axis RE	A	A.M. Best

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ჯგუფს აქვს საკრედიტო რეიტინგის შიდა სისტემა, რომლითაც აფასებს სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივების საკრედიტო ხარისხს, გადახდის გრაფიკთან შედარებით, ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

34. რისკის მართვა (გაგრძელება)**ფინანსური რისკი (გაგრძელება)**

დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასე გამოიყურება:

31 დეკემბერი, 2023 წ.	<30 დღე	31-60 დღე	61-90 დღე	91-150 დღე	151-180 დღე	181-270 დღე	სულ
დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	2,649	708	231	204	62	76	3,930
31 დეკემბერი, 2022 წ.	<30 დღე	31-60 დღე	61-90 დღე	91-150 დღე	151-180 დღე	181-270 დღე	სულ
დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	3,440	1,612	191	63	27	67	5,400

ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხი, და საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა

საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა წარმოდგენილია შესაბამისი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებით 2023 წლის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

იმ ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხი, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, სათანადოა და ხდება მათი მუდმივი მონიტორინგი საკრედიტო ხარისხში შესაძლო უარყოფითი ცვლილებების დროულად გამოსავლენად. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ჯგუფის საკრედიტო რისკის მოცულობის შესახებ. არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ეყრდნობა A.M. Best, Moody's, S&P Global და Fitch-ს მიერ მინიჭებულ გარე რეიტინგებს.

31 დეკემბერი, 2023 წ.	შენიშ- ვნები	სტადია	BB+	BB	BB-	B+	B	B-	რეიტინგის გარეშე	სულ
საბანკო ანაზრები	7	1-ელი სტადია	–	27,734	–	14,052	–	–	17,426	59,212
გაცემული სესხები – არა ვადაგადაცილებ ული	13	1-ელი სტადია	–	–	–	–	–	–	15,357	15,357
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	8	1-ელი სტადია	–	2,458	1,386	1,061	–	1,490	5,404	11,799
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში	9	1-ელი სტადია	–	1,340	–	–	–	–	–	1,340
საპენსიო ფონდის აქტივები	16	1-ელი სტადია	–	3,148	–	36	–	–	2,300	5,484
სულ			–	34,680	1,386	15,149	–	1,490	40,487	93,192

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

34. რისკის მართვა (გაგრძელება)**ფინანსური რისკი (გაგრძელება)**

31 დეკემბერი, 2022 წ.	შენიშ- ვნები	სტადია	BB+	BB	BB-	B+	B	B-	რეიტინგის გარეშე	სულ
საბანკო ანაზღაურები	7	1-ელი სტადია	617	-	30,969	-	-	-	13,926	45,512
გაცემული სესხები – არა ვადგადაცი- ლებული	13	1-ელი სტადია	-	-	-	-	-	-	9,241	9,241
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	8	1-ელი სტადია	-	-	2,452	2,174	-	1,474	3,267	9,367
საპენსიო ფონდის აქტივები	16	1-ელი სტადია	-	-	3,799	14	-	-	1,086	4,899
სულ			617	-	37,220	2,188	-	1,474	27,520	69,019

(ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიას გაუჭირდება სახსრების მოზიდვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდურობის რისკი შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით სწრაფად გაყიდვის უუნარობამ, კონტრაქტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობამ, სადაზღვევო ვალდებულების მოსალოდნელზე ადრე გადახდის აუცილებლობამ ან დაგეგმილი ფულადი ნაკადების მიღების უუნარობამ.

ჯგუფის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი ლიკვიდურობის რისკი არის მისი ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ყოველდღიური საჭიროება სადაზღვევო ხელშეკრულებების საფუძველზე წამოყენებული მოთხოვნებისა და სავალო ფასიანი ქაღალდებზე გადახდის ვადის დადგომის გამო.

ჯგუფი ლიკვიდურობას მართავს ჯგუფის ლიკვიდურობის რისკის პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც განმარტავს იმას, თუ რა წარმოადგენს ჯგუფისთვის ლიკვიდურობის რისკს, განსაზღვრავს სახსრების მინიმალურ პროპორციას სასწრაფო საჭიროებისთვის; სარეზერვო ფონდის შექმნის გეგმას, დაფინანსების წყაროებს და მოვლენებს, რომლებიც მოქმედებაში მოიყვანდა გეგმას, დაფინანსების წყაროების კონცენტრაციას, მაკონტროლებელი ორგანოსთვის ლიკვიდურობის რისკის არსებობისა და დარღვევის შემთხვევების შეტყობინებას, ლიკვიდურობის რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის კონტროლსა და მის რეგულარულ გადამოწმებას აქტუალურობის შესანარჩუნებლად და გარემოში მომხდარი ცვლილებების გასათვალისწინებლად.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

34. რისკის მართვა (გაგრძელება)**ფინანსური რისკი (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი. აქტივები და ვალდებულებები დაჯგუფებულია ვადიანობის მიხედვით, ანგარიშგების დღისთვის ხელშეკრულების ამოწურვის ან დაფარვის მოსალოდნელ თარიღამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად.

<i>31 დეკემბერი, 2023 წ.</i>	<i>ერთი წლის განმავლობაში</i>	<i>ერთ წელზე მეტ ვადაში</i>	<i>სულ</i>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,037	-	6,037
საბანკო ანაზღაურებები	52,311	6,901	59,212
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	5,879	5,920	11,799
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	1,340	1,340
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული კაპიტალის ინვესტიციები	14,922	968	15,890
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	22,653	-	22,653
გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	18,041	-	18,041
გაცემული სესხები	15,248	109	15,357
საპენსიო ფონდის აქტივები	5,484	-	5,484
სხვა აქტივები	8,360	-	8,360
სულ აქტივები	148,935	15,238	164,173
ვალდებულებები			
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	37,685	-	37,685
გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	25,765	-	25,765
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	5,484	-	5,484
სხვა ვალდებულებები	18,249	-	18,249
ნასესხები სახსრები	5,121	17,216	22,337
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	8,054	8,054
საიჯარო ვალდებულებები	501	3,321	3,822
სულ ვალდებულებები	92,805	28,591	121,396
ნეტო პოზიცია	56,130	(13,353)	42,777
აკუმულირებული გეპი	56,130	42,777	

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

34. რისკის მართვა (გაგრძელება)**ფინანსური რისკი (გაგრძელება)**

31 დეკემბერი, 2022 წ.	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12,323	-	12,323
საბანკო ანაბრები	34,855	10,657	45,512
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	1,945	7,422	9,367
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული კაპიტალის ინვესტიციები	679	16,717	17,396
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	12,398	-	12,398
გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	13,320	-	13,320
გაცემული სესხები	9,137	104	9,241
საპენსიო ფონდის აქტივები	4,899	-	4,899
სხვა აქტივები	6,093	310	6,403
სულ აქტივები	95,649	35,210	130,859
ვალდებულებები			
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	27,418	-	27,418
გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	17,542	-	17,542
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	4,899	-	4,899
სხვა ვალდებულებები	16,085	13	16,098
ნასესხები სახსრები	20,977	14,279	35,256
საიჯარო ვალდებულებები	386	4,003	4,389
სულ ვალდებულებები	87,307	18,295	105,602
ნეტო პოზიცია	8,342	16,915	25,257
აკუმულირებული გეპი	8,342	25,257	

ხელმძღვანელობის აზრით ჯგუფს საკმარისი ლიკვიდურობა აქვს არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არადისკონტირებული დაფარვის სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე ასეთია:

31 დეკემბერი, 2023 წ.	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	-	5,484	-	-	5,484
სხვა ვალდებულებები	12,054	6,191	4	-	18,249
ნასესხები სახსრები	1,280	3,841	21,325	2,340	28,786
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	8,054	-	8,054
საიჯარო ვალდებულებები	274	1,176	3,493	510	5,453
სულ არადისკონტირებული ვალდებულებები	13,608	16,692	32,876	2,850	66,026

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

34. რისკის მართვა (გაგრძელება)**ფინანსური რისკი (გაგრძელება)**

<i>31 დეკემბერი, 2022 წ.</i>	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	-	4,899	-	-	4,899
სხვა ვალდებულებები	8,578	7,507	13	-	16,098
ნასესხები სახსრები	1,796	19,181	14,030	3,227	38,234
საიჯარო ვალდებულებები	248	1,046	3,599	404	5,297
სულ არადისკონტირებული ვალდებულებები	10,622	32,633	17,642	3,631	64,528

დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2023 და 2022 წლისა მდგომარეობით ასე გამოიყურება:

<i>1 წლამდე</i>	<i>2023</i>	<i>2022</i>
ავტო	3,937	3,155
ვალდებულება	4,847	5,775
დებიტორის სიცოცხლის დაზღვევა	7,628	4,725
უმრავი ქონება	10,080	6,951
აგრო	535	51
სხვა	1,351	649
	28,378	21,306

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და ვალუტის კურსის მერყეობის შედეგად.

ჯგუფი დასაშვები საბაზრო რისკის დონეებს ანაწილებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დირექტივების დაცვით, სადაზღვევო რეზერვების უზრუნველსაყოფად ნებადართული აქტივებისა და ამ აქტივების სტრუქტურის შესახებ. ეს დირექტივა განსაზღვრავს იმას, თუ რა წარმოადგენს ჯგუფისთვის საბაზრო რისკს, აქტივების გამოყოფასა და პორტფელის ლიმიტების სტრუქტურას, დივერსიფიკაციის სტანდარტებს ინსტრუმენტების ტიპებისა და გეოგრაფიულ არეალის მიხედვით, ასევე ადგენს რისკის წმინდა (ნეტო) ლიმიტებს თითოეული კონტრაჰენტის ან კონტრაჰენტების ჯგუფის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროს მიხედვით.

სავალუტო რისკი

ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე მოქმედებს სავალუტო კურსების მერყეობა. ჯგუფის გარიგებები ძირითადად ლარში ხორციელდება. სავალუტო რისკი წარმოდგება აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში, რადგანაც აშშ დოლარში გამოხატული სადაზღვევო ოპერაციები ჯგუფის ოპერაციების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

ჯგუფის ფინანსური აქტივები ძირითადად გამოხატულია იმავე ვალუტაში, რაშიც მისი სადაზღვევო და საინვესტიციო ვალდებულებები, რაც ამცირებს სავალუტო რისკს. ამრიგად, სავალუტო რისკი ძირითადად ახასიათებს მომავალში დასაფარი სადაზღვევო და საინვესტიციო ვალდებულებებისგან განსხვავებულ ვალუტებში გამოხატულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ის ვალუტები, რომლებშიც გამოხატულ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებზე ჯგუფს 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი რისკი ჰქონდა. ანალიზი გამოითვლის ლართან მიმართებაში სავალუტო კურსის რეალურად მოსალოდნელი მერყეობის გავლენას, როდესაც ყველა სხვა ცვლადი მუდმივია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ცხრილში უარყოფითი რიცხვები ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ხოლო დადებითი რიცხვები – პოტენციურ წმინდა ზრდას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

34. რისკის მართვა (გაგრძელება)**საბაზრო რისკი (გაგრძელება)**

	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,027	657	353	6,037
საბანკო ანაზრები	59,212	-	-	59,212
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	2,752	9,047	-	11,799
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	1,340	-	1,340
გაცემული სესხები	13,610	1,747	-	15,357
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	6,954	16,031	(332)	22,653
გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	1,132	16,716	193	18,041
საპენსიო ფონდის აქტივები	5,461	23	-	5,484
სულ აქტივები	94,148	45,561	214	139,923
ვალდებულებები				
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	13,017	21,924	2,744	37,685
გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	3,558	21,730	477	25,765
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	4,927	547	10	5,484
სხვა ვალდებულებები	18,152	(12)	109	18,249
ნასესხები სახსრები	6,695	-	15,642	22,337
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	8,054	-	-	8,054
საიჯარო ვალდებულებები	631	3,191	-	3,822
სულ ვალდებულებები	55,034	47,380	18,982	121,396
ნეტო პოზიცია	39,114	(1,819)	(18,768)	18,527
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა		15.0%	15.0%	
გავლენა მოგებაზე		(273)	(2,815)	
სავალუტო კურსის პროცენტული შემცირება		-3.0%	-3.0%	
გავლენა მოგებაზე		55	563	

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

34. რისკის მართვა (გაგრძელება)**საბაზრო რისკი (გაგრძელება)**

	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი				
ექვივალენტები	12,048	198	77	12,323
საბანკო ანაზღაურებები	45,512	–	–	45,512
ამორტიზებული ღირებულებით				
შეფასებული სავალო				
ინსტრუმენტები	2,262	7,105	–	9,367
გაცემული სესხები	7,595	1,646	–	9,241
სადაზღვევო ხელშეკრულებით				
გათვალისწინებული აქტივი	4,258	8,376	(238)	12,398
გადაზღვევის ხელშეკრულებით				
გათვალისწინებული აქტივი	1,754	11,669	(103)	13,320
საპენსიო ფონდის აქტივები	4,376	523	–	4,899
სულ აქტივები	77,805	29,517	(262)	107,060
ვალდებულებები				
სადაზღვევო ხელშეკრულებით				
გათვალისწინებული ვალდებულება	9,110	17,210	1,098	27,418
გადაზღვევის ხელშეკრულებით				
გათვალისწინებული ვალდებულება	(374)	17,109	807	17,542
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	4,493	405	1	4,899
სხვა ვალდებულებები	15,770	156	172	16,098
ნასესხები სახსრები	–	359	34,897	35,256
საიჯარო ვალდებულებები	305	4,084	–	4,389
სულ ვალდებულებები	29,304	39,323	36,975	105,602
ნეტო პოზიცია	48,501	(9,807)	(37,237)	1,458
სავალუტო კურსის პროცენტული				
ზრდა		15.0%	15.0%	
გავლენა მოგებაზე		(1,471)	(5,586)	
სავალუტო კურსის პროცენტული				
შემცირება		-2.0%	-2.0%	
გავლენა მოგებაზე		196	745	

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

35. სამართლიანი ღირებულების შეფასება**სამართლიანი ღირებულების იერარქია**

ქვემოთ ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით:

	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ 2023 წ.
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები				
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	–	11,799	–	11,799
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	1,340	–	–	1,340
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული კაპიტალის ინვესტიციები	1,800	14,090	–	15,890
საპენსიო ფონდის აქტივები – ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	–	35	–	35
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,037	–	–	6,037
საბანკო ანაბრები	–	59,212	–	59,212
გაცემული სესხი	–	–	15,357	15,357
საპენსიო ფონდის აქტივები – ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,835	–	–	2,835
– საბანკო ანაბრები	–	2,614	–	2,614
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	–	5,484	–	5,484
ნასესხები სახსრები	–	22,337	–	22,337
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	–	–	8,054	8,054

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

35. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)**

	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ 2022 წ.
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები				
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	–	9,367	–	9,367
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული კაპიტალის ინვესტიციები	1,782	15,614	–	17,396
საპენსიო ფონდის აქტივები – ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	–	347	–	347
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12,323	–	–	12,323
საბანკო ანაზღაურებები	–	45,512	–	45,512
გაცემული სესხები	–	–	9,241	9,241
საპენსიო ფონდის აქტივები – ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,195	–	–	1,195
– საბანკო ანაზღაურებები	–	3,357	–	3,357
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	–	4,899	–	4,899
ნასესხები სახსრები	–	–	35,256	35,256

ქვემოთ აღწერილია შეფასების ხერხებით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა და ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა: ჯგუფმა გამოიყენა ის დაშვებები, რომლებსაც, ჯგუფის აზრით, დაეყრდნობიან ბაზრის მონაწილეები ინსტრუმენტის შეფასების დროს.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული კაპიტალის ინვესტიციები

საბოლოო მშობელი საწარმოს აქციებში ინვესტიცია ფასდება აქტიურ ბაზარზე კოტირებული საბაზრო ფასების გამოყენებით და კოტირებული ფასის კორექტირება არ არის სავალდებულო.

ინვესტიციები გამოსყიდვად აქციებში გამოითვლება ერთ აქციაზე აქტივის წმინდა ღირებულების გამოყენებით, რომლის ოდენობა განისაზღვრება ემპირიული საბაზრო მონაცემების საფუძველზე.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება შეფასების მეთოდით ან ფასწარმოქმნის მოდელებით, შედგება არაკოტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებისგან. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები შეფასებულია ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ეყრდნობა საბაზრო ემპირიულ მონაცემებს – ინსტრუმენტის ვადიანობის შესაბამისი საბაზრო განაკვეთები, ვალუტა და ემიტენტის საკრედიტო რისკი.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

35. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა მათი სამართლიანი ღირებულებებისგან.

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება ეხება ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებსაც. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტზე საწყისი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მსგავს ფინანსურ ინსტრუმენტზე საწყისი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად.

36. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. ქვემოთ წარმოდგენილი დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები ეხება სადაზღვევო საქმიანობას, რომელიც ხორციელდება ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის პირობებში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

36. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	2023			2022 წ. (გადაანგარიშებული*)		
	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები	სხვა	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები	სხვა
აქტივები						
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	-	3,004	39	-	1,948	-
დაკავშირებულ მხარეებთან გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან	276	2,555	2,070	374	2,567	3,487
დაკავშირებული გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	-	-	-	-	-	-
სხვა აქტივები	-	17	6	-	80	6
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	-	2,375	-	1,102	2,380	-
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული კაპიტალის ინვესტიციები	1,649	-	-	1,782	-	-
გაცემული სესხები (მე-13 შენიშვნა)	-	15,249	-	-	9,138	-
აქტივის გამოყენების უფლება	-	839	-	-	1,058	-
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	-	12	-	-	9	-
	1,925	24,051	2,115	3,258	17,180	3,493
ვალდებულებები						
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	368	3,504	3,417	503	3,739	5,286
გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	-	2,795	-	-	1,038	179
საიჯარო ვალდებულებები	-	588	-	-	794	-
სხვა ვალდებულებები	36	16	71	39	60	80
ნასესხები სახსრები	-	-	-	17,474	-	-
	404	6,903	3,488	18,016	5,631	5,545

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

36. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

	2023			2022 წ. (გადაანგარიშებული)		
	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები	სხვა	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები	სხვა
შემოსავალი და ხარჯები						
სადაზღვევო ამონაგები	242	2,721	1,567	292	3,147	1,500
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	11	803	(663)	(65)	(888)	(1,445)
ინვესტიციის შედეგი	17	799	-	72	437	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	-	-	(205)	-	-	(31)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	(158)	-	-	(152)	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	-	(277)	-	-	(261)	-
წმინდა სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	129	-	-	112	-
საპროცენტო ხარჯი	(474)	(48)	-	(1,074)	(68)	-
	(204)	3,969	699	(775)	2,327	24

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება (2023 წ.: 23 პირი; 2022 წ.: 23 პირი) მოიცავდა შემდეგს:

	2023	2022
ხელფასები და პრემიები	4,879	4,583
ანაზღაურება აქციებზე დაფუძნებული გადახდებით	3,685	3,714
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	8,564	8,297

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

37. ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

2024 წლის 30 იანვარს სს „ა გრუფის“ აქციონერმა გადაწყვიტა კაპიტალის გაზრდა ფულადი შენატანის სახით ჯამური ღირებულებით 3,000 ლარი. სანაცვლოდ სს „ა გრუფმა“ გამოუშვა და აქციონერის სახელზე განათანსა 9,847 ცალი აქცია.

2024 წლის 30 იანვარს ჯგუფმა შპს „ამბოლზე“ (ამჟამად საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) გასცა დამატებითი უპროცენტო სესხი 3,000 ლარის ოდენობით რომელიც უნდა დაიფაროს 2024 წლის დეკემბრის ბოლოსთვის.

2024 წლის 28 მარტს სს „ა გრუფის“ აქციონერმა გადაწყვიტა 1,463 ლარის ოდენობისა და 1,286 დოლარის ოდენობის დივიდენდის განაწილება, თითოეულ აქციაზე, შესაბამისად, 1.2094 ლარისა და 1.0628 აშშ დოლარის ოდენობით.

2024 წლის 13 მაისს სს „ა გრუფის“ აქციონერმა გადაწყვიტა 1.047 ლარის ოდენობის დივიდენდის განაწილება თითოეულ აქციაზე 0.8657 ლარის ოდენობით.

2024 წლის 25 ივნისს სს „ა გრუფის“ აქციონერმა გადაწყვიტა 4,956 ლარის ოდენობის დივიდენდის განაწილება თითოეულ აქციაზე 4.0971 ლარის ოდენობით.

2024 წლის 28 ივნისს სს „ა გრუფის“ აქციონერმა გადაწყვიტა სს „სააქციო საზოგადოება არდის“ შესყიდვა სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფისგან“ 26,400 ლარად, რომლის დაფინანსებაც მოხდა კომერციული ბანკისგან აღებული 26,500 ლარის ოდენობის სესხით. სესხის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება შემდეგნაირად: რეფინანსირების განაკვეთს +3.5%. სესხი უნდა დაიფაროს 2029 წლის ივნისში.

2024 წლის 5 აგვისტოს სს „ა გრუფის“ აქციონერმა გადაწყვიტა 7,354 ლარის ოდენობის დივიდენდის განაწილება, თითოეულ აქციაზე 6.0795 ლარის ოდენობით.

სს „ა გრუფის“ კონსოლიდირებული მმართველობის
ანგარიშგება

2023

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

სს „ა გრუფის“ აქციონერებს და აქციონერთა საერთო კრებას

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენ ჩავატარეთ სს „ა გრუფის“ და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით დასკვნა 2024 წლის 31 აგვისტოს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებია ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2024 წლის 31 აგვისტოს. ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, ზემოთ აღნიშნული სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედნილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხედენილია ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბდავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

თბილისი, საქართველო

2024 წლის 20 სექტემბერი

მოსაზრება ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხდენილია ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბდავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

თბილისი, საქართველო

2024 წლის 20 სექტემბერი



საქმიანობის მიმოხილვა	102
კომპანიის საქმიანობის შესახებ	102
ბაზრის მიმოხილვა	103
საერთაშორისო რეიტინგი AM Best bb+.....	116
გაფართოება რეგიონში.....	117
გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტრატეგიის შექმნა.....	117
ახალი საცალო პროდუქტების განვითარება და სერვისების გაუმჯობესება.....	118
პერსონალური სადაზღვევო მომსახურება პრიმო	118
მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა.....	119
აგროდაზღვევა.....	119
რეზერენდგი	120
სასპონსორო მხარდაჭერა, ქველმოქმედება, სოციალური პასუხისმგებლობა.....	120
თანამშრომელთა გაძლიერება.....	121
ქველმოქმედება.....	121
კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და რისკების მიტიგაცია	121
არაფინანსური ანგარიშგება	128
დასაქმების საკითხები.....	128

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობის შესახებ

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ რეორგანიზაციის შედეგად, 2018 წლის 20 სექტემბერს, შეიქმნა სს „ა გრუფი“. რეორგანიზაციის მიზანი იყო ჯგუფის სტრუქტურის მისადაგება ჯგუფის შესაბამის ბიზნეს სეგმენტებთან, კერძოდ, ქონებისა და უბედური შემთხვევების (P&C) რისკების დაზღვევასთან და ავტოსერვისებთან. 2018 წლის 11 ოქტომბერს სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ აქციონერმა, სს „საქართველოს კაპიტალმა“, „ალდაგში“ თავისი 100%-იანი წილი გადასცა სს „ა გრუფს“ ამავე კომპანიის („ა გრუფის“) 100%-იანი წილის სანაცვლოდ. 2018 წლის 16 ოქტომბერს „ალდაგმა“ „ა გრუფზე“ გაასხვისა თავისი 100%-იანი წილი სს „გრინვეი საქართველოში“.

რეორგანიზაციის დასრულების შემდეგ სს „ა გრუფი“ საქმიანობას, ძირითადად, თავისი ორი შვილობილი კომპანიის, „ალდაგისა“ და „გრინვეის“, მეშვეობით ეწევა, რომელთაც იგი სრულად ფლობს.

სს „ა გრუფი“ აერთიანებს 7 შვილობილ კომპანიას, რომლებიც, ბიზნეს საქმიანობის მიხედვით, 2 სეგმენტად იყოფა:

P&C სეგმენტი:

1. სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“- ქონებისა და უბედური შემთხვევების (P&C) რისკების დაზღვევა;
2. სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“- ქონებისა და უბედური შემთხვევების (P&C) რისკების დაზღვევა, ძირითადად კორპორატიული კლიენტებისთვის;
3. შპს „აუტო-ვეი“- მწვანე ბარათების გაყიდვა, რაც ავტომფლობელს სთავაზობს მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევას საზღვარგარეთ გამგზავრებისას;
4. შპს „ალიანსი“- დროებით კომპანიის საქმიანობა შეჩერებულია.

ავტოსერვისების სეგმენტი:

5. სს „გრინვეი საქართველო“- ავტომობილების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება;
6. სს „ქარფესტი“- მეორადი ავტომობილებით ვაჭრობა;
7. შპს „გრინვოში“- ავტომობილების რეცხვა.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი იყო საქართველოს ბაზრის ერთ-ერთი უმსხილესი საინვესტიციო ჯგუფი, სს „საქართველოს კაპიტალი“.

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“

„ალდაგი“ საქართველოში პირველი კერძო სადაზღვევო კომპანიაა, რომელიც 1990 წლიდან დაზღვევის სხვადასხვა პროდუქტს სთავაზობს მომხმარებელს და მუდმივად ავითარებს სადაზღვევო ბაზარს. „ალდაგის“ გუნდი წლებია, ემსახურება საერთო საქმეს, წერგავს დაზღვევის სტანდარტებს და ქმნის დაზღვევის ისტორიას.

კომპანია ფლობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ ორი ტიპის სადაზღვევი ლიცენზიას სიცოცხლისა და არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებისათვის, ასევე ლიცენზიას, იმოქმედოს, როგორც საპენსიო ფონდმა.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიის საქმიანობის შესახებ (გაგრძელება)

„ალდაგი“ 80-ზე მეტი ტიპის სადაზღვევო პროდუქტს სთავაზობს, როგორც ფიზიკურ, ასევე კორპორატიულ კლიენტებს - ქონების, არასიცოცხლისა და სიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით. „ალდაგი“ შესაძლებელია ქონების, ავტოტრანსპორტის, ტვირთების, პასუხისმგებლობის, სიცოცხლის, უბედური შემთხვევების, დამქირავებლის პასუხისმგებლობის, მანქანა-დანადგარებისა და საავიაციო და საწყალოსნო რისკების დაზღვევა.

კომპანია მუდმივად ისწრაფვის განვითარებისკენ და ცდილობს, შექმნას ისეთი გარემოს, რომელშიც მომხმარებელი სტაბილურად, დაცულად და მშვიდად იგრძნობს თავს.

„ალდაგის“ ბიზნეს საქმიანობა აგებულია თანამედროვე ადამიანებზე, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია სტაბილური და სამართლიანი ფინანსური გარემო.

„ალდაგის“ წარმატების 30-წლიანი ისტორია მოწმობს მომხმარებელთა დიდ ნდობასა და ერთგულებას, რაც კომპანიას უზიდავს, მუდმივად ზრუნავდეს დაზღვევის კულტურის განვითარებისა და ინოვაციური მიდგომებისაკენ.

უპირატესობები:

- ბრენდის სიძლიერე, რეპუტაცია, მაღალი ცნობადობა და სანდოობა;
- მომხმარებლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული პროდუქტები;
- მრავალფეროვანი, ინოვაციური პროდუქტები, საინტერესო, ახალი შეთავაზებები;
- გამოცდილი და მაღალკვალიფიციური გუნდი.

სს „გრინვეი საქართველო“

სს „გრინვეი საქართველომ“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან მოიპოვა ავტოტრანსპორტის პერიოდული ტექნიკური დათვალიერების ლიცენზია და 2019 წლის 1 იანვრიდან, ავტოტრანსპორტის სავალდებულო ინსპექტირების დაწყების შემდეგ, საქართველოს მასშტაბით ავტომობილების პერიოდული ტექნისპექტირების (PTI) ბიზნესში ფუნქციონირებს.

ბაზრის მიმოხილვა

სადაზღვევო ბაზარი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებული იყო სულ 18 სადაზღვევო კომპანია. ქონებისა და უბედური შემთხვევების (P&C) დაზღვევის ბაზრის 79%-ს, 2023 წელს მოზიდული პრემიების მიხედვით, 6 ყველაზე მსხვილი სადაზღვევო პროვაიდერი ინაწილებს, რომელთაგანაც „ალდაგი“ უპირობო ლიდერია.

2010 წლიდან 2023-წლამდე საქართველოს სადაზღვევო ბაზარი 5.5-ჯერ გაიზარდა (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სტატისტიკის მიხედვით).


საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბაზრის მიმოხილვა (გაგრძელება)

2023 წლის მონაცემებით საქართველოს მთლიანი მოზიდული ფინანსური სადაზღვევო პრემიის ოდენობა 1,027 მილიონი ლარია (18.1%-იანი ზრდა 2022 წელთან შედარებით), საიდანაც ქონებისა და უბედური შემთხვევების (P&C) ბაზრის წილი 588 მილიონი ლარია (17.1%-იანი ზრდა 2022 წელთან შედარებით). 2023 წელს სადაზღვევო ბაზრის აგრეგირებული წმინდა მოგება 68.9 მილიონ ლარს შეადგენდა (2022: 36.8 მლნ), საიდანაც „ალდაგი“ ჯგუფის წილი 28%-ია (2022: 42%).

ქონების და უბედური შემთხვევების (P&C) ბაზრის დინამიკა, მოზიდული ფინანსური პრემიების მიხედვით, (მოზიდული გროს პრემია წარმოადგენს სადაზღვევო პრემიას, რომელიც მიეკუთვნება საანგარიშო პერიოდში ძალაში შესულ სადაზღვევო ვალდებულებებს, მიუხედავად იმისა გადახდილია თუ არა პრემია მზღვეველის მიერ, რომელიც არ არის შემცირებული გადამზღვეველის წილით, მეორეს მხრივ მოზიდული პრემია წარმოადგენს სადაზღვევო ამონაგების შემადგენელ ნაწილს), და „ალდაგის“ ბაზრის წილი 2015-2023 წლებში ასე გამოიყურებოდა:

ბაზრის წილი მოზიდულ პრემიებში (მილიონ ლარში)




საქართველოს P&C ბაზარი მაღალკონკურენტულია. კონკურენტულ უპირატესობას ბაზარზე განსაზღვრას სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთავაზებული სადაზღვევო პირობები - სადაზღვევო პოლისის დაფარვები, პოლისის გაცემის სიმარტივე, მიმზიდველი ფასები, ექსკლუზიური შეთავაზებები, მომსახურების ხარისხი და ზარალის დადგომის შემთხვევაში, ანაზღაურების მარტივი პროცესი; შესაბამისად, სწორი ფასდადებისა და სადაზღვევო რეზერვების შექმნის პოლიტიკა სადაზღვევო პროვაიდერების გრძელვადიანი წარმატების აუცილებელი პირობაა.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბაზრის მიმოხილვა (გაგრძელება)

ქართული სადაზღვევო ბაზარი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირისა და დსთ-ის წევრი მეზობელი სახელმწიფოების სადაზღვევო ბაზარს. საქართველოს სადაზღვევო ბაზრის პენეტრაციის კოეფიციენტი (სადაზღვევო ბაზარზე მოზიდული მთლიანი პრემიების წილი მთლიან ნომინალურ შიდა პროდუქტში), რომელიც ბაზრის განვითარების დონის მაჩვენებელია, მხოლოდ 1.3%-ია, მაშინ, როდესაც ევროკავშირისა და დსთ-ის წევრი ქვეყნებისთვის ეს მაჩვენებელი ძირითადად 2%-დან 10%-მდე მერყეობს, ხოლო მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი 7.0%-ია. სადაზღვევო ბაზრის განვითარების მეორე ინდიკატორია 1 მოსახლეზე დაწერილი პრემიების მოცულობა, რომელიც საქართველოს სადაზღვევო ბაზრისთვის მხოლოდ 110\$-ს შეადგენს (მაშინ, როცა მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი 889\$-ია) და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირისა და დსთ-ის წევრი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს:

სადაზღვევო ბაზრის პენეტრაციის კოეფიციენტი* & სადაზღვევო პრემია 1 მოსახლეზე



საქართველოს სადაზღვევო ბაზარი, დაბალი ათვისების გამო, განვითარების დიდ შესაძლებლობას იძლევა. 2018 წელს ძალაში შევიდა კანონი ტრანზიტული ავტომობილებისთვის მესამე პირის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ (კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის“ შესახებ).

კანონის თანახმად, უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი/მძღოლი ვალდებულია, დააზღვიოს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის სრული პერიოდით. სავალდებულო დაზღვევა ანაზღაურებს ავტოსატრანსპორტო საშუალების მონაწილეობით და მისგან გამომდინარე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეულ ზიანს. აღნიშნული კანონპროექტი არის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ევროპისკენ, რადგან ევროპის ქვეყნებმა ეს რეგულაცია 50 წლის წინ მიიღეს და პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც არც ერთი ქვეყანა არ არის დარჩენილი, რომელსაც ეს კანონი არ აქვს შემოღებული.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბაზრის მიმოხილვა (გაგრძელება)

2019 წელს ამ პროდუქტის მიერ გამოიმუშავებული პრემიები P&C ბაზრის მთლიანი გამოიმუშავებული პრემიების 11%-ს შეადგენდა, რაც იმას მიანიშნებს, რომ საკანონმდებლო დონეზე გარკვეული სტიმულირება მნიშვნელოვნად მოქმედებს ქვეყანაში სადაზღვევო კულტურის განვითარებაზე, რომელიც, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილია. 2023 წელს აღნიშნული პროდუქტის წილი მთლიან P&C ბაზრის მთლიან გამოიმუშავებულ პრემიებში 9%-მდე გაიზარდა (2022 წელს 8%).

2018 წლის 1 მარტს, აგრეთვე, ძალაში შევიდა მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა მასობრივი თავშეყრის ობიექტების (სავაჭრო ცენტრები, ბაზრობები, ავტოგასამარი/აირგასამართი სადგურები, სასტუმროები) მიერ. კანონის თანახმად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულოა მასობრივი თავშეყრის ობიექტის ფუნქციონირების სრული პერიოდის განმავლობაში.

2019 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სავალდებულო გახდა დამსაქმებელთათვის მომეტებული საფრთხის შემცველი სამუშაოს შემსრულებელი დასაქმებულების დაზღვევა. კანონის თანახმად, სავალდებულო დაზღვევის შეძენა აუცილებელია ყველა იურიდიული პირისთვის, მათ შორის, ინდმეწარმისთვის, რომელსაც, მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის დადგენილების საფუძველზე, მომეტებული საფრთხის შემცველი სამუშაოს შემსრულებლის სტატუსი მიენიჭა. დასაქმებულთა სავალდებულო დაზღვევა დაზარალებულებისა და დამსაქმებლის ფინანსურ დაცულობას უზრუნველყოფს. უბედური შემთხვევის დროს, შრომისუუნაროდ დარჩენის ან გარდაცვალების შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურება (წინასწარ შეთანხმებული ლიმიტის შესაბამისად) გადაეცემა დაზღვეულ თანამშრომელს ან მის ოჯახს წევრს.


ახლო მომავალში მოსალოდნელი მნიშვნელოვანი მოვლენაა მთავრობის მიერ მომზადებული კანონპროექტის მიღება, რომლის მიხედვითაც მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულო გახდება საქართველოში რეგისტრირებული ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელებისთვის („კანონი ავტომობილთა ტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“). ამ კანონის ამოქმედება უფრო რეალური გახდა მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა ავტომობილების სავალდებულო ტექნისპექტირების კანონი. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებით, 2023 წლისთვის საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების მხოლოდ 7%-ია დაზღვეული (2022:7%). ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის მესამე პირის დაზღვევის სავალდებულო კანონის ამოქმედებამ მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს CASCO პროდუქტის სადაზღვევო ბაზარიც.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)


ბაზრის მიმოხილვა (გაგრძელება)

P&C ბაზრის კომპოზიცია პროდუქტებად წლის განმავლობაში მოზიდული ფინანსური პრემიების მიხედვით და ალდაგი ჯგუფის წილი თითოეულ პროდუქტში შემდეგნაირად:

ბაზრის კომპოზიცია პროდუქტების მიხედვით



ალდაგის ბაზრის წილი პროდუქტების მიხედვით




ავტოსერვისების ბაზარი

ავტონდუსტრია საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ინდუსტრიის საშუალო წლიური ბრუნვა 6 მლრდ ლარს შეადგენს 2022 წლისთვის (2020-2021 წლებში 24%-იანი საშუალო წლიური ზრდა, ხოლო 2021-2022 წლებში 20%-იანი დაფიქსირდა). საქართველოს ავტომობილების ბაზარი 3 მსხვილ ქვესექტორს მოიცავს: 1) ავტომობილებით ვაჭრობა; 2) ავტონაწილებით ვაჭრობა და 3) ავტომობილების მომსახურება და შეკეთება. თითოეული ქვესექტორის წილი ავტონდუსტრიის მთლიან ბრუნვაში 2020-2022 წლებში ასეთია:

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბაზრის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფორმალური ავტონდუსტრიის წლიური ბრუნვა (მლნ ლარში)



ავტომობილებით ვაჭრობა ავტონდუსტრიის ყველაზე დიდი ნაწილია. საქართველო 2005 წლიდან ავტოვაჭრობის ჰაზია, მიუხედავად იმისა, რომ თავად ავტომობილებს არ აწარმოებს.

2023 წლისთვის ავტომპორტი მთლიან იმპორტში, ისევე როგორც ავტოექსპორტი მთლიან ექსპორტში სიდიდით პირველ ადგილზეა.

2017 წლიდან ავტომობილების იმპორტის ყველაზე დიდი ბაზარი საქართველოსთვის აშშ-ია (ძირითადად მეორადი ავტომობილების ექსპორტიორი), რაც ყველაზე მოთხოვნად, ჰიბრიდულ ავტომობილებზე შედარებით დაბალი აქციზის გადასახადითა და საწვავზე გაზრდილი აქციზის გადასახადით აიხსნება; სიდიდით მეორე ბაზარი ავტომობილების იმპორტში იაპონიაა (ძირითადად ახალი ავტომობილების ექსპორტიორი).

აღსანიშნავია ისიც, რომ იმპორტირებული ავტომობილების საშუალო ფასი ყოველ წელს იზრდება. ეს ფაქტი აიხსნება ეკოლოგიურად სუფთა და შედარებით ახალ ავტომობილებზე მოთხოვნის გაზრდით, რაც თავის მხრივ, მთავრობის მხრიდან შეცვლილი აქციზის გადასახადებით არის გამოწვეული (ჰიბრიდულ ავტომობილებზე აქციზის გადასახადი 60%-ით შემცირდა 2017 წლიდან).

2023 წლის ბოლოს, მთლიან ავტოპარკში ჰიბრიდული ავტომობილების წილი 8,4% იყო, რაც გასული წლის მონაცემებთან შედარებით 16%-ით მეტია.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბაზრის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოში ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირების საკითხი ბოლო 15 წლის განმავლობაში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად სახელდებოდა. მანამდე არსებული მოძველებული მოდელი, რომელიც კორუფციულ სქემებზე იყო აწყობილი და რეალურად არ იძლეოდა შედეგს, 2004 წელს გაუქმდა. თუმცა, მაშინ მთავრობას არ შეუმუშავებია ალტერნატიული მოდელი და დროთა განმავლობაში აღნიშნულმა რიგი პრობლემები გამოიწვია.

ბოლო წლებში, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არაერთი ძირეული რეფორმა გატარდა, განვითარდა სახელმწიფოს არსებობისთვის ბევრი აუცილებელი ფუნდამენტური მიმართულება და საქართველომ, როგორც ქვეყანამ, წინ წაიწია მსოფლიოს რეიტინგებში, ავტოტექნიკური ინსპექტირებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების საკითხი 2018 წლამდე კვლავ ღია რჩებოდა.

2014 წელს, „ასოცირების ხელშეკრულების“ ხელმოწერის შემდეგ, ქვეყნისთვის სავალდებულო გახდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმის გატარება. თითქმის 15-წლიანმა ჩავარდნამ ქვეყანა დააყენა დიდი რისკების წინაშე სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ, ბოლო წლებში იმატა ავტოსაგზაო შემთხვევებმა, რაც, სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად, განპირობებული იყო გაუმართავი და მოძველებული ავტოპარკით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, ავტოსაგზაო შემთხვევების და დაღუპულთა რაოდენობა მზარდია, ხოლო შემთხვევებისას დაშავებულთა რაოდენობა კლებადი. 2023 წლის მონაცემებით, 2022 წელთან შედარებით, ავტოსაგზაო შემთხვევები გაზრდილია 14%-ით, დაშავებულთა მაჩვენებელი შემცირებულია 3%-ით, ხოლო დაღუპულთა რაოდენობა გაზრდილია 3%-ით. ყოველწლიურად საქართველოში ავტოსატრანსპორტო შემთხვევების შედეგად იღუპება 450 - დან 500-მდე ადამიანი, ხოლო ტრავმას იღებს 7,000 – 8,000 მდე ადამიანი. საქართველოში გზებზე დაღუპულთა მაჩვენებელი 3-ჯერ აღემატება ევროპის ქვეყნების საშუალო მონაცემებს, ხოლო 6-ჯერ - საუკეთესო მაჩვენებლის მქონე ქვეყნებს.

მართალია, საქართველოში არსებობდა ტექნიკური ინსპექტირების სერვის ცენტრების გარკვეული რაოდენობა, თუმცა ის არ იყო საკმარისი ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნაკადის გატარებისათვის, რის გამოც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ქსელის მოსაწყობად ტენდერი გამოაცხადა.

აღნიშნულ ტენდერში გაიმარჯვა სს „გრინვეი საქართველო“ და მიიღო საქმიანობის 10-წლიანი უფლება; 2018 წლის 29 ივნისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სს „გრინვეი საქართველოს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება ყველა კატეგორიის ავტომობილების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შექმნის/მოწყობის, აკრედიტაციისა და ოპერირების თაობაზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სს „გრინვეი საქართველოს“ შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, სს „გრინვეი საქართველო“ აიღო ვალდებულება და მთელი საქართველოს მასშტაბით მოაწყო სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ყველაზე დიდი ქსელი, რაც არსებული ბაზრის (PTI ცენტრების მფლობელობაში არსებული ხაზების რაოდენობით) 34%-ს შეადგენს.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბაზრის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, „ასოცირების შეთანხმების“ შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებაა. რეფორმა რამდენიმე ეტაპად ხორციელდება: რეფორმის პირველ ეტაპზე, სახელმწიფომ სატვირთო და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირება დაიწყო. 2018 წლის ივლისიდან ტექნიკური ინსპექტირება გაიარა სახელმწიფო და იურიდიულ პირთა კუთვნილმა ავტოსატრანსპორტო საშუალებებმა. 2018 წლის ოქტომბერში აღნიშნულ ნუსხას 3,000 კუბური სანტიმეტრის ან მეტი მოცულობის ძრავების მქონე ავტომობილები დაემატა, ხოლო 2019 წლის 1 იანვრიდან სავალდებულო ტექნიკურ ინსპექტირებას ქვეყანაში დარეგისტრირებული ყველა მსუბუქი ავტომობილი ექვემდებარება.

აღსანიშნავია, წლებთან ერთად რეფორმის ეტაპებზე ჩანს რომ ავტოპარკი რეაგირებს და ამ მიმართულებით შეიმჩნევა პოზიტიური შედეგები, რაც სამომავლოდ გარემოს და ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღებას შეუწყობს ხელს.

2023 წლის იანვრიდან, ეტაპობრივად ამოქმედდა ტექნიკური ინსპექტირების ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ცვლილებები

ცვლილება მოიცავდა სამ ძირითად კომპონენტს:

1) გამონაბოლქვის დასაშვები კოეფიციენტი შემცირებას

იმ ბენზინის ძრავით აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომლებმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიარეს პირველადი რეგისტრაცია 2020 წლის 1 აპრილამდე, 2023 წლის 1 იანვრიდან განხორციელებული ტექნიკური ინსპექტირებისას გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტი: ძრავას უქმ სვლაზე – 0,55% და ძრავას უქმ სვლაზე მაღალი ბრუნთა რიცხვით (არანაკლებ 2 000 ბრ/წთ-ისა) – 0.55%;

შეგახსენებთ, რომ ეს ავტომობილები დღეს მოწმდება: ძრავას უქმ სვლაზე – 0,60% და ძრავას უქმ სვლაზე მაღალი ბრუნთა რიცხვით (არანაკლებ 2 000 ბრ/წთ-ისა) – 0.60%

ცვლილებები არ ეხება დიზელზე მომუშავე ავტომობილებს და არც 2020 წლის 1 აპრილის მერე რეგისტრირებულ ბენზინის ძრავით აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებებს, რადგან 2020 წლის 1 აპრილიდან ქვეყანაში შემოსული ყველა ავტომობილისთვის სავალდებულოა კატალიზატორის ქონა (დასაშვებია უნივერსალური კატალიზატორიც, თუ მუშაობს გამართულად და თავის ფუნქციას ასრულებს), მანქანები მოწმდებიან გამონაბოლქვზე 0.5 -0.3 (მაღალ ბრუნზე და დაბალ ბრუნზე). ეს ავტომობილები ასევე მოწმდება ლამბდა კოეფიციენტზეც.

2) ცვლილება მეორადი ინსპექტირების საფასურში

მთავრობის #562 დადგენილების მიხედვით, ავტომობილის განმეორებითი ტექნიკური ინსპექტირებისთვის მფლობელს დამატებითი საფასურის გადახდა უწევს. მანამდე 30 კალენდარული დღის ვადაში განმეორებითი ინსპექტირება უფასო იყო.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბაზრის მიმოხილვა (გაგრძელება)

2023 წლის 1 თებერვლიდან 8-ზე მეტი დასაჯდომი ადგილის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და 3500 კგ-ზე მეტი სრული მასის მქონე, ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის ტექნისპექტირება 100 ლარი, განმეორებითი ინსპექტირება 30 ლარი გახდა; დანარჩენ შემთხვევებზე პირველადი ინსპექტირების საფასური 60 ლარია, განმეორებითის 20 ლარი.

M1 კატეგორიის ელექტრომობილებისთვის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების საფასური განისაზღვრება 48 ლარით, ხოლო განმეორებითი ინსპექტირების საფასური განისაზღვრება 15 ლარით.

ტექნისპექტირების ტარიფი სახელმწიფოს მიერაა დადგენილი და ტექნისპექტირების ყველა ცენტრში იდენტურია.

3) ხმაურის დონის შემოწმება

საქართველოს მთავრობის დადგენილება (#569) ხმაურის შემოწმებასთან დაკავშირებით 1 იანვრიდან ამოქმედდა და შეეხო ყველა ავტოსატრანსპორტს.

ავტომობილის ხმაურზე შემოწმების გადაწყვეტილებას იღებს ინსპექტირების ორგანო.

2023 წლის 3 ივნისიდან საქართველოს მთავრობის მიერ №510 დადგენილებაში შვიდა ცვლილებები. („ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ დადგენილება) . ინსპექტირებაზე მოსულ ყველა ავტომობილს დახარვეზების შემთხვევაში ექნება მხოლოდ ერთი- 30 დღიანი მეორადის ვადა, ხოლო ყველა მომდევნო დახარვეზებაზე მხოლოდ 10 დღიანი ვადა წარმატებულ ინსპექტირებამდე.

ასევე 2023 წლის 3 ივნისიდან ტექნისპექტირების გაუვლულობის გამო გამოწერილი ჯარიმები გაიზარდა.

„მუხლი 118. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა ან სხვა პირისთვის სამართავად გადაცემა/საექსპლუატაციოდ გადაცემა/საექსპლუატაციოდ დაშვება, რომელსაც არ გაუვლია პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება

ცვლილების მიხედვით, ტექნიკური დათვალიერების გავლის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ერთხელ დაჯარიმებული ფიზიკური პირი ჯარიმის დაკისრებიდან 30 დღის განმავლობაში თუ არ გაივლის ტექდათვალიერებას, დაეკისრება ჯარიმა - 150 ლარის, ხოლო იურიდიულ პირს - 300 ლარის ოდენობით. შემდეგ გაუვლულობაზე იზრდება ჯარიმის ოდენობა და საბოლოოდ ჯარიმის ოდენობა ფიზიკური პირისთვის მიაღწევს 500 ლარს, ხოლო იურიდიული პირისთვის 700-ს . 500 ლარიანი და 700 ლარიანი ჯარიმის ოდენობა მოქმედებს ყოველ მომდევნო 30 დღეზე.

2024 წლიდან, ტექნისპექტირების კანონში შედის ცვლილება გამონაბოლქვის შესახებ. ასევე, ამავე წლიდან იცვლება კანონები: მგზავრთა გადაყვანისა და საუბრალების შესახებ.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბაზრის მიმოხილვა (გაგრძელება)

510 დადგენილების მიხედვით:

2024 წლის 1 იანვრიდან, 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელებული ტექნიკური ინსპექტირებისას გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტი: ძრავას უქმ სვლაზე – 0,5% და ძრავას უქმ სვლაზე მაღალი ბრუნთა რიცხვით (არანაკლებ 2 000 ბრ/წთ-ისა) – 0.5%;

ეს სიახლე შეეხება 2020 წლის 1 აპრილამდე საქართველოში პირველად რეგისტრირებულ ავტომობილებს, რომლებიც ამჟამად მოწმდებიან 0,55%-ზე.

რაც შეეხება 2020 წლის 1 აპრილის შემდეგ საქართველოში პირველად რეგისტრირებულ ავტომობილებს .ეს ცვლილება მათ არ ეხებათ . ნორმები რჩება იგივე (CO-ს დონე არაუმეტეს ძრავას უქმ სვლაზე – 0,5%-ს და ძრავას უქმ სვლაზე მაღალი ბრუნთა რიცხვით (არანაკლებ 2 000 ბრ/წთ) – 0.3%-სა.

კოეფიციენტი ლამბდა არ უნდა აღემატებოდეს სატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის მიერ დადგენილ სიდიდეს, ამ ინფორმაციის უქონლობის შემთხვევაში კი – $1 \pm 0,03$ -ს;)

მგზავრთა გადაყვანაზე და ავტოსადგურებზე:


კანონის პროექტით წესრიგდება, ავტოსადგურის შესაბამისობის სერტიფიკატთა, ქვეყნის შიდა რეგულარულ სამგზავრო გადაყვანასთან, საავტომობილო სამგზავრო გადაყვანასთან, საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის წესთან, ავტოსადგურთან, ავტოსადგურის სერტიფიცირებასთან, მოძრაობის უსაფრთხოებასა და რეგულირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. კანონი ამოქმედდება 2024 წლის 1 მარტიდან, ხოლო კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან. (მითითებული კანონის მე-2 მუხლი ეხება მთავრობის ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს ავტოსადგურის სერტიფიცირების წესის, პირობების და ვადების დადგენა და სხვა სახის მოქმედებები, რომლების დაკავშირებულია კანონის ამოქმედებასთან) ცვლილება საბურავების შესახებ, 1 იანვრიდან, ცვლილებების მიხედვით, განისაზღვრება ზამთრის პერიოდში გადაადგილებისათვის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მოთხოვნები.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბაზრის მიმოხილვა (გაგრძელება)

2023 წლის მონაცემებით, „გრინვეიში“ პირველადი ტექნოსპექტირება გაიარა 350 ათასმა ავტომობილმა (2022 წელი: 289 ათასი), ხოლო განმეორებითი - 52 ათასმა ავტომობილმა (2022 წელი: 73 ათასი)

ტექნოსპექტირების რაოდენობა (ათასი ერთეული)



საშუალოვადიან პერსპექტივაში, ავტოინდუსტრიას დიდი პოტენციალი აქვს, ერთი მხრივ იმის გამო, რომ საქართველოში რეგისტრირებული სამგზავრო ავტომობილების საშუალო ასაკი 2023 წლის მდგომარეობით 10 წელზე მეტია და ავტოპარკი გასაახლებელია და მეორე მხრივ, იმის გამო, რომ ქალი მძღოლების რაოდენობა ჯერ კიდევ მცირეა (ქალების მხოლოდ 20%-ს აქვს მართვის მოწმობა, როდესაც კაცების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 59%-ია).

P&C (სადაზღვევო) სეგმენტი

2023 წლის მონაცემებით, ალდაგი კვლავ ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას P&C სადაზღვევო ბაზარზე 30%-იანი ბაზრის წილით. პოზიციების შენარჩუნებს კომპანია ახერხებს მაღალკვალიფიციური გუნდით, დივერსიფიცირებული პორტფელით, ერთგულ მომხმარებელთა (როგორც ფიზიკური პირები, ასევე ორგანიზაციები) დიდი ბაზით და მათთვის ექსკლუზიური და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული პროდუქტების შეთავაზებით. ალდაგის კორპორატიულ კლიენტებს წარმოადგენენ საქართველოს წამყვანი ფინანსური ინსტიტუტები, სამშენებლო, მილსადენი კომპანიები, წყლისა და განახლებადი ენერგიის ბიზნესები, საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონების დეველოპერები, ფრანჩიზული სარესტორნო და სამედიცინო კომპანიები.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)


ბაზრის მიმოხილვა (გაგრძელება)

2023 წელს ალდაგი ჯგუფის ჯგუფის წმინდა სადაზღვევო ამონაგები 116.9 მლნ ლარია (2022: 96.7). წმინდა სადაზღვევო ამონაგები წარმოადგენს სადაზღვევო ამონაგებისა და გადაზღვევის პრემიების განაწილების სხვაობას.

2023 წლის მდგომარეობით, ალდაგი ჯგუფს ჰყავდა 99,974 აქტიური კლიენტი (2022: 76,437 კლიენტი), საიდანაც კორპორატიულ კლიენტთა რაოდენობა 9,138 (2022: 4,039) ხოლო ფიზიკურ პირთა რაოდენობა 90,836 (2022: 72,398) იყო. კორპორატიული პოლისებიდან წმინდა სადაზღვევო ამონაგები 2023 წლისთვის 46.7 მლნ ლარი (2022: 30.6 მლნ ლარი) იყო, ხოლო საცალო პოლისებიდან წმინდა სადაზღვევო ამონაგებმა 70.2 მლნ ლარი (2022: 66 მლნ ლარი) შეადგინა.

კომპანია სხვადასხვა ტიპის სადისტრიბუციო არხებით უკავშირდება საცალო და კორპორატიულ კლიენტებს. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ალდაგის გაყიდვების ქსელი შედგებოდა 138 გაყიდვების თანამშრომლისა და 537 გაყიდვების აგენტისაგან. გარდა ამისა, კომპანია თანამშრომლობს 25 ავტო დილერსა და 38 ბროკერთან, ასევე, ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან. გაყიდვების არხების მრავალფეროვნება ხელს უწყობს კომპანიის საცალო და კორპორატიულ კლიენტთა რაოდენობის გაზრდას. ქვემო ცხრილში მოცემულია მოზიდული გროს პრემიის დეკომპოზიცია სადისტრიბუციო არხების მიხედვით.

მოზიდული გროს პრემიის დეკომპოზიცია სადისტრიბუციო არხების მიხედვით



პირდაპირი სადისტრიბუციო არხის დეკომპოზიცია




საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)


ბაზრის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:


მოზიდული გროს და ნეტ IFRS პრემიები (მლნ ლარი)




სადაზღვევო ამონაგები (მლნ ლარი)




PBIT & წმინდა მოგება, IFRS (მლნ ლარი)



ზარალიანობის და კომბინირებული კოეფიციენტები



წმინდა მოგება, დივიდენდის გაცემის კოეფიციენტი & უკუგება საშუალო კაპიტალზე



საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბაზრის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიის 2023 წლის ძირითადი მიღწევები იყო:

- საერთაშორისო რეიტინგის მიღება
- რეგიონში გაფართოება
- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტრატეგიის შექმნა
- დაზღვევის შესახებ ცნობადობის გაზრდა ახალი საცალო პროდუქტების განვითარებისა და სერვისების გაუმჯობესების გზით
- პერსონალური სადაზღვევო მომსახურების განვითარება
- მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა
- აგროდაზღვევის განვითარება
- ბრენდის სტრატეგიის შექმნა და რებრენდინგის კამპანიის მომზადება
- სასპონსორო პროექტების გაფართოება, თანამშრომლებზე ზრუნვა, ქველმოქმედება

2023 წელს აღდაგის წილი სადაზღვევო ბაზარზე 3%-ით გაიზარდა და 30% შეადგინა. კომპანიის მიერ განხორციელებული აქტიური მარკეტინგული კამპანიების შედეგად, დაზღვევის შესახებ ცნობადობა და ზოგადად დაზღვევის მოხმარება გაიზარდა, განსაკუთრებით საცალო მომხმარებელში. აღდგა დაზღვევის განვითარების მიმართულებით 2023 წელს არაერთი კამპანია და აქტივობა განხორციელდა, რომელიც საბოლოოდ ბიზნესის გაფართოებასა და დაზღვევის პოპულარიზაციაზე აისახა.

საერთაშორისო რეიტინგი AM Best bb+

2023 წელს აღდაგი გახდა პირველი სადაზღვევო კომპანია საქართველოში, რომელიც ფლობს საერთაშორისო რეიტინგს. გლობალური რეიტინგი აღდაგს სარეიტინგო კომპანიამ AM BEST ხანგრძლივი სამუშაო პროცესისა და დიაგნოსტიკის შემდეგ მიანიჭა. AM Best, რომელიც სადაზღვევო ინდუსტრიაზე სპეციალიზებული ყოველწლიურად აფასებს 16,000 კომპანიას გლობალურად.. შეფასების შედეგად, აღდაგი გახდა ერთადერთი ქართული სადაზღვევო კომპანია, რომელიც შეფასებულია ისეთი მოთამაშეების გვერდით, როგორებიცაა Allianz, Hannover Re, Axis, Swiss Re, Scor. აღდაგის საკრედიტო რეიტინგია bb+ია.

AM Best-ის გუნდმა შეაფასა კომპანიის საკრედიტო ისტორია, ფინანსური მდგომარეობა, ვალდებულებების დაფარვის ისტორია, გადახდისუნარიანობა, ფინანსური სიჯანსაღე და დაადგინა, რომ აღდაგს აქვს რისკებზე მორგებული კაპიტალიზაციის უმაღლესი დონე, ლიკვიდური საინვესტიციო პორტფელი და ფინანსურად ძლიერი საერთაშორისო გადამზღვევლებისგან შემდგარი გადაზღვევის პანელი. მნიშვნელოვანი როლი ასევე ითამაშა წარმატებული ანდერაიტინგის პოლიტიკის მრავალწლიანმა ისტორიამ.

AM best 1899 წელს დაფუძნებული გლობალური საკრედიტო სარეიტინგო კომპანიაა, რომლის სათავე ოფისი ამერიკაში მდებარეობს. AM Best სპეციალიზირდება სადაზღვევო საქმიანობაზე და წარმოდგენილია 100-ზე მეტ ქვეყანაში, რეგიონული ოფისებით ლონდონში, ამსტერდამში, დუბაიში, ჰონკონგში, სინგაპურსა და მეხიკოში. AM Best დაახლოებით 16,000 სადაზღვევო კომპანიის კრედიტუნარიანობას აფასებს გლობალურად.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაფართოება რეგიონში

2023 წელს აღდგა ასევე საფუძველი ჩაუყარა გადაზღვევის მიმართულებას. კომპანიამ გამოიწვნა დაზღვევისა და გადაზღვევის მიმართულებები და ამჟამად უკვე ორივე სეგმენტში პოზიციონირებს. ამ გადაწყვეტილებით აღდაგი გახდა რეგიონული აქტორი, რომელიც თავისი ფინანსური სტაბილურობით, დაეხმარება ადგილობრივ და რეგიონულ მზღვეველ კომპანიებს რისკების გადაზღვევაში. აღდაგის გადაწყვეტილება გადაზღვევის მიმართულების განვითარებაზე განპირობებული იყო კომპანიის სტაბილური განვითარებით და რეგიონში არსებული ახალი შესაძლებლობებით, იგულისხმება საერთაშორისო გადაზღვევის ბაზრის მკვეთრი შეზღუდვა და ფასების ზრდა გადაზღვევაზე. ამ ვითარების გათვალისწინებით აღდაგს, როგორც სტაბილურ და მდგრად კომპანიას შეუძლია რეგიონულ ბაზარს შესთავაზოს გადაზღვევის სერვისი და გახდეს საიმედო პარტნიორი რეგიონული მოთამაშეებისთვის.

კომპანიამ 2023 წლის განმავლობაში აქტიური სამუშაო გაწია გადაზღვევის გუნდის ჩამოყალიბებისა და ბაზრის კვლევის კუთხით და დღეს უკვე ჰყავს კლიენტები რეგიონიდან. აღდაგი დაინტერესებულია არასიცოცხლის დაზღვევის ყველა პროდუქტით და იყენებს როგორც საქართველოში, ისე რეგიონში, არსებულ პოტენციალს გადაზღვევის მიმართულებით.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტრატეგიის შექმნა

აღდაგი, რომელსაც საქართველოში განვითარების 34 წლის ისტორია აქვს, ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე კომპანიაა მმართველობის იმგვარი სტანდარტებით, რომელიც უზრუნველყოფს დადებით სოციალურ და გარემოსდაცვით გავლენებს. 2020 წელს კომპანიას მიღებული აქვს გაეროს გლობალური შეთანხმების კორპორაციული მდგრადობის ჯილდო ინოვაციების ნომინაციაში. 2023 წელს კომპანიამ საჭიროდ მიიჩნია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტრატეგიის შექმნა, რომელიც დაეხმარებოდა კომპანიას მდგრადობის მიმართულებით სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმაში, როგორც ახლო, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. 2023 წლის განმავლობაში კონსულტანტებთან ერთად ჩატარდა კომპანიის იმ მიმართულებების დიაგნოსტიკა, რომლებიც გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით გავლენაზე ზემოქმედებენ და ამ დიაგნოსტიკაზე დაფუძნებით შეიქმნა ერთგვარი სამოქმედო გეგმა, განისაზღვრა უახლოესი 5 წლის განმავლობაში პრიორიტეტები და რეკომენდაციების გეგმა, რომელიც აღდაგმა ეტაპობრივად უნდა შეასრულოს. აღდაგის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სტრატეგია მიზნად ისახავს ორი მიმართულების განვითარებას- მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდა და გარემოს დაცვა.

პირველ მიმართულებაში მოაზრებულია ისეთი ინიციატივების განხორციელება, როგორიცაა გამჭვირვალე და ეთიკური კომუნიკაციის უზრუნველყოფა, მომხმარებელთა განათლება და ცნობიერების ამაღლება, მონაცემთა უსაფრთხოება, მომხმარებელთა უკუკავშირის სისტემის განვითარება, პასუხისმგებლიანი ანდერაიტინგის უზრუნველყოფა და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული მომხმარებელთა პროგრამების შემუშავება.

რაც შეეხება მეორე პრიორიტეტულ მიმართულებას, გარემოს დაცვას, აღდაგის ESG სტრატეგიის თანახმად კომპანია ინვესტიციას ჩადებს გარემოსდაცვით ისეთ ინიციატივებში, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობაში გარემოსდაცვით (კერძოდ, კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ) რისკებთან დაკავშირებით ცნობადობის გაზრდას.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი საცალო პროდუქტების განვითარება და სერვისების გაუმჯობესება

ისევე როგორც გასულ წლებში, 2023 წელს ალდაგის ერთ-ერთი პრიორიტეტი ახალი საცალო პროდუქტების განვითარება და სერვისების გაუმჯობესება იყო. ამ მიმართულებით არაერთი პროექტი განხორციელდა, გაიტესტა და დაინერგა ახალი საცალო პროდუქტები და რიგ პროდუქტებთან მიმართებაში გაუმჯობესდა მომსახურების სტანდარტი.

2023 წელს ალდაგმა, ელექტრომანქანებზე გაზრდილი მოთხოვნის პარალელურად და ქვეყანაში მათი პოპულარიზაციის მიზნით, შექმნა ელექტრო ავტომობილების დაზღვევის უნიკალური პროდუქტი, რომელიც სრულად მორგებულია ელექტრო მანქანის საჭიროებებსა და მათი მფლობელების მოთხოვნებზე. ალდაგში ჩამოყალიბდა ელექტრო მანქანების დაზღვევის გუნდი, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს და აქტიურად ავითარებს პარტნიორულ ურთიერთობებს ელექტრო მანქანების მომსახურების ქსელთან, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ელექტრომანქანების ხარისხიან მომსახურებას და კლიენტის კმაყოფილებას.

გარდა ამისა, 2023 წელს გაიზარდა ციფრული ხელმისაწვდომობა ალდაგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროდუქტზე - სამოგზაურო დაზღვევაზე. გარდა იმისა, რომ მომხმარებელს შეუძლია რამდენიმე წუთში ონლაინ ალდაგის პორტალზე შეიძინოს სამოგზაურო დაზღვევა, საქართველოს ბანკის მობილ ბანკში გაჩნდა სპეციალური გვერდი, სადაც მომხმარებელი უმარტივესად შეძლებს აირჩიოს სადაზღვევო კომპანია, შეადაროს ფასები და შეიძინოს სამოგზაურო დაზღვევა რამდენიმე წუთში.

2023 წელს შეიქმნა ავტოდაზღვევის ახალი პროდუქტი საცალო ბაზრისთვის, რომელიც აზღვევს ავტომობილის საბაზრო ფასის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებს. ეს პროდუქტია auto delux pro (ავტო დელუქს პრო), რომელიც გულისხმობს ავტომობილის დაზღვევას პროპორციის წესის გარეშე. ეს პროდუქტი საშუალებას აძლევს მომხმარებელს თავიდან აირიდოს ავტომობილის ფასის შემცირებასთან დაკავშირებული რისკი და მიიღოს ის სარგებელი, რომელიც დამოკიდებული არ იქნება ავტომობილის საბაზრო ფასზე ზარალის დადგომისას.

2023 წელს ალდაგმა ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით. კერძოდ, ალდაგის პრაქტიკაში დაგროვილმა შემთხვევებმა აჩვენა, რომ მცირე ზარალების მომსახურება საჭიროებდა ანაზღაურების განსხვავებულ სქემას, რადგან ასეთი სადაზღვევო შემთხვევების რაოდენობა, მკვეთრად აღემატებოდა მსხვილ ზარალებს. ჩამოყალიბდა მცირე ზარალების მომსახურების ცალკე გუნდი და მასთან ერთად, ციფრული სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს მცირე ზარალების სწრაფად, რამდენიმე წუთში დარეგულირებას. ექსპრეს ანაზღაურება ეს არის სერვისი, რომელიც არ საჭიროებს ავტოსაგზაო შემთხვევისას საჭირო ბიუროკრატიული ეტაპების გავლას და თანხის მიღება შესაძლებელია დისტანციური მოლაპარაკების შედეგად. ამ პროდუქტმა მნიშვნელოვნად განტვირთა ალდაგის მომსახურების ქსელი და დადებითი გავლენა იქონია კლიენტის კმაყოფილებაზე.

პერსონალური სადაზღვევო მომსახურება პრიმო

2023 წელს ალდაგმა კიდევ უფრო განავითარა პერსონალური სადაზღვევო მომსახურების ბრენდი - პრიმო. ალდაგი დღეს არის ერთადერთი კომპანია სადაზღვევო ბაზარზე, რომელიც მომხმარებელს პრიმოს სერვისით სთავაზობს პირადი მენეჯერის მომსახურებას და ამავდროულად, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ პროდუქტებსა და განსხვავებულ პირობებს დაზღვევაზე. გარდა ამისა,

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

პერსონალური სადაზღვევო მომსახურება პრიმო (გაგრძელება)

პრიმოს სერვისის მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა სარგებელს, მათ შორის კონსიერჟის მომსახურებას ავტომობილთან დაკავშირებული სხვადასხვა რუტინული საკითხების მოსაგვარებლად,

2023 წელს აღდგა პრიმოს მომსახურება გაავრცელა 5 წლამდე ავტომობილებზეც. თუ ამ დრომდე პრიმოს სერვისის მიღება მხოლოდ ახალ ავტომობილებზე იყო შესაძლებელი, ამჯერად სერვისის მიღება შეუძლიათ 5 წლამდე ავტომობილების მფლობელებსაც. ამით პრიმოს სარგებელი მომხმარებელთა უფრო ფართო სპექტრმა გამოსცადა. მომხმარებელთა ზრდასთან ერთად, კომპანიამ დაიწყო პრიმოს სხვა პროდუქტების განვითარებაც. პრიმოს ავტოდაზღვევას 2023 წელს დაემატა პრიმო ქონების დაზღვევა, რომელიც უფრო ფართო დაფარვებითა და ბენეფიტებით არის ბაზარზე წარმოდგენილი.

2023 წელს აღდგა აქტიურად დაიწყო პრიმოს მომხმარებელთან პირდაპირი კომუნიკაცია სხვადასხვა ფორმატში. 2023 წელს აღდგა 4 სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებას უმასპინძლა, სპეციალურად პრიმოს მომხმარებლისთვის. 2023 წელსვე პრიმოს გუნდმა გააფართოვა Tპარტნიორობები სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედ კომპანიებთან, რათა პრიმოს მფლობელებს შესთავაზოს ხელშესახები ბენეფიტები - მათ შორის, ფასდაკლებები ავტომობილების მომსახურებაზე, რეცხვასა და საწვავზე, ასევე სახლის დაზღვევის პარალელურად სარგებელი სახლისთვის საჭირო სხვადასხვა პროდუქტებზე - წყლის აპარატები, ჭკვიანი სახლის მოწყობილობები და ა.შ.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა

აღდაგის სტრატეგია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულებით 2023 წელსაც გაგრძელდა. ამ წლის განმავლობაში აღდაგის პორტფელში მცირე და საშუალო ბიზნესკომპანიების დაახლოებით 200% -იანი ზრდა დაფიქსირდა, რაც ამ სეგმენტში დაზღვევაზე მოთხოვნის მნიშვნელოვან ზრდაზე მიუთითებს. აღდაგმა გააგრძელა მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებებზე მორგებული პროდუქტების შემუშავება. შეიქმნა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ქონებისა და მარაგების დაზღვევის საბაზისო პროდუქტი - ფიქსირებულ ფასად. მცირე საწარმოებს, სალონებს, მაღაზიებს 150 ლარად შეუძლიათ აღდაგში ქონებასთან და მარაგებთან დაკავშირებული რისკების დაზღვევა. ამით სადაზღვევო პროდუქტების ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო გაიზარდა და კომპანიამ შეძლო მოეხიდა ახალი მცირე და საშუალო ზომის მოხმარებელი.

აგროდაზღვევა

აღდაგმა 2023 წელს ჯამურად 70 მილიონი ლარი აანაზღაურა და 25 ათასამდე ზარალი დაარეგულირა. ეს რიცხვი მოიცავს როგორც მცირე და საშუალო ბიზნესს, ისე კორპორაციულ და საცალო შემთხვევებს. განსაკუთრებით დიდი თანხა 14 მილიონი ლარი აგროდაზღვევის სეგმენტში, ფერმერებს აუნაზღაურდათ. აღდაგი 2023 წელსაც აქტიურად აგრძელებდა აგროდაზღვევის განვითარებას და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერას. ამ მიმართულებით 2023 წელსაც გადამზადდა აგროდაზღვევის გაყიდვების გუნდი და განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა პერსონალური გაყიდვების განვითარებაზე. ეს გულისხმობს აგროდაზღვევის გუნდის მხარდაჭერას ფერმერებთან პერსონალური ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და მათი რეკომენდაციებით თუ პროფესიული რჩევებით დახმარებას. გარდა ამისა, 2023 წელს აღდაგმა აგროდაზღვევის მნიშვნელობაზე აღმოსავლეთ საქართველოში საინფორმაციო კამპანია და გათამაშება ჩაატარა.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეგრენდინგი

2023 წელს აღდგა დაიწყო სტრატეგიული სამუშაო რეგრენდინგის კამპანიის დასაგეგმად. რეგრენდინგის მიზანი კომპანიის არსებული მისიისა და ხედვის განახლება, ახალ საჭიროებებსა და მიზნებზე მორგება და მომხმარებლის მოლოდინებისა და სურვილების მაქსიმალური გათვალისწინება იყო. აღდგა კონსულტანტთა ჯგუფთან ერთად ხანგრძლივი სამუშაო სესიებისა და ვორქშოპების შემდგომ, ასევე შიდა და გარე კვლევებზე დაფუძნებით, ჩატარა სტრატეგიული სამუშაო, რომელსაც შემდგომში დაეფუძნა აღდგის რეგრენდინგის კამპანია, განახლებული მისია, ხედვა, სლოგანი, განახლებული ლოგო და ვიზუალური სტილი. აღდგის სტრატეგიული გზავნილი 2023 წლიდან არის - მშვიდი გონებით, რომელიც შემდგომში კრეატიული კამპანიით განვითარდა. ასევე მოგვიანებით გამოიცვალა აღდგის ლოგო, რომელიც პრინციპულად სიმშვიდისა და ემოციური ბალანსის გამოხატულებაა. აღდგის ახალი სტრატეგიით მოხდა კომპანიის ყველა არსებული არხის განახლება და ვიზუალური და შინაარსობრივი კონტენტის უნიფიცირება, რამაც საბოლოო ჯამში ბრენდის იდენტობა კიდევ უფრო გააძლიერა.

მნიშვნელოვანი სიახლე და მიღწევა, რომელიც 2023 წელს აღდგაში დაფიქსირდა, იყო მომხმარებელთა კმაყოფილების მნიშვნელოვანი ზრდა. მომხმარებელთა მხარდაჭერისა და მომსახურების ხარისხის მართვის მიმართულება აღდგაში რეგულარულად ატარებს კომპანიის კლიენტთა გამოკითხვას, რათა განავითაროს უკუკავშირის სისტემა, გაზარდოს კლიენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი, განავითაროს ეფექტური გაყიდვების არხები და ა.შ. 2023 წელს ავტო მომხმარებლების კმაყოფილების ინდექსი 67-დან 71-მდე გაიზარდა, რაც კომპანიაში სერვისის გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებულმა არაერთმა ინიციატივამ განაპირობა, მათ შორის იყო უკუკავშირის სისტემის გაუმჯობესება, საჩივრების მექანიზმის გაუმჯობესება, დროული რეაგირება პრობლემურ შემთხვევებთან მიმართებაში, საკითხის მოგვარების სისწრაფე სხვადასხვა არხში და ა.შ.

გარდა ამისა, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით დაიწყო მომხმარებელთა პორტფელების გამოიჯენა და ამ პორტფელების კონკრეტულ მენეჯერებთან ალოკაცია, რაც გულისხმობს, რომ ზარალის შემთხვევაში მენეჯერები ფოკუსირებული იქნებიან საკუთარ პორტფელში არსებული კლიენტების მომსახურებაზე, რაც საბოლოოდ გაზარდის მომხმარებელთა საერთო კმაყოფილებას.

სასპონსორო მხარდაჭერა, ქველმოქმედება, სოციალური პასუხისმგებლობა

აღდგა, ისევე როგორც გასულ წლებში, აგრძელებს სხვადასხვა ღონისძიებების მხარდაჭერას და სასპონსორო შესაძლებლობების გამოყენებას იმისათვის, რომ წლიდან წლამდე მიწვდეს უფრო ფართო აუდიტორიას და გაზარდოს დაზღვევის შესახებ ცნობიერება. აღდგის სასპონსორო მხარდაჭერა ვრცელდება ღონისძიებებზე, სადაც კომპანიას შეუძლია სხვადასხვა პროდუქტით ან ბრენდით წარდგეს აუდიტორიასთან და კიდევ უფრო გააღმავოს ბრენდის კავშირი მომხმარებელთან. 2023 წლის განმავლობაში აღდგა წარმოდგენილი იყო 21 სხვადასხვა ღონისძიებაზე, მათ შორის იყო ფესტივალები, ახალი ავტომობილების წარდგენის ღონისძიებები, ბიზნეს შეკრებები სხვადასხვა ინდუსტრიისთვის, სარეკლამო და მარკეტინგული ღონისძიებები, მუსიკალური ფესტივალები და ა.შ. ამ გზით კომპანია ცდილობს გამოიყენოს ფიზიკური არხები იმისათვის, რომ ბრენდი აქტიურად იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა რელევანტურ სივრცესა თუ გარემოში.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

თანამშრომელთა გაძლიერება

აღდაგი პროფესიული განვითარებისა და პირადი კეთილდღეობის განმტკიცებისთვის თანამშრომლებს არაერთ ინიციატივას სთავაზობს. აღდაგში 2022 წელს შეიქმნა საქველმოქმედო ფონდი „ჩვენთვის“, რომელიც თანამშრომელთა ან მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მოულოდნელი პრობლემების დასაძლევად ფუნქციონირებს. ფონდში გაწევრიანებულია თანამშრომელთა 60%, რომელთაც აქვთ საშუალება პირდაპირ ჩაერთონ ფონდის საქმიანობასა და გადაწყვეტილებებში. 2023 წელს აღდაგის ფონდიდან თანამშრომლებისთვის გაწეულმა თანხამ დაახლოებით 30,000 ლარი შეადგინა.

გარდა ამისა, აღდაგში დანერგილია და მოქმედებს თანამშრომლებზე ზრუნვის არაერთი ინიციატივა. თანამშრომლები სარგებლობენ 5დღიანი ოჯახური შვებულებით და წელიწადში დამატებით 4 დასვენების დღით, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ პირადი საჭიროებისამებრ. აღდაგის შიდა პოლიტიკის მიხედვით, კომპანია მუდმივად აჯილდოებს თანამშრომლებს პროფესიული მიღწევებისთვის და ხელს უწყობს ორგანიზაციაში ჯანსაღი კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებას. აღდაგში ყოველ პარასკევს იმართება სხვადასხვა ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთების გათამაშება. კომპანია მუდმივად სთავაზობს თანამშრომლებს პარტნიორულ შეთავაზებებს სხვადასხვა კომპანიებისგან, ფასდაკლებებს სხვადასხვა პროდუქტებსა თუ სასტუმროებში დასვენებაზე. 2023 წელს თანამშრომლებისთვის 4 სხვადასხვა ფორმატის კორპორატიული ღონისძიება გაიმართა.

ქველმოქმედება

აღდაგი წლების განმავლობაში პატრონაჟს უწევს სოციალურად დაუცველ რამდენიმე ოჯახს, რომელთაც მუდმივად უზრუნველყოფს პირველადი საჭიროების მქონე პროდუქტებითა და ნივთებით. ამ საქველმოქმედო წამოწყებაში კომპანიას უერთდებიან აღდაგელებიც, რომლებიც თავად არიან ჩართული ოჯახების დახმარებაში. გარდა ამისა, კომპანიაში არსებობს საქველმოქმედო პროექტების დაფინანსების პრაქტიკა. შესაბამისი კომიტეტი განიხილავს კომპანიაში შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებს და აფინანსებს მცირე საქველმოქმედო პროექტებს სხვადასხვა საჭიროების შესაბამისად.

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და რისკების მიტიგაცია

კომპანიის საქმიანობას ახასიათებს რამდენიმე ტიპის რისკი, ამიტომ რისკის მართვა მისი სადაზღვევო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. რისკი აღდაგის საქმიანობისთვის გარდაუვალია, მაგრამ მისი მართვა ხდება მუდმივი იდენტიფიკაციით, შეფასებითა და ყოველდღიური მონიტორინგით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების გათვალისწინებით. კომპანიის შიგნით თითოეული პირი პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის სფეროში რისკების მართვაზე. აღდაგის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკები უკავშირდება საკრედიტო საქმიანობას, ლიკვიდურობას და ბაზარზე საპროცენტო და სავალუტო კურსებისა თუ აქციების ფასების ცვალებადობას.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)


კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და რისკების მიტიგაცია (გაგრძელება)

კომპანიის საქმიანობა რეგულირდება სსიპ "საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ, რომელიც სადაზღვევო კომპანიებისთვის აწესებს კაპიტალის ადეკვატურობის, რეპორტირების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, დარეზერვების, კორპორატიული მმართველობის, მომხმარებელთა დავების რეზოლუციისა და სხვა აუცილებელ პრინციპებსა და მოთხოვნებს. რომელიმე მოთხოვნის შეუსრულებლობა სადაზღვევო პროვადერების მხრიდან იწვევს სანქციების დაწესებას ან/და სხვა უფრო მკაცრი ზომების გატარებას ზედამხედველობის სამსახურის მიერ.

2021 წლის 31 დეკემბრიდან, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნით, სავალდებულო მინიმალური საწესდებო კაპიტალის შენარჩუნება 7,200 ათასი ლარის ოდენობით სიცოცხლის დაზღვევისთვის, 7,200 ათასი ლარის ოდენობით სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევისთვის, თავდებობისა და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევისთვის, 4,800 ათასი ლარის ოდენობით - არასიცოცხლის დაზღვევისთვის და 7,200 ათასი ლარის ოდენობით - გადაზღვევისთვის, რომლის 100% ბანკში ნაღდი ფულის ნაშთის ან საბანკო ანაზრების სახით უნდა განთავსდეს. ბანკის დასტურის წერილი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ყოველთვიურად წარედგინება, ზემოაღნიშნულ სავალდებულო მოთხოვნასთან შესაბამისობის დასამტკიცებლად.

მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნის გარდა, 2018 წლის 1 იანვრიდან სადაზღვევო კომპანიებს, ასევე, მოეთხოვებათ გარკვეული გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის შენარჩუნებაც, რომელიც გამოითვლება საზედამხედველო კაპიტალის გაყოფით გადახდისუნარიანობის სავალდებულო კაპიტალზე და უნდა შეადგენდეს 100%-ზე მეტს.

საზედამხედველო კაპიტალი (ათას ლარში) და გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი



საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და რისკების მიტიგაცია (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკების მიტიგაციის მიზნებისთვის, კომპანია მიმართავს გადაზღვევის პრაქტიკას. ხელშეკრულებით დაკავშირებული ყველა გადამზღვეველი კომპანია საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარეობს. ძირითადი გადამზღვეველი კომპანიების სია და მათი შესაბამისი საკრედიტო რეიტინგი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირია:

Treaty Reinsurers		
Top 5	Rating	Rating Agency
Hannover Re	A+	A.M. Best
Catlin Re	A+	A.M. Best
Trans Re	AA+	S&P
	A	A.M. Best
Axis Re		
Polish Re	A-	A.M. Best

Facultative Reinsurers		
Top 5	Rating	Rating Agency
Zurich Insurance Co	AA-	Fitch
Swiss Re	Aa3	Moody
Chubb Re	A+	A.M. Best
ACE American Insurance Company	A++	A.M. Best
Assicurazioni Generali SpA	A	A.M. Best

ავტოსერვისების სეგმენტი

სახელმწიფოსა და სს „გრინვეი საქართველოს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, სს „გრინვეი საქართველოს“ პარტნიორია ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირების მსოფლიო ლიდერი კომპანია „Applus+“, რომელიც მსოფლიოს 70 ქვეყანაში ოპერირებს. „Applus+“-ის საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, პირველად საქართველოში, ჩამოყალიბდა ევროპული სტანდარტების მქონე ტექნიკური ინსპექტირების მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს ტექნიკური ინსპექტირების პროცესის სრულ გამჭვირვალობას. „გრინვეი“ ოპერირებს ფრანგული ბრენდის ACTIA-ს აპარატურითა და პროგრამული უზრუნველყოფით, რაც უზრუნველყოფს მაღალი დონისა და ევროპული ხარისხის სერვისს.

2019 წელს ტექნიკური ინსპექტირების ყველაზე დიდი ქსელი გრინვეი CITA-ს სრულუფლებიანი წევრი გახდა. სრულუფლებიანი წევრის დამადასტურებელი სერთიფიკატი გრინვეის გუნდს ბრიუსელში (ბელგია) CITA-ს სათავე ოფისში გადაეცა.

CITA არის საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც სახელმწიფო და კერძოს სექტორის ორგანიზაციებს აერთიანებს, რომლებიც ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირების და შესაბამისობის შეფასების სფეროში საქმიანობენ.

ორგანიზაცია აღიარებულია ევროპის საბჭოს, გაეროს ეკონომიკური საბჭოს (WP29), მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO), ასევე მსოფლიო ბანკის გზებზე გლობალური უსაფრთხოების სამსახურის (the Global Road Safety Facility) და სხვა ორგანიზაციების მიერ.

ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე, CITA-ს აღმასრულებელმა დირექტორმა, ედუარდო ფერნანდესმა განაცხადა, რომ გრინვეი არის თვალსაჩინო მაგალითი, თუ როგორ უნდა დაასრულო უმოკლეს ვადებში უმსხვილესი ქსელის მშენებლობა, აღჭურვო ევროპული სტანდარტების აპარატურით და დაიწყო გამართულად ოპერირება. მან დასძინა, რომ იმ ქვეყნებისთვის სადაც ტექნიკური ინსპექტირების რეფორმა ახლა იწყება, ევროპული ქვეყნების გამოცდილება, კონკრეტულად კი

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და რისკების მიტიგაცია (გაგრძელება)

გერმანიის მაგალითი ვერ იქნება სანიმუშო მოდელი, რადგან გერმანიაში სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება 100 წლის წინ დაიწყო. გერმანიის მსგავსად სხვა ევროპულმა ქვეყნებმა დიდი გზა გაირეს მომსახურების იმ სტანდარტამდე მისაღწევად, რასაც ახლა სთავაზობენ მომხმარებელს. საქართველო კი იდეალური მაგალითია, თუ როგორ შეიძლება უმოკლეს ვადაში

კერძო სექტორის (გრინვეის), სახელმწიფოს და საზოგადოების თანამშრომლობით მიიღო ევროპული სტანდარტის ტექნიკური ინსპექტირების სერვისი.

ამ შეთანხმებით გრინვეი შეუერთდა ორგანიზაციის მთავარ მიზანს გააუმჯობესოს გზებზე უსაფრთხოება და გარემოზე ზრუნა ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირების და შესაბამისობის შეფასების სფეროში აქტიური მუშაობით.

აღსანიშნავია, რომ CITA ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირებისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში კვლევებს ატარებს, გამოსცემს საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით რეკომენდაციებსა და სტანდარტებს, რასაც იყენებენ როგორც წევრი, ასევე პარტნიორი ორგანიზაციები.

2023 წლის შემოდგომაზე USAID-სა და „გრინვეი საქართველოს“ შორის ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში მთლიანად PTI ინდუსტრიისთვის უნიკალური პროექტი დაიწყო.

დაფუძნდა „გრინვეი აკადემია“, რომლის ფარგლებშიც არამარტო გრინვეისთვის, არამედ მთელი ინდუსტრიისთვის იქმნება შესაძლებლობა ერთიანი სტანდარტებით მომზადდეს და გადამზადდეს დასაქმებული თუ მაძიებელი ინსპექტორები.

„გრინვეი საქართველომ“ USAID-ის პროგრამასთან „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ თანამშრომლობის ფარგლებში, თავის საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან (APPLUS, CITA, „ტექინსპექტირება უსაფრთხოებისთვის“) ერთად აიღო ვალდებულება და

- შექმნა ტრენინგ ცენტრი „გრინვეი აკადემია“,
- შეიმუშავა ტრენინგ მოდულები, რომლებიც თანხვედრაშია საქართველოს საკანონმდებლო ბაზასთან, რეგიონში გაფართოება
- გადაიღო შემეცნებითი და სასწავლო ვიდეოები (დაწყებული მანქანის აგებულებიდან, დამთავრებული უშუალოდ სტანდარტების მიხედვით ტექდათვალიერების დეტალური პროცესით),
- შექმნა უნიკალური ონლაინ პლატფორმა academy.greenway.ge (რომელიც უზრუნველყოფს ტრენინგებისთვის მასალების განთავსებას, ტრენინგების ჩატარებას, ატესტაციას, მასალებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას),
- გადაამზადა ტრენინგების ჯგუფი მთელი საქართველოს მასშტაბით,

პროექტის ფარგლებში იგეგმება ასევე, საპილოტე ტრენინგების ჩატარება თბილისის და რეგიონის ინსპექტორებისთვის.

საქართველოში ტექდათვალიერების რეფორმა 5 წლის წინ დაიწყო. სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმა, „ასოცირების შეთანხმების“ შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებაა, შესაბამისად, პროფესია ინსპექტორიც ქვეყნისთვის ახალია და

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და რისკების მიტიგაცია (გაგრძელება)

ახლებური უნარების შეძენას, ერთიანი სტანდარტების დანერგვას საჭიროებს სრულიად ინდუსტრიითვის.

საერთაშორისო პარტნიორების და USAID-ის პროგრამის დახმარებით ტექნოსპექტირების რეფორმა ახალ ეტაპზე გადავა და ხელს შეუწყობს ევროპული მაღალი სტანდარტების დანერგვას.

2024 წლიდან იგეგმება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ქსელით მართვის CRM მოდულის დანერგვა, რის საშუალებითაც განხორციელდება ქსელით მართვის აღრიცხვა, კონტროლი, მომხმარებელთან უკუკავშირი და შესაბამისი რეაგირება.

ყველა სერვის-ცენტრი აღჭურვილია ვიდეოკამერებით და ონლაინ რეჟიმში წარმოებს ვიდეო გადაღება. მომხმარებლებს აქვს შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმშიც აკონტროლოს ტექნიკური ინსპექტირების პროცესი.

კომპანიამ, მოქნილი სერვისისა და მომხმარებლისთვის მაქსიმალური კომფორტის შესათავაზებლად, უკვე შექმნა თანამედროვე, მობილური ტელეფონებისთვის მეგობრული ვებ-გვერდი და დაჯავშნის პროგრამული უზრუნველყოფა.

2020 წლის 10 დეკემბერს სს „გრინვეი საქართველო“-მ პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სფეროში ოპერირებად 5 კომპანიასთან ერთად დაარსა ა(ა)იპ ტექნოსპექტირების ცენტრების კავშირი „ტექნოსპექტირება უსაფრთხოებისთვის“. ა(ა)იპ ტექნოსპექტირების ცენტრების კავშირი „ტექნოსპექტირება უსაფრთხოებისთვის“ წარმოადგენს ავტოსატრანპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სფეროში ოპერირებადი კომპანიების გაერთიანებას. კავშირის ერთ-ერთი მიზანია ავტომობილების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ხარისხის, საავტომობილო გზებზე უსაფრთხოების გაუმჯობესების, ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციისა და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნის მიზნით შესაბამისი პროცესების დაგეგმვა და დაკავშირებულ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა. კავშირი დღეის მდგომარეობით ბაზრის 60%-ის ინტერესებს წარმოადგენს.

სს „გრინვეი საქართველო“-მ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ საკ 1.1:2020 – აკრედიტაციის საერთო წესები და პროცედურები“-ს მიხედვით 2023 წელს წარმატებით გაიარა ყოველწლიური გეგმიური მონიტორინგი, რითაც დაამტკიცა რომ სს „გრინვეი საქართველოს“-ს სერვის ცენტრები აკმაყოფილებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კომპანიას ჰყავს კვალიფიციური პერსონალი.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და რისკების მიტიგაცია (გაგრძელება)


2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფმა დაიწყო შემოსავლის მიღება ავტომანქანების მომსახურებასთან დაკავშირებული ოპერაციებიდან, მათ შორის, მეორადი ავტომანქანების გაყიდვიდან და ავტომანქანების პერიოდული ტექნიკური დათვალიერების მომსახურებიდან. 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფმა ასევე დაიწყო ავტომანქანების რეცხვის მომსახურებიდან შემოსავლის მიღება. შემოსავლის წყარო ავტომანქანების მომსახურებიდან მიიღება, როგორც საცალო, ისე - კორპორატიული კლიენტებისგან.

პერიოდული ტექნიკური დათვალიერება ტარდება პერიოდული ტექნიკური დათვალიერების 51 ხაზის მეშვეობით, რომლებიც გადანაწილებულია 32 ცენტრში საქართველოს მასშტაბით (13 ლოკაცია თბილისში და 19 ლოკაცია რეგიონებში). ტექნიკური დათვალიერების ფასები დადგენილია კანონმდებლობით და შეადგენს 60 ლარს მსუბუქი ავტომანქანებისთვის და 100 ლარს სატვირთო ავტომობილებისთვის, დღგ-ის ჩათვლით.


რაც შეეხება, ავტომანქანების გაყიდვას, შემოსავლის ნაკადი, როგორც წესი, მიიღება საცალო კლიენტებისგან საქართველოში. ავტომანქანების გაყიდვის პირობები ასეთია: კლიენტი დეპოზიტზე რიცხვს თანხას ავტომანქანის გადაცემამდე. ჯგუფი, როგორც წესი, ავტომანქანებს განვადებით არ ყიდის.

ძირითადი ფინანსური და საოპერაციო მონაცემები:

ავტოსერვისების სეგმენტიდან დაწერილი შემოსავლები (ათას ლარში)



ტექნისპექტირების მომსახურების თვითღირებულების კომპოზიცია 2023 წლისთვის



საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და რისკების მიტიგაცია (გაგრძელება)

„გრინვეის“ შიდა კონტროლის ფუნქცია შეთავსებული აქვს ხარისხის კონტროლის დეპარტამენტს, რომლის საქმიანობასაც გენერალური დირექტორი ზედამხედველობს. დეპარტამენტი აფასებს პოტენციურ ბიზნეს რისკებს, ავითარებს სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, ანტიკორუფციულ და ქრთამის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკას. დეპარტამენტის მიზანია, ბიზნესსაქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მიტიგაცია, სხვადასხვა ტიპის პროცედურების დანერგვა დეპარტამენტების ჭრილში და მათი შესაბამისობის შემდგომი მონიტორინგი. ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის ფუნქციაა, ასევე, შესაბამისობის უზრუნველყოფა სარეგულაციო მოთხოვნებთან, სახელმწიფოს მხრიდან გამოშვებულ კანონებსა და სტანდარტებთან.

სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება არის ავტორიზებული საქმიანობა. ავტორიზაციას/აკრედიტაციას გასცემს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი“ 4 წლის ვადით.

2018 წლის ბოლოსთვის სს „გრინვეი საქართველო“, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სამართლებრივი და საკადრო თვალსაზრისით, უკვე აკმაყოფილებდა აკრედიტაციის მოთხოვნებს, რომელიც მოიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N 510 და N 511 დადგენილებებით განსაზღვრულ ვალდებულებებს. ამ მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, აკრედიტაციის ცენტრს უფლება აქვს, დააწესოს ფულადი ან სხვა ტიპის სანქციები ან, უკიდურეს შემთხვევაში, კომპანიას გაუუქმოს აკრედიტაცია და აუკრძალოს მას ტექნიკური ინსპექტირების ბიზნესში საქმიანობა.

სს „გრინვეი საქართველო“, საერთაშორისო პარტნიორ კომპანია „Applus+“-ის რეკომენდაციითა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, შეიმუშავა ტექნიკური ინსპექტირებისა და მომხმარებლის მიღებისა და მომსახურების პროცედურა, რომლითაც მაქსიმალურად არის უზრუნველყოფილი სამუშაო პროცესის უსაფრთხოება და მაღალი ხარისხის სერვისი.

დეტალური ინფორმაცია „ა გრუვის“ საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებსა და მათი მართვის სტრატეგიებზე წარმოდგენილია 2023 წლის 31 დეკემბრის აუდირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

არაფინანსური ანგარიშგება

დასაქმების საკითხები

P&C (სადაზღვევო) სეგმენტი

ადამიანური კაპიტალი

კომპანიის მისიაა, შეინარჩუნოს ლიდერობა ბაზარზე, იყოს მოქნილი და ინოვაციური მომხმარებელთა მუდმივად ცვლადი მოთხოვნების პირობებში. ამ მიზნებთან შესაბამისობაშია ალდაგის პროფესიონალ და გამოცდილ თანამშრომელთა გუნდი, რომელიც უკვე მრავალი წელია, ქმნის ღირებულებას ალდაგისა და სადაზღვევო ბაზრისათვის.

იმისათვის, რომ კომპანიამ სწორად მართოს ადამიანური კაპიტალი, მუდმივად ვითარდება ადამიანური რესურსების (HR) პოლიტიკა და პროცედურები - შერჩევის, პერსონალის ადმინისტრირების, კომპენსაციისა და ბენეფიტების, პერსონალის განვითარებისა და ტრენინგების, ქცევის კოდექსის, ადამიანური უფლებების დაცვის მიმართულებით.

მირითადი მიზნის მისაღწევად ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი თანამშრომელთა ჩართულობა და ეფექტური შიდა კომუნიკაციაა. ალდაგი მხარს უჭერს ინფორმაციის გაცვლას მეილის, ინტრანეტის, ფოკუს-ჯგუფების, რეგულარული ფორმალური და ასევე, გარე შეხვედრების საშუალებით.

2023 წელს კომპანია აქტიურად აგრძელებდა მუშაობას იმ მიმართულებით, რომ მარტივი და სასურველი ყოფილიყო თანამშრომელთათვის ოფისიდან მუშაობის პროცესი, რისთვისაც აქტიურად ტარდებოდა მათთვის სხვადასხვა ტიპის ტრენინგები, თიმილიდინგები და შიდა კორპორატიული აქტივობები.

ტალანტების მოზიდვა

კომპანიის წარმატებასა და ლიდერობაში გადამწყვეტი ადგილი უჭირავს ალდაგის გუნდს, რომელსაც კვალიფიციური და პროფესიონალი თანამშრომლები შეადგენენ. შესაბამისად, კომპანიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩება, სწორი შერჩევის პოლიტიკისა და პროცესის დანერგვა, თანამშრომელთა სწორი ონბორდინგი და განვითარების გეგმის დასახვა. ახალგაზრდა ტალანტების მოსაზიდად ალდაგი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან, მონაწილეობს სამუშაო გამოფენებში, აცხადებს სტაჟირებებს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებლობას ქმნის დამწყები ტალანტებისთვის დააგროვონ ლიდერ სადაზღვევო კომპანიაში მუშაობის გამოცდილება და შემდგომ დასაქმდნენ კიდევ მუდმივ პოზიციებზე.

არაფინანსური ანგარიშგება (გაგრძელება)

დასაქმების საკითხები (გაგრძელება)

ახალი თანამშრომლების შერჩევის პროცესში, ეტაპობრივად დაინერგა პარალელური კოლეგების შერჩევის პროცესში ჩართულობის ინიციატივა. შერჩევის სპეციალისტთან და ვაკანსიის მენეჯერთან ერთად, პარალელური კოლეგების ჩართულობის გაზრდა კანდიდატების ინტერვიუების პროცესში, ეს ერთი მხრივ პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს არსებულ თანამშრომლებზე, რომლებიც გრძნობენ თავიანთ მნიშვნელოვნებას და წვლილს შერჩევის პროცესში. მეორეს მხრივ, თანამშრომლები არიან ის ადამიანები ვინც ქმნიან ორგანიზაციულ კულტურას, შესაბამისად ახალი გუნდის წევრის შერჩევის პროცესში, საკმაოდ ღირებულია მათი წვლილი, ვინაიდან აღნიშნული ხელს უწყობს ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის შენარჩუნებას და შესაბამისი კანდიდატების აყვანას ვაკანტურ პოზიციებზე.

აღდაგი ასევე, მნიშვნელოვანად კონცენტრირდება შიდა ვაკანსიების გამოცხადებაზე და კანდიდატურების ორგანიზაციის შიგნით განხილვაზე, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება საშუალო და უმაღლესი რგოლის მენეჯერულ პოზიციებს. წლიდან წლამდე იზრდება თანამშრომელთათვის ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავების შესაძლებლობები და შესაბამისადვე იზრდება ვაკანტურ პოზიციებზე თანამშრომელთა შიდა გადაადგილების პრეცედენტები.

ტრენინგი და განვითარება

კომპანია ხელს უწყობს თანამშრომლების პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას. „აღდაგის“ შიდა პროფესიული განათლება მოიცავს შიდა და გარე რესურსებით ჩატარებულ ფართო სპექტრის ტრენინგ სესიებს, რომლებიც მორგებულია სპეციალურად ფრონტისა და ბექ-ოფისის თანამშრომელთა საჭიროებებზე. შერჩეულ საშუალო და უმაღლესი რგოლის მენეჯერებს ეძლევათ შესაძლებლობა, ჩაერთონ პოზიტიური ლიდერობის გრძელვადიან პროგრამაში, რომლის მიზანია მათი მენეჯერული და ლიდერული უნარების განვითარება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ დამწყები მენეჯერებისთვის ორგანიზდება შიდა მენტორობის პროგრამები, რომელიც ხელს უწყობს მათი, როგორც ახალი მენეჯერების ფორმირებას და ორგანიზაციაში დაგროვილი მართვის პრაქტიკების შესწავლასა და გაზიარებას.

ახალი თანამშრომლებისთვის მარტივი ინტეგრაციის ხელშეწყობისა და შიდა კორპორატიული სისტემებისა და პროცედურების გაცნობის მიზნით, კომპანია უზრუნველყოფს ეფექტურ ტრენინგ პროგრამას. ტრენინგის მონაწილეებს მიეწოდებათ ინფორმაცია კომპანიის მისიისა და მიზნების შესახებ, ორგანიზაციული სტრუქტურისა და ამ სტრუქტურაში მათი როლის შესახებ, ასევე ქვეყნის კოდექსისა და შინაგანაწესის, AML და ინფორმაციული უსაფრთხოების წესების, ბრენდის ისტორიის, მარკეტინგული სტრატეგიისა და ბიზნეს კომუნიკაციის შესახებ.

არაფინანსური ანგარიშგება (გაგრძელება)

დასაქმების საკითხები (გაგრძელება)

პროგრამა თავისი ფორმატით უნიკალურია, რადგან სესიებს უძღვებიან თავად ის თანამშრომლები, რომლებიც კონკრეტული მიმართულებით არიან კომპეტენტურები, მაგალითად: მარკეტინგის სპეციალისტი, AML სამსახურის უფროსი, HR სპეციალისტი, საცალო გაყიდვების ხელმძღვანელი და ა.შ. ტრენინგის მონაწილეებს საშუალება ეძლევათ, მოწვეული სტუმრის რანგში პირადად გაეცნონ კომპანიის ერთ-ერთ მენეჯერს, რომელიც მათ უზიარებს საკუთარ კარიერულ გზას, ღირებულებებსა და მიდგომებს. ეს ყველაფერი თანამშრომელს აგრძნობინებს, რომ ის არის გუნდის მნიშვნელოვანი და დაფასებული წევრი.

კომპანია ქმნის განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობებს თანამშრომლების კარიერული და პიროვნული წინსვლისათვის. ალდაგი აგრძელებს შიდა ბიზნეს ტრენინგების პროგრამას, რომელიც კომპანიის თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, გახდნენ შიდა ტრენინგები, გაუზიარონ თავიანთი სპეციფიკური ცოდნა კოლეგებს. პროგრამის ფარგლებში, შიდა ბიზნეს ტრენინგები ქმნიან უნიკალურ სატრენინგო პროგრამებს, რომელიც განკუთვნილია ექსკლუზიურად ალდაგის თანამშრომლებისთვის და უზრუნველყოფს იმ ცოდნის გაზიარებას, რომელიც კომპანიის გარეთ რთულად ან საერთოდ მოიპოვება. მსგავსი ტიპის ტრენინგების სიაშია Excel-ის სხვადასხვა დონის, SQL-ის, სერვისის, გაყიდვების, პროდუქტების ტრენინგები და ა.შ.

ალდაგი ასევე განსაკუთრებულად ზრუნავს, რომ კომპანიის თანამშრომლებს შეასწავლოს სადაზღვევო საქმიანობა, რასაც ემსახურება უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამა. აღნიშნული პროგრამა ორ ნაწილად იყოფა: ერთი მათგანის სამიზნე აუდიტორიას ძირითადად შეადგენენ ის თანამშრომლები, რომლებიც ახლა დგამენ პირველ ნაბიჯებს დაზღვევაში, შესაბამისად მათთვის მნიშვნელოვანია ამ სფეროში საბაზისო ცოდნის მიღება. მეორე ნაწილი კი კონცენტრირდება დაზღვევაში უფრო გამოცდილ თანამშრომლებზე, რომლებსაც სურთ დაზღვევის და რისკ-მენეჯმენტის შესახებ შეიძინონ მეტი ცოდნა, გააზიარონ ინფორმაცია და ა.შ.

შიდა ტრენინგების პარალელურად აქტიურად გრძელდება გარე ტრენინგები ეფექტურ გაყიდვებში, დაზღვევის გამოცდილი და დამწყები მენეჯერებისთვის. პროგრამის მიზანია, დამწყები მენეჯერები აღიჭურვონ იმ უნარ-ჩვევებით, რომელიც მათ დაეხმარებათ გადადგან პირველი ნაბიჯები გადადგმაში გაყიდვებში, ხოლო უფრო გამოცდილი მენეჯერებისთვის, პროგრამა იძლევა შესაძლებლობას განაახლონ არსებული ცოდნა.

გარდა პირისპირი ტრენინგებისა, ჩვენ აქტიურად ვაგრძელებთ ტრენინგების მიწოდებას, ალდაგის შიდა სატრენინგო პლატფორმა - Aldagi Academy-ზე, რომელიც დისტანციური სწავლებისთვის შეიქმნა. ალდაგის აკადემია საშუალებას აძლევს თანამშრომლებს გაიარონ სასურველი ტრენინგები იმ განრიგით, სიხშირით და მოქნილობით, როგორც მათთვის არის სასურველი. აღნიშნულ პლატფორმაზე განთავსებული სატრენინგო პროგრამები იძლევა ტესტირების, კურსების რამდენიმეჯერ გავლის და უკუკავშირის დატოვების საშუალებას.

არაფინანსური ანგარიშგება (გაგრძელება)

დასაქმების საკითხები (გაგრძელება)

ავტოსერვისების სეგმენტი

„გრინვეი საქართველო“ დასაქმებულებს ევროპული სტანდარტის სამუშაო პირობებს სთავაზობს. კომპანიისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია შრომითი უსაფრთხოება, ასევე კომპანია ყველა დასაქმებულს უზრუნველყოფს ჯანმრთელობის სამედიცინო დაზღვევით და ანაზღაურებადი კუთვნილი შვებულებით. ასევე, იმისათვის რომ კომპანია მაქსიმალურად დაუახლოვდეს მომსახურების ევროპულ სტანდარტს და პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმა იყოს წარმატებული, კომპანია მუდმივად ზრუნავს საკუთარი გუნდის კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს USAID-ის პროექტის ფარგლებში დაიწყო „გრინვეი საქართველომ“ შექმნა „გრინვეი აკადემიის“, რომლის მთავარი მისიაა თანამშრომლების ცოდნისა და კომპეტენციის ამაღლება პროფესიონალი ტრენერების მიერ ჩატარებული პრაქტიკული და თეორიული ტრენინგების დახმარებით. შეიქმნა სასწავლო მოდულები, გაიწერა აკადემიის სტრატეგია, ასევე, შექმნა პორტალი „academy.greenway.ge“, რომლის მეშვეობითაც ატესტაციის და სწავლების პროცესს სრულად გაციფრულებს და სასწავლო პროცესს უფრო მოქნილს და ეფექტურს ხდის.

2023 წელს დატრენინგდა და გადამზადდა 200 მდე თანამშრომელი.

2024 წლიდან იგეგმება ტრენინგ ცენტრის გაძლიერება ტექნიკური ტრენერების დამატებით. ასევე, დაგეგმილია კვარტალური ტრენინგები, როგორც ტექნიკური ოპერაციების თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილში, ასევე სერვის პლუსის მიმართულებით;

2024 წლიდან დაგეგმილია თანამშრომელთა მენტორინგის პროცედურის გაწერა და დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს ახალი თანამშრომლების ეფექტურად ადაპტაციას სამუშაო ადგილთან და მათი პროფესიული უნარების სწრაფ განვითარებას.

დასაქმებისა და სამუშაო პირობების მიმართულებით, კომპანიაში მოქმედებს ერთიანი სტანდარტიზებული სისტემა. ყველა აპლიკანტი გადის შერჩევისა და გადამზადების სტანდარტულ ეტაპებს და, ამ ეტაპის წარმატებით გადალახვის შემთხვევაში, დასაქმდება შესაბამის პოზიციაზე.

კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების კუთხით, შექმნილია ტრენინგ ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია პროფესიონალი შიდა ტექნიკური ტრენერებით, რომლებიც 2018 წლის ზაფხულში გადამზადდნენ 2-თვიანი ინტენსიური გადამზადების პროგრამის ფარგლებში კომპანია „აპლუსის“ მიერ.

ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის შემუშავდა სპეციალური პროგრამა, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო და პროცედურულ საკითხებს. ძირითადი ტრენინგ პროგრამის ხანგრძლივობა მოიცავს 120 საათს. ხოლო, განმეორებითი ტრენინგის ხანგრძლივობა შეადგენს 40 საათს.

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით 120 საათიანი შიდა ტექნიკური ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა 27 თანამშრომელი, ხოლო 40 საათიანი განმეორებითი ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა 107 თანამშრომელი. 2024 წლისთვის დაგეგმილია სხვადასხვა ტიპის გეგმიური და არაგეგმიური ტრენინგ პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

არაფინანსური ანგარიშგება (გაგრძელება)

დასაქმების საკითხები (გაგრძელება)


კომპანიის ანაზღაურების სისტემა მოიცავს ფიქსირებული შრომის ანაზღაურებისა და საბონუსე ნაწილს. კვალიფიკაციის ზრდისკენ მიმართულია მთელი რიგი ღონისძიებები, რომელიც მოიცავს გადამზადების ინტენსიურ პროგრამას წელიწადში ერთხელ. ამასთან, საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად ხორციელდება თანამშრომელთა გადამზადება როგორც საკანონმდებლო, ასევე - პროცედურულ ნაწილში.

კარიერული განვითარებისა და ზრდის შესაძლებლობა ეძლევა ყველა თანამშრომელს. კომპანიის პოლიტიკით, მაღალ პოზიციებზე გამოცხადებული ვაკანსიების არსებობისას, პირველ რიგში, განიხილება შესაბამისი კომპეტენციის მქონე შიდა რესურსი. 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მასშტაბით სხვადასხვა პოზიციაზე დაწინაურებული თანამშრომლების რაოდენობა ჯამში შეადგენს 80-ს, რაც თანამშრომელთა სრული რაოდენობის 30 %-ს შეადგენს.

გენდერული ბალანსი


„ა გრუფი“, ყველა შვილობილი კომპანიის ფარგლებში თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპის მატარებელია და არ ახდენს ინდივიდთა დისკრიმინაციას გენდერის, რასის, ეთნოსის, აღმსარებლობის, ასაკისა თუ სხვა ნიშნით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი ჯგუფის დასაქმებულთა (687 ადამიანი) 43%-ს ქალები, ხოლო 57%-ს კაცები შეადგენდნენ.

გენდერული ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



სულ დასაქმებულთა რაოდენობა: 687

გენდერული ბალანსი მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთათვის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



სულ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა რაოდენობა: 129

არაფინანსური ანგარიშგება (გაგრძელება)

გარემოზე ზრუნვა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

ავტოსერვისების სეგმენტი

სტრატეგიული კომუნიკაციის დაგეგმვისას სს „გრინვეი საქართველო“ საკომუნიკაციო პოზიციონირებისთვის შეარჩია უსაფრთხო გარემო და გარემოზე ზრუნვა, რაზეც კომპანიის სახელწოდებაც მეტყველებს - GREEN WAY მწვანე გზას ნიშნავს.

აღსანიშნავია, რომ „გრინვეი საქართველო“, როგორც რეფორმის ყველაზე დიდი განმახორციელებელი, დაარსების პირველივე დღიდან გრძნობს პასუხისმგებლობას და გააზრებული აქვს, რომ გარდა კანონის შესაბამისად ავტომობილებისთვის ტექდათვალიერების ჩატარებისა, მისი ერთ-ერთ მთავარი ფუნქციაა იზრუნოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე, ამ მიმართულებით მჭიდროდ იმუშაოს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. წლების განმავლობაში „გრინვეი“ წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა კამპანიებს ამ მიმართულებით.

კომპანიამ 2023 წლის განმავლობაში ტექნიკური ინსპექტირების დარგის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მამულები კამპანიები აწარმოა, როგორც სატელევიზიო და რადიო ეთერების გამოყენებით, ასევე უშუალოდ მოსახლეობასთან შეხვედრების საშუალებით.

2023 წელს განხორციელებული პროექტი „უფურცლობა“, რომელიც ტექინსპექტირების ფურცლის „გაქრობის“ და მისი sms საბუთით ჩანაცვლებას ისახავდა მიზნად. როგორც greenway-ის ყველა სხვა ინიციატივა, ეს პროექტიც ორ მთავარ ღირებულებას ემსახურება: გარემოზე ზრუნვას და მომხმარებლის კომფორტს. სხვა სიკეთეებთან ერთად, ამ პროექტის კიდევ ერთი უპირატესობა ის არის, რომ საოპერაციო, ლოჯისტიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით, სამუშაო პროცესი ბევრად ხარჯთეფექტური გახდა, (გაუქმდა პრინტერის, ფურცლის და კარტრიჯის მთელი საქართველოს მასშტაბით მიწოდება/მომსახურების დანახარჯები, შესაბამისად – ქაღალდისა და ნავთობპროდუქტების მოხმარება). მხოლოდ ამ ცვლილებით, წელიწადში დაახლოებით ნახევარი მილიონი ფურცლის დაბეჭდვაზე ითქვა უარი, რაც პირველ წელს 50%-ით, ხოლო მომდევნო წლებში 70-80% შეამცირებს Greenway-ის მხრიდან ქაღალდის მოხმარების მაჩვენებელს. დღეის მდგომარეობით, გრინვეის სერვის ცენტრებში ფურცლის მოხმარება შემცირებულია 74% ით.

გიორგი ბარათაშვილი

გენერალური დირექტორი

სს „ა გრუფი“

20 სექტემბერი 2024

არაფინანსური ანგარიშგება (გაგრძელება)

გარემოზე ზრუნვა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

ავტოსერვისების სეგმენტი

სტრატეგიული კომუნიკაციის დაგეგმვისას სს „გრინვეი საქართველომ“ საკომუნიკაციო პოზიციონირებისთვის შეარჩია უსაფრთხო გარემო და გარემოზე ზრუნვა, რაზეც კომპანიის სახელწოდებაც მეტყველებს - GREEN WAY მწვანე გზას ნიშნავს.

აღსანიშნავია, რომ „გრინვეი საქართველო“, როგორც რეფორმის ყველაზე დიდი განმახორციელებელი, დაარსების პირველივე დღიდან გრძნობს პასუხისმგებლობას და გააზრებული აქვს, რომ გარდა კანონის შესაბამისად ავტომობილებისთვის ტექდათვალიერების ჩატარებისა, მისი ერთ-ერთ მთავარი ფუნქციაა იზრუნოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე, ამ მიმართულებით მჭიდროდ იმუშაოს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. წლების განმავლობაში „გრინვეი“ წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა კამპანიებს ამ მიმართულებით.

კომპანიამ 2023 წლის განმავლობაში ტექნიკური ინსპექტირების დარგის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მასშტაბური კამპანიები აწარმოა, როგორც სატელევიზიო და რადიო ეთერების გამოყენებით, ასევე უშუალოდ მოსახლეობასთან შეხვედრების საშუალებით.

2023 წელს განხორციელებული პროექტი „უფურცლობა“, რომელიც ტექნიკური ინსპექტირების ფურცლის „გაქრობის“ და მისი sms საბუთით ჩანაცვლებას ისახავდა მიზნად. როგორც greenway-ის ყველა სხვა ინიციატივა, ეს პროექტიც ორ მთავარ ღირებულებას ემსახურება: გარემოზე ზრუნვას და მომხმარებლის კომფორტს. სხვა სიკეთეებთან ერთად, ამ პროექტის კიდევ ერთი უპირატესობა ის არის, რომ საოპერაციო, ლოჯისტიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით, სამუშაო პროცესი ბევრად ხარჯთეფექტური გახდა, (გაუქმდა პრინტერის, ფურცლის და კარტრიჯის მთელი საქართველოს მასშტაბით მიწოდება/მომსახურების დანახარჯები, შესაბამისად – ქაღალდისა და ნავთობპროდუქტების მოხმარება). მხოლოდ ამ ცვლილებით, წელიწადში დაახლოებით ნახევარი მილიონი ფურცლის დაბეჭდვაზე ითქვა უარი, რაც პირველ წელს 50%-ით, ხოლო მომდევნო წლებში 70-80% შეამცირებს Greenway-ის მხრიდან ქაღალდის მოხმარების მაჩვენებელს. დღეის მდგომარეობით, გრინვეის სერვის ცენტრებში ფურცლის მოხმარება შემცირებულია 74% ით.



გიორგი ბარათაშვილი

გენერალური დირექტორი

სს „ა გრუფი“

20 სექტემბერი 2024